

K 50.539  
2

ပြည်ထဲရေးနှင့်  
ဒုတိယအစာဆိပ်

ရွှေ  
ခြောက်  
ပြည်ထဲရေးနှင့်  
ဒုတိယအစာဆိပ်

საქართველო  
მიწათმებულებები

ვაკე (მ)

გირიშვილი

ქადაგი

სახლისინი

ვაკე

1602 15-01-01  
Gori Gori

გამოცემლობა „მიწათმები“, 1982



80T-3

899.962 1-32  
δ 551



საქართველოს  
მთავრობის  
მინისტრის

„გვიან სახლიდან შენამდე“ ახალგაზრდა მწერ-  
ლის მოთხრობების პირველი წიგნია.

ავტორი ამ მოთხრობებში ძირითადად თანამელროვა  
მაღლავის ცხოვრებას ასახავს — ახალგაზრდო-  
ბისა, ჩომელიც აქტიურად იმრჩევის — საკუთარი შეხე-  
დელებები, საკუთარი მრწამისი დაიმკვიდროს ცხოვრა-  
ბაში.


50 539  
2



↖

70304—116

δ ————— 864  
M 604(08)—82



1618 - 30



ალბათ ყანდაურაშიც წვიმის ახლაურებულებული  
რილს ემგვანება, — ჩამოქცეულიც ცვლილებებიც  
მონგრეული ღობეების, უმტერმოყვაროდ დარჩენი.  
ლი ეზოებისა და ორლობეების ტირილს.

ნიალვრები თავქვე მირბიან და ობოლაანთ პევ-  
ში იყარგებიან, ნაჩლიქარებში წყალი აღარ გუბდე-  
ბა, აღარ უკიუინებენ ფეხშიშველი ბალლები წვი-  
მას.

დაუშვი და დააყარე,  
ზედ მარილი მააყარე,  
დაუშვი და დააყარე...

წვიმა აღარავის ჩამოსდის სახლში, ჯაჭ-ჭურჭე-  
ლი აღარავის გაუმწერივებია წეიმის წყლის ასალე-  
ბად. კრუხი არა ფორიაქობს წიწილებგაფანტული.  
აღარავინ იგინება — გაგიქრა პატრონი და მაგო-  
ნებელი, ეხლა რა დროს წვიმა იყოო, საცალოწამო-  
სხმული არავინ გარბის გარეთ დარჩენილი საქონ-  
ლის მოსაყვანად. სავსით მოლოპტილა „დიდი  
წყლის“ ნავი, წეიმის წევეთები სხლტება და მალლა-  
მალლა ხტის. არავის უტყდება კოქა, არავინ არავის  
ეხვეწება — მეჩქარება და შენხე წინ ამავსებინეო.  
ვაგლახად მოსჩქეფს „დიდი წყლის“ მილიდან  
წყალი...

ღობის ჭალზე წამოცმული ცხენის თავი არავის  
ბეღნიერებას არა სდარაჭობს, კაკლის ქვეშ მკვდა-  
რი ჩიტი დაუმარხავი გდის, ვინ დამარხავდა ზარი-

თა და გლოვით, ბალლის ჭარენება არ არის ირგვლივ...

გზა-გზა ჩამწერივებული ჭრები ჭულები ისე  
დამწიფდა, ისე მოილია, არუვეს დატექნურებული კარა-  
ვინ მიმპარვია, ჩიტები კენკავდნენ მხოლოდ. ბუ-  
დეები მომრავლებულა ნაფუძვარებშე, ბუდის ჩა-  
მომშლელი აღარავინ არის.

„დიდ კაკლებ“ ქვეშ წელამდე ჭყიმი გაიზრდე-  
ბოდა, რამოდენა მარწყვი ლუოდა მგონი გორი-  
ჯვრის ფერდობშე!

მლებავი იასონას უზარმაშარი, რუსული „ბა-  
თინკი“ მიწით ამოვსებულა. იარა იასონამ, იარა  
თავისი უცველელა, ეზაგადმოვდებული „ბათინკე-  
ბით“, ლება და ლება ძონძმანები, ტყეში ლამის გა-  
მოლია მჭადა სოკო და ფიჩი, ორლობეები ლამის  
ფეხშე აიკრა.

ახლა გორიჯვარშე ამოსულა მაყვლის ბარდად.  
უფაფუნებს ალბათ ახლა ყანდაურაში, ნიალერე-  
ბი დაძრულან ეკლესიიდან ობოლაანთ ხევამდე.  
აღარავინ ელოდება ღრუბლების აჭრელებას. ლვია-  
რება ჩამოსდით ჩამონგრეულ კელლებს.

## სამი

თიხისფერ უბანში ცხოვრობდნენ. თეთრი ქვით  
ნაშენი სახლები თიხით იყო შელესილი, თიხითვე

იყო გადალესილი ბრტყელი სამეზობლა — ქვის ცა /  
მები, თიხისფრად იყო დამტკერილი ორლომეუბი და  
თიხისფრად იგლისებოდა ყველაფერი მწორებულებები ॥

ერთმანეთს ფეხის ხმაზე სცნოჭუნიშვილის ცეკვა  
ფერ უბანში და ერთნაირად, — ჩვეულებრივი სა-  
ფიქრალ-სადარდებელით ცხოვრობდნენ.

მხოლოდ სალამოობით ედებოდა ყველაფერს  
მუქი ფერი, სალამოობით ჩაივლიდა ნახირი, თბილ  
ოხშივარს დასტოვებდა და თიხისფერი უბანი კი-  
დევ უფრო მჭიდროდ შემოგვპლებოდა თავის  
თიხისფერი მკლავებით.

ერთოთახიან დაბალ სახლში ცხოვრობდნენ,  
შიგნით შეხსნილი, მოაჭირის სიმალლე აივნის კარი  
ყოველთვის ლია იყო და ორივე ფანჯრის მინაც  
(ორივე ფანჯარა ეზოსკენ იყურებოდა) ყოველთვის  
გადაგლესილი იყო ბავშვის ნათთურებით. ემალის  
ძირგავარდნილი ქვაბიდან მკრთალად ანათებდა  
ბალბა და ავურის ფილებზე ბალბას ყეითელი ფოთ-  
ლები ეყარა.

ოთახში თეთრად შეღებილი კედლები განშე  
გამდგარიყვნენ და ისე იმზირებოდნენ, თითქოს  
ბოროტი კაცი ჩაწიეწიებულ კბილებს აჩენსო. ვე-  
რის ღრივოში სიმინდის ყვითელი ტარო იყო გამო-  
ჩრილი. სიმაღლის მიხედვით დამწერივებულ წიგ-  
ნებთან მიახლოვებასაც კერ გაბედავდა, — სახელდა-  
ხელოდ გასწორებულ, რკინის ორ ერთმანეთზე  
მიდგმულ საწოლის ქვეშ ლამის ქოთანი იდგა და  
ზედ ოთხად დაკეცილი გაზეთი ეფარა. კედელს  
დატანებული განჯინები ოდესლაც ცისფრად ყო-

ფილა შეღებილი. განჯინის რამოლებულ ქართან  
ხუთიოდე წლის გოგო მიმჯდარიყო (ციფელად ნანო)  
და პირდაპირ ქილიოდან ჭამდა უჭრტესობის დაზუნე კი-  
დევ (სამი წლით უფროსი გტერტ ჭამდეს მატებული მო-  
ბლუნძული და ეგრევე მობლუნძული შეუვარებუ-  
ლის დაჭერილ მზერაში დალიელივებდა. ზედიზედ  
იხსენებდა, როგორ გადააწოდა პალტო და შეხედა.  
გუშინაც „ფეჩან“ აღვილი დაუთმო და უთხრა  
„გაითბე ეგ შენი ბრტყელ-ბრტყელი თითებიო“, —  
მავრამ დღეს რო პალტო გადმოაწოდა სულ სხვა  
რამე იყო...)

სიმკერითა და სიმძაფრით დამუხტული გა-  
ზაფხულის დღეა. დალინესა და ნანოს დედა სკო-  
ლიდან ბრუნდება. ცალ ხელში სანავთე უჭირავს,  
ცალით — რვეულებით სავსე ჩანთა აუხურებია  
გულზე, რვეულებიან ხელში დიდი, ნაჭრით ფეხებ-  
შეკრული ისის შემჭერი კონა უჭირავს (მოწაფეე-  
ბის ნაჩუქარი). ნაეთს ჭუპუნი გააქვს სანავთეში.  
ქალი ცდილობს განზე დაიჭიროს სანავთე. მაინც  
შეეშეფა. — მოვიკვდეს პატრონი შენ, — მოვიკვ-  
დეს პატრონი რო, შენც მაისვენო და შენმა პატ-  
რონმაც — თავისივე სიტყვებზე მწარედ გაელიშა.

დედა ეხლა გარეთ, აივანზე ნაეთს ასხამს ნაეთ-  
ქურაში. დალინე და ნანო ოთახში ტახტზე სხედან,  
ერთმანეთის გვერდით, თავჩალუნულები. განჯინის  
კარიც მიხურულია და ოთახიც მილაგებულ-მოლა-  
გებული.

დედამ ნავთქურა შემოიტანა, კოლიო მოსახურობის მიღების გადასაცემას მიღები მიღები აიღო, ქვაბში სუპის ნარჩენი იყო. მერე პური გადმოიღო განჯინიდან და დამატებული მა ჩამტვრიდა.

ბეჭდის მიზანი ეს იყო

ნანომ და დალინებ თავები კი წამოსწიეს, ძაგ-  
რამ ჩუმად ისხდნენ მაინც.

დედამ ნავთქურა ჩააქრო. სამი კოვზი გადმოი-  
ღო განჯინილან. სამი დაბალი სკაბი შემოუდგა  
ნავთქურას და პირდაპირ ქვაბიდან დაიწყეს ჭამა.

დალინებ პირთან მიტანილი ლუკმა გაუვარდა. დედამ ხელში ჩაარტყა და გამოტენილი პირით  
უთხრა: — რატო ამას არ მუვარდება, ეს დიდია თუ  
შენ?

დალინებ კოვზი ქვაბში ჩატოვა და ატირდა. დედა ძალიან შეწუხდა. კარგი, ჭამე ახლა, თუ  
დედა გიყვარს!.. (ნანო ისე განაგრძობს ჭამას  
თოთქოს არაფერი მომხდარაო).

დალინებ ისევ ტირის.

— არ მიყვარს? — იყვირა უცბად — არ  
მიყვარს! — ადგა ტახტზე გადაჭდა და დიდი ქალი-  
ვით დაიწყო, — მოვმკვდარიყავ, შაშინ რა იქნებო-  
და ავად რო ვიყავი, რა მაღლი იქნებოდა მოვმკვდა-  
რიყავ! — და ტირის.

ქალი ნავთქურასთან ზის, მუხლებშუა ხელებ-  
ჩაწყობილი.

— დალინებ! — უცბად აიღო თავი ნანომ. —  
მღვრიე წყალი დალიე და მოპკვდები, გაიგე!

ახლა იმას გასცვიდა თავში თხლაშანი და ახლა  
ის ატირდა. მესამე კოვზიც დაცურდა ქვაბში. ნა-

ხოც ტახტზე აძვრა. ქალს ჩუმად შამრას გადა,  
ცრემლები. მერე თვითონაც მივიღა შვილებთან.  
ტახტზე კედლის ძირას მიჯდა, ორი ფეხში და ჩემი კა-  
კრა და ხმამალლა აქვითინდა.

ბერძნოველი

ორლობეში, დიდი ორსართულიანი სახლის ყრუ  
კედელთან ბავშვები ჩაყუნცულან და კურდლლები-  
ვით დაცევიტილები უსმენენ დალინეს. დალინე  
ცველაზე დიდია. შეაში ჩაყუნტულა, ბამბაზიის  
კაბის ბოლო ტერცებით უჭირავს:

— ჩვენ გამტაიცულ პულსა ვკამო სულ, ისე  
პურს გემოს ვერ ვატანთ, თქვენა?

— ჩვენ მარტო სტუმრებს ვაჭმევთ ხოლმე გამ-  
ტკიცულ პურს, — პასუხობს პატარა ბიჭი მორცე-  
ვად და თან მიწას დასცეკრის. სხვებიც მორცხვად  
შეჰქონდენ დალინეს, რომელიც, თურმე, სულ გამ-  
ტკიცულ პურსა ვამს.

— ეგ კი არა და, იცით რა, — იწყებს ახალ ამ-  
ბავს დალინე, — ზამთრის პირზე, ვიდრე თოვლი  
მოვა, უნდა მოიტანო ბლობად შეშა, რო მთელი  
ზამთარი თავისუფლად გეყოს, უნდა დაპქლა ერთი-  
ორი ღორი და დაამარილო, ი „დიდი წყლის“ მი-  
ლიც, რამენაირად, ეზოში შემოიტანო და ყველა-  
ფერს რო მოასწრებ, სწორედ იმ ღამეს მოვიდეს  
თოვლი, თოვლი რო... პა? სუ გადაათეთოს იქაუ-  
რობა, კარში აღარ გამოისულებოდეს, ის კი არა,  
საღამოობით ტყიდან მელიები, კურდლლები და ცი-  
ფვები უნდა მოდიოდნენ და კარებს გვიკაუნებდ-

ნენ: გაგვიღე, გაგვიღე ოა, ცოტას გავთბებითო, შვები, ცარიელი სულები, սწედან და ისე ისმენებ. გავულებ კარებს, შემოვლენ, შემოიტანენ გრძელული კუდებს გათოშილები, მშივრები... ტერეზი იმართებ

— და ლინე! — ნანოს ხმამ მოაწია.

დალინემ ეგრევე დაყუნცულმა დაიყვირა:

— რააა!

— ჩქარა, ჩქარა, წერილი მოვიდაა!

დალინემ მოკურცხლა. ორლობე გამოათავა, დალმართის თავში ნანო დგას. ყელგამოწვდილი, დასაყვირებლად გამზადებული, დალინე დაინახა და ხელების ქნევას მოჰყვა.

— ჩქარა დალინ, ბაბოს წერილი მოვიდა, — და გაიქცა, დალინე უკან მიჰყვა.

ოთახში მაგიდაზე კიდეშემოხეული კონეერტი დევს. დედას სახე ალანძვია სიხარულით.

— რაო, დედი? — იკითხა დალინემ.

— დამხვდიო კვირას. ხვალე ბებო აქ იქნება.

დალინე ატირდა. მისმა გაუხარელმა ბავშვობაშ სიხარულის ყიქინა არ იცოდა.

დიდი სამზადისი აქვთ. ალაგებენ, აპრიალებენ ყცელაფერს, დედაც და შვილებიც.

დალინემ საიდანლაც ნიორა ყვავილები მოიტანა და კილოიან ქილაში ჩააწყო.

მერე დედა სადგურში წაეიდა. თან ორი შოს-წავლე გაიყოლა ბარგის ამოსაზიდავად. სადგური სოფლიდან ხუთიოდე კილომეტრით იყო დაშორებული.

თვითონ სახლში დახვედრა არ ინდომეს. ახლებ-

ში გამოწყობილები მეზობლებთან გადავიდნენ,  
რომ გაეგონათ: დალინე, ნანოო! ბაბო ჩამოვიდა,  
ჩქარიაა! — გამოცვენილიყვნენ. ბაბოს დაუნახა რო-  
გორი სირბილი ისწავლეს, როგორც ქართველი ქავე-  
ლაფერი და ჩაჰენებოდნენ. აღთქმული კუპრე-  
ბოდათ, აღარც სმა. ნანო რამდენჯერაც ჩამოვდა,  
დალინემ წამოაგდო, კაბა გავესვრებაო. თვითონ  
ხო სულ ზეზეულად გაატარა ეს დრო.

მოსალამოვდა.

— დალინე, ნანოო! — დედის დაქანცული ხმა  
საზარელი სიმართლით იტყობინებოდა, რომ სასი-  
ხარულო არაფერი იყო.

ხელიხელს ჩაჰეიდეს და ავიდნენ. დედა ტახტზე  
იწვა გულალმა, ცრემლგაშშრალი:

— დედა მოვიკელე, შვილებო, დედა! არ იყო  
ავტობუსი. არ გამოვიდაო. მოდით ჩემთან, ამო-  
დით!

დალინე და ნანო ტახტზე აძვრნენ. იმ ღამეს  
ერთად ეძინათ.

დილას სკოლაში მიდიოდნენ — დედა, დალინე  
და ნანო. დალინეს ჩანთა უჭირავს და ჩანთისკის  
გადახრილი მიდის. ნანოს დედისთვის ჩაუკიდ  
ხელი და ცალ მხარეს ჩამოშლილი ნიფხვის ტოტი  
სასაცილოდ მოუჩანს. მოდიოდნენ დაწმენდილი  
ადამიანური სახეებით. ეხლა მათ შაბოს ჩამოუსვ-  
ლელობა ერჩიათ.

ამასვე ადასტურებდა გაზაფხულის ტკივილით  
შეძრული დილა.



მოედინება შემოდგომის რბილად, უძველესი კულტურული გზა ვენახებიდან. მოედინება და უძველესი კულტურული კულტურის თმენისა და ნუგეშის ლაქაზ წევრები; უძველესი მირებულ, საბუდარივით ღობის ძირებს. სამუდამოდ ჩათვლემილ ნაღვლიან ქვებს, ჩრდილ-ში გულალმა დაცემულ წითელ ფოთოლს და სახ-ლის კარამდე მოგყვება გაბმული ჩურჩული: მიღი, ხელისგული ღააფარე პრიალა ფოთოლს, მიღი და იგრძენ სულის უსასრულობა... ჩამოაყოლე ცრეშლს სიტყვა, ჩამოაყოლე და ნახე, როგორ იყრიალოს...

ნეტავ რამ ასწავლა ამ გზას მარტობის ფასი, ასე თანაბრად რომ მოიწევს საყუთარი თავისკენ... მხოლოდ საყუთარი თავისკენ...

რაღაც უჩინრად არხევს ლიჭის დაკიდულ ტოტს. მიმავალმა პეტრემ ზედიზედ შეხედა. ერთხელ უკანაც მოიხედა. ისევ ირხეოდა ლიჭის ახუნძლუ-ლი ტოტი და თავქვე განქარებულ რუს კენწერო-თი ეხებოდა ოდნავ. საოცარია: შენიუბრალო არ-სებობით საუკუნოდ მკვიდრდები: ჩასახლდები ვი-ღაცის სულში, შეენივთები რაიმე სავანს (ხეებს, ან ბალახს), დაგინახავს ცა ან ტუეზე გადაკული სა-ლამის ბინდუნდი და საუკუნოდ მკვიდრდები. აյი უკვირს პეტრეს: რატომ ვერ გადაარჩინა ლიჭის მოქანავე ტოტმა არჩილა, რას აკეთებდა მაშინ ეს ფურუროდან ჩამოშლილი ყავისფერი მტვერი, ან ხელის აწვდენაზე დაწეული ცა, ან ეს დღე რაღად ელვარებს ასეთი ნდობით?

დღე კი ოქტომბრის დასაწყისს უკუთხესის როცა  
ბედშეგუებით ბრწყინვას ყველაფერი და იეპიტრიად  
თრთის მზის გულზე (მით უფრო სატერარი), რო-  
ცა, ღობის მარგილი რო ღობების მიმდევად  
კი ერთგულად გეხება თუკი მეტყველების მისი და  
როცა უცნაური წვიმით გიმსუბუქდება მხრები და  
ყველაზე მიჩქმალულ და პატარა ტოტს მოძებნი  
თვალით ვება კაკალზე, როცა გესმის შენივე ხმა,  
ცა თვალს გაიყოლიებს და გარბიხარ, რომ სათუ-  
თად შემოგინახოს გულმა ყველაფერი.

ასეთი დღე როგორ შეიძლება ვინმეს იმეტებ-  
დეს? ასეთ დღეს თავი მიადე გულზე და ტკბილად  
ატირდი...

არჩილა კი მაინც მოკვდა ასეთ დღეს.

პეტრემ საქმე მიატოვა და სახლში წამოვიდა.  
მოდის მსუბუქი, ფხაუნა ნაბიჯით. თხელ გაწეწილ  
ტოტს ხელი წამოუქნია და ღობის ძირისკენ ისრო-  
ლა. გული საღლაც გაჰტრენოდა. თბილი, ღრუბე-  
ლივით ჰაერით ამოვსებია სასულე, ბრეზენტის გა-  
ფხორილ წინსაფარის აწმენდს დიდ, გლეხურ ხე-  
ლებს და მოჩიქარის. ყოველ ჩქარზე ასაყვირებლად  
გამზადებული: არჩილა მამკვდარა, კაცო, გუშინ-  
წინ ჭვარედინზე არ იდგა? რამ მოკლა ვგრე უც-  
ბათ?!

თვითონ პეტრეს ვერა და ვერ გაუხსენებია არ-  
ჩილა. ამ წინეებზე კი შეხვდნენ ერთმანეთს: ჭურჭ-  
ლის ტილოში გამოხვეული ხორცი ეჭირა ხელში,  
მუშა გვყავსო, მუხლებში ჩახრილი იდგა, მაგრამ  
არ ვიცით რათა, პირისახე ველარ გაუხსენებია.

არჩილას სახლი გამოჩნდა. ნაბიჭე უკურნა პუჭ-  
რემ. მიდის და უხერხულად მიაქვს უსაქმო, შძიშვილ  
დაშვებული ხელები.

ურკვენული

ოთახში შევიდა. სანთელი ენიჭურული მიზუნულ  
გებრობა ცოცხლებსა და მკედარს შორის.

— არჩილ! — წამოდგა ჭავრით შეკმელი  
დედაქაცი.

— დაჯე ქალო, მზე ჩასულია! — ახალგაზრდა  
ქალმა კაბაზე უტაცა ხელი. ქალმა ცივად მოსხივა  
და დაჯდა.

— შენი ჭანი კი დაიწვას! — შავი მოსახვევის  
პილოში იცინოდა ის ხმელი ქალი.

— მოოდი, პეტრე, მოოდი! ნახე შენი ტკბილი  
აძხანავი და მევობარი, ერთად დაზრდილები ჰართ,  
რამდენი რამე გინახავთ ერთად, რამდენჯერ მსხდარ-  
ხართ გათენებამდე! — წყნარად ლაპარაკობდა არ-  
ჩილას ცოლი, რადგან მზე ჩასული იყო.

პეტრე იდგა ცარიელი გულით. ასე ეკონა, აქე-  
დან გასული თავქეე დაშვებოდა და ეგრე ირბენდა  
სუფსარქისის კედლამდე. ჩუმად გამოვიდა და სახ-  
ლისკენ წაფლატუნდა.

ერთ კვირაში დაბინავეს არჩილა. პეტრე თავ-  
დახრილი იდგა, ქუდს აცოდვილებდა და ლექსივით  
ამბობდა ქვების რახარუხში:

— წახველი ბიჭო? წადი, რაკი გადაგიშვერია!  
უკან ალარ დაიხიო! იქ დაგხვდებიან: გიო, ყვაილო,  
რამანა, ანო თავისი პატარა ქალით, კოტე, ბაპალე  
ძალო, სხვებიც! — პეტრემ სათქმელს გზა უპოვა  
და აღტაცებას ვეღარ მალავდა. — უველანი მაი-

კითხე! უთხარ, მშვიდად იყვნენ, მასაფარებელ იგარღონ. დანარჩენებიც თანდათან გვდახლოვდებიან-თქო! ყველა რომ თავითავს მოვიყრით — წერ გაებზარა პეტრეს, ქუდიანი ხელი და მაგრავია, მაგრავ პირზე მომდგარი სათქმელისთვის ძლარ იცოდა რა ექნა, — ყველა რომ თავითავს მოვიყრით, დავსხდეთ და ერთი კარგად დავლიოთ ჩვენი თავ-შეყრისა-თქო.

აბა, მშვიდობით, ძმაო არჩილ! კეთილი მგზავრობა!

პეტრე ეხლა ალარაფრისოუის გამეტებდა განვლილი წლების სევდიან სინაზეს — ცაჲ უბეში გაწვიმებულ ლრუბელს.

## სალაშო

გხედავ: მოდიხარ ცრიატ წეიმაში, ფეხდაფეხ მოგყვება სალაშო...

ყველაფერი სალუქად ინაკვთება ბინდის თხელ საბურეველში, — გადაწნეხილი ლობე, დაჭირველებული ფუტურო, ცივი, რუხი სახლები და მთელი ის აბდაუბდა, რაც ასე ძალდაუტანებლად მოდის შენი შეურყვნელი გონებიდან...

მოდიხარ წვიმას შეჩვეული მხრებით. გაზუნზლული „ტელოგრეიკა“ გაცვია და რაღაცნაირად

გარდიგარდმო ადგამ თხლაშუნა ჩეცებს, ჩვენის  
ყელიდან ვაზის ლერწები მოვიჩანს...

მოდიხარ შენი მწარე სიყვარულტირ მისრუსადაც  
მარეს მიმსგავსებული. ხედავ, ბრიჭული მასაქუატი  
სეიმანანთ სახლის გადამსკდარი კედელი, როგორ  
დაგიტანეს ჩუმი შრიალით გასაიდუმლოებულშა  
ლობის ძირებმა?..

ავე!.. ღმერთო, რა გახდა ეს სახლი, რა მიუკა-  
რებლად გართხმულა მაყვალი ყორეზე, რანაირი  
ლობეა, წკირს ვერ აარიდებ..

მოდიხარ და გრძნობ ტერფს, რომელსაც ადგაშ  
მოელ სხეულს. ასე რომ არა, ხომ ამოგძვრა სული...  
ცოტაზე აივლი.

— რა ჰქენ, ბიჭო, იმ საქმისა? — შეშით გატე-  
ნილ „ტაჭეაზე“ ზის იაკოფა და ცხენის საღავეებს  
იხევს ხელზე.

— ვერაფერი! — გვერდზე მისდგები და შესცი-  
ნებ შენი ნალველგარეული სიცილით.

— არ ვარგიხარ, ძმაო, არა და რა გიყო! —  
დასძრავს „ტაჭეას“ იაკოფა, ერთს არ მოიხედავ  
უკან.

შენ ცოტაზე გააცილებ თვალით. მერე შეშო-  
ბრუნდები და გაილიმებ ისევ — ვინ იცის, ნეტავ,  
მანდ შენი ლიმილის ფასი? — მანდაურობამ ალბათ,  
განდაურობას ეცოდინება...

წამოხვალ, გზას დაადგები...

როდის, როდის გადაგეურიფება სახიდან ლიმილი.

ვიღაცა დგას იმათ სახლის წინ. ეს იმის კრეპე-  
ლა დაა. ვიღრე შეგამჩნევდეს, შებრუნდება და შე-

ვა. ცოტა უფრო ზევით, სალომე ჭაბული ქართული  
სიბერე მიითჩევს კოჭებამდე თაღლ კაბას. შენ აივ-  
ლი შენთვის, ჩექმების თხლაშუნდეს ფალმენტიამო-  
შვებული.

კილაცა ჭიშკარის გადაკეტავს, ცოლ-ძვილი გა-  
გახსენდება, განელდება ღაღარი ოდნავ, თითქოს სა-  
ბუდარში კვერცხი დაგხვედროდეს, ისევ მოგეძა-  
ლება სისავსე...

ჯარასავით ტრიალებს, ალბათ, შენი კოჭდაბა-  
ლი ცოლი, ქვაბს ათეხთუხებს, ორი კვიცივით გა-  
კრეპილი გოგო შემოგევებება ცხეირის სრუტუნით.

ნამტირალევით გიშმინდავდება გუნება. ეხლა  
სხვა ხარ, ეხლა მამა ხარ, შვილებისათვის დაფეთე-  
ბული მამა. ეხლა ქმარი ხარ, ჭკვიანი, მშრომელი,  
უენო ქმარი.

ამაღამ ცოლს მოეფერები.

ხოლო შენი სიყვარული — ფრთანაზი, ლამაზა  
ფრინველი, იქვე: ალეის კეწეროზე შემოჭდა.

ირხევა ქარში ლამაზი ხე.

გხედავ: გხედავ და მიყვარხარ...

## 235

მარნის კრამიტებზე გამხდარი, სასიამოენო გა-  
რეგნობის გოგო გულაღმა გაშხლართულა.

ევა ჭევია.

კაში მერცხლები დასრიალებენ, ყვავან უასტონები, იასამნები. ევა კი ფიქრს სულ სხვაგან და-ჰყავს:

ურარცხული

ხიდან ტრიალ-ტრიალით წამოვჭყიპლა მარტივე კარცხა. დაენარცხა და მოკვდა. დაყვირებაც კი ვერ მოასწრო.

ერთიც ვნახოთ კაპეიკა გაღმოდგა ლობეზე.

— ევავ, ბალლო?

რა ევავ... რის ევავ... კაპეიკა ლრიალით გარბის ევას სახლისკენ.

დედა სახეს იხოკავს, მორბიან მეზობლები. ევა გიორგა ძიამ შეიტანა და შუა ოთახში. გაშოტეს, საალდეგომო წითელი კაბა ჩაცვეს, ახალი ფეხსაც-მელი.

— იტყვი, სძინავსო, ვარდივითა წევს, — თქვა ვიღაცამ.

— მოგიყვდეს დედა!.. იქ რამ აგიყვანააა, მო-გიყვდეს დედა! — კივის ევას დედა.

ჩამოლიან ნათესავები.

წისქვილებთან ის ვაჟბატონი მიმჯდარა და ფერ-წასული პაპიროსს პაპიროსზე ეწევა...

ევას ცრემლები ღაპალუპით ჩამოსდის.

სკოლაში მეცხრე კლასელები აღარც ჰამენ, აღარც სვამენ, ტირიან, ტირიან, ილველფებიან.

შემოდის რუსულის მასწავლებელი. არც არა-ფერი იცის, იმდლევანდელი ჯავრის ამოყრა უნდა და ევას იძახებს.

მთელი კლასი აქვითინდა, მასწავლებელი გაშრა.

— წმინდაშვილი აღარ არის, მასწავლებელო,

ტირის თამრო, — ეხლა ველარ დაუშენება, მასწავლებელო, წმინდაშვილს ორიანს... შეტო ვერაფრის თქმა ველარ მოახერხა და მერჩხა დამხხმა.

რუსულის მასწავლებელმა, კრისტიან ჭავჭავაძეს, ხელები, ინანა უველაფერი... თავის ზორელაციები გადაწყვიტა.

მოდის და მოდის ხალხი, იქცევა ქვეყანა. რუსულის მასწავლებელი კლასს წინ მოუძღვის.

ევა წევს კრამიტებზე და ცრემლებად იღვრება.

ბებიას ხმა შემოესმა:

— ევავ! წყალი მაიტა! გაწყალდი, თუ გაიგო ერთხელ ნათქვამი.

რა დროს წყალია... უკვე მოასვენებენ... ჯვარედინზე დასვენეს, ხალხი, ხალხი რო ნულა იტყვო.


კივის დელა, დერდები გათხრილ სამარეში ცვავიან. რის ვაი-ვაგლახით ამოჰყავთ და... ასაფლავებენ.

ტირისლისაგან დაოსებული ევა კაბის კალთით იწერდს ცრემლებს.

ბებიას მხარზე კოკა შეუდგამს, ძლივს მოაქვა და ყვირის:

— ევვა! გაწყალდი და გალვარდი, ევავ!..

მეორე დღეს რუსულის მასწავლებელმა გაიძახა. შუამდე თქვა მაიკოვსკის „Стихи о Советском паспорте“ და დაავიწყდა, რუსულის მასწავლებელმა ნიშნის მოგებით დაუწერა ორიანი.



შენ როცა უჩემობა გტანგავდა და კუჭუჭუჭუჭუჭუ  
ლულში გამალებით მეძებდი, მე მაშინ ქმრის ზეწერა  
ლის ქვეშ სოკოებს ვკრეფდი უოეელ დილით, სო-  
კოებსა და ბალახის გალივებულ კვითელ ღეროებს.  
არ გატყუებ. მართლა გეუბნები, შენ არ გატყუებ  
ხოლმე არასდროს, იმიტომ, რომ შენი არ მეშინიას.  
თურმე შიშის გამო იტყუება ადამიანი.

სოკოებს ვკრეფდი (თუმცა კი არ ვკრეფდი, ვხე-  
დავდი) და თან ვისხენებდი ვილაცას, ვინც სადღაც,  
ოდესლაც ასევე კრეფდა თავის საწოლის ქვეშ სო-  
კოებსა და გალივებულ ბალახებს. თიხით გალესილ  
ლასტის კედელში ჭუჭრუტანას კიდევ უფრო ვა-  
ფართოვებდი, ასე შემეძლო მხოლოდ სამაგიერო კა-  
დამეხადა სილატაკისათვის და კიდევ იმით, რომ არ  
ვცხოვრობდი იმ საზარელ. უმეცარ და უნიჭო  
ქოხში, — ბახეას სახლი მომწონდა ზევით და ოც-  
ნებით იქ გადავსახლდი, იქა ვცხოვრობდი. აი, ასე!  
არაფერს ვეჩაგვრინებოდი, ვიდრე ძალა შემწევდა...

ეგ რა არი! — ბალჩის ბოლოში ლულვი იდაა,  
ერთადერთი ხე, მწვანე ლელვი. დილით სამუშაოდ  
მიმავალი ხალხით გატენილი მანქანა რომ ჩაიკლი-  
და, მეჩეენებოდა, რომ უყურებდნენ ჩეენს მუქ-  
ულ ქოხს, — შშიერი, გაავებული ღორი დინკით  
რომ უნგრევდა კარს (კარს კი არა, ოთხ ფიცარს)  
და შიშით მოეუნტული ველოდი, როდის დაგვეცემდ-  
ნენ ყიჯინას: ღარიბებოო, ღატაკებოო, უპატრო-  
ნოებოო, შემთხვევით, ღვთის უნებართვოდ გაჩენი-

ლო მათხოვრებოლ! — მერე გადაიჩინდი ბალჩის  
ბოლოში მივიძურწებოდი დაღლილი და კმაყოფა-  
ლი, — მათხოვრებოლ!

კიდევ კარგი, იყო ის ბალჩის ბოლოში წერტილი  
კარგი, იდგა მწვანე ლელე. დაიითანავდა ის ლელე,  
ჩაუმუქდებოდა ტოტები, ნაღვლიანად დაუშვებდა  
დაბლა, მივდიოდი, სურვილით შემოვეხვეოდი.  
ხანდახან საღამომდე ლელვის ტოტზე ვიზექ, საღ-  
ლაც სხვა ქვეყანას, სხვა მხარეს შეფარებული და  
ეგრე ლელვის ტოტზე ვიწვოდი ჩემი მიწიერი ოც-  
ნებებით აესილი: ლობე ექნება ჩვენ გაშარავებულ  
ეზო-ჯარს, ბახვაანთ რო აქვთ ისეთი. ძალლი გვეყო-  
ლება, რო ჭერ იყითხავენ: — ძალლი გიბიათ გოგო?!  
ტყვია არ მიეკარება, რაღაც სხვა ჯიშისა იქნება,  
ვერავინ დასცემს თოფს. ჩავყრით ხეხილს. მოვაძ-  
რაელებთ იმდენ ქათამს, როცა მოგვინდება, მაშინ  
დავკლავთ. დედაჩემი გახალისდება, მხრებში გაი-  
შლება, გალამაზდება. სახლი გვექნება ქვიტკირისა,  
ლამაზი, მოელილი: ერთი დიდი ოთახი ფართო აივ-  
ნითა და ორსაფეხურიანი კიბით. იატაკი გვექნება  
ისეთი, ბახვაანთ რო აქვთ — გაბზინებული, საწო-  
ლები ერთნაირი გადასაფარებლებით. იმ დაჭიავე-  
ბულ კამოდს გამოვათრევ და სულ ცულით დავლე-  
წივ. რო მოშორდეს და აღარ დავინახო. მოელენ  
მერე ჩვენი მდიდარი ნათესავები: როგორა ხარ,  
გოგო, როგო? შემოვლენ, დააცეცებენ თვალებს.  
ძალიან კარგადა ვართ-მეთქი, ერთი დავიკოხები.  
იქნებიან, იქნებიან და, როგორც მოვიდნენ, ისე  
წავლენ. წავლენ და წავლენ. დავკეტავ ჩვენი რკი-

ნის ორმეტროიან კარებს საიმედოდ და ჩვენ შეღულ  
მივეფერები. დედაჩემი კიდევ მოაჭირზე ცხებჭ  
გადმომდგარი, გალიმებული, — ასე ჟურნალული  
ლელვის ტოტზე.

ბერძნები მოვარდი

ოო, როვორ მემწარება და მელამაზება ეს ყვე-  
ლაფერი!

მეხუთე კლასში ვიყავ, რო ერთ ბიჭის შევუ-  
ყვარდი. იდგა და მიყურებდა ახლადმოგებული  
ზაქივით უმწეოდ, თბილად. მე სულ დავეძებდი იმ  
მზერას. წავაწყდებოდი საღმე და ვთვრებოდი,  
ვთვრებოდი, ვივსებოდი, ვქალდებოდი იმ მზერაში.

საღამოობით კინოში დავდიოდი ხოლმე; — წინ-  
დიანი ფეხი კალოშებში. ჩამოგლესილ მკერდზე  
ორი ნომრით დიდი ბიუსპალტერი, ხელებზე მარწყ-  
უის საპნის სუნი, ხელსახოცივით დაკეცილი, ვატკი-  
ცინებული ცხვირსახოცი ცალ ხელში, ცალში —  
გაოფლილი აბაზიანი და ჰაარა! ის ბიჭი თავისი  
მწეველი თვალებით ზურგს უკან მეჯდა. მიყურებდა,  
მიყურებდა... ყველა კუთხე-კუნკულით შეიმოსებო-  
და ის ძელისძველი კლუბი, თითო-თითოდ უბრწყი-  
ნავდა ავური. ეს იყო რაღაც უწმინდესი და ნამდ-  
ვილი, იშვიათად რომ იბადება ქვეყანაზე და ყო-  
ველთევის წყალსა და ლვარს მიაქვს.

ერთხელ, იმ ჩვენი სახლის დერეფანში, ხახვიან  
ერბო-კვერცხს ვიკეთებდი. „ფეჩზე“ შედგმულ ტა-  
ფას მსუნავად დავყურებდი. მერე ორ პატარა ქვას  
დავავლე ხელი, აქეთ-იქიდან მოვკიდე ტაფას, მოვ-  
ტრიალდი და ის ბიჭი, ღმერთო! ტომარამოკიდე-  
ბული დგას დერეფანში და მიყურებს. ტაფა კი არ

დამივარდა, დაბლა დავახეოქე და ზახლიში მუკეთარდი. ფანგრიდან დავინახე, როგორ გავიდა. გარეთ რომ გამოვედი, ნახევარი ტომარეა ხურალურავნის მობრეცილ სვეტთან იდგა — ტრიუმფალურავნის ნებინა.

გამოვიტირე რალაცა (რა, ვერ გატყვი), რასაც აღარაფერი ეშველებოდა. მერე, თუმცა ძალიან ნაზად და ქალურად, მაინც მოვაცილე ძირს დაყრილ ხახვიან ერბო-კვერცხს ვადარჩენილი ზედაპირი და ასევე ნაზად და ქალურად მივირთვი. თან თავს ვიმშვიდებდი, ზურგით ვიდექი და სიხარბეს ვერ შემამჩნევდა-მეთქი, მაგრამ იმ ღამით კინოში აღარ წავსულვარ.

ცამეტი წლისამ მამა მოვიყიხე; პირველად რო დავინახე, ვიფიქრე — ეგ კაცი ხო ვიცი და, ისიც ხო ვიცი, რო მამაჩემია-მეთქი. მერე წაველ ბალჩის ბოლოში და მოვიყეცე ჩემს ლელვზე. მაპატიეო, მემუდარებოდა ის კაცი. მაპატიეო, რო უჩემოდ შიმშილობდი, უჩემოდ გციოდა, უჩემოდ გტკიოდაო. მაპატიეო, ჩემი სისხლი და ჩემი ძვალიო, მე ვტიროდი და მადლობელი ვიყავი არ ვიცი ვისი ან რისი, რო ასე ტკბილად მეშუშხებოდა სული და გარშემო ყველაფერი ჩემი ნებისა ხდებოდა. თან მიყვარდა, მიყვარდა ის კაცი, ჩემი შერცხვენილი და საწყალი მამა.

პირველად რო ვნახე, — შენ თუ გინდა, ვიქები შამაშენიო, გინდაო? მინდა-მეთქი. არტისტია ეს მამაძალლიო! — ზიზლით ევსებოდა გული ჩემი გამოგონილი ხმის გავონებაზე. მერე ტყავის საფულე

კახსნა და კარტებივით გაშალა სამშანეოდანუბრ. ჭა-  
ვიყოთო, — გამეხუმრა. არ მინდა-მეთქი, მიღისა  
ხებდა წვეტიანი მუხლისთავები. ცოტა სო არ  
არიოთ. აბა, იცოდე, ვერც ეკონომიკურს სამარტინი  
მორალურად, მე დედაშენის ოდენს ტექნიკურს საქართველო  
კეთებო. — ცოტა არა, როგორ გეკადრებათ, მაგრავ  
არ მინდა-მეთქი. უფროსი რო ჯაძლევს, უნდა გა-  
მოართვაო და ის სამშანეოთიანები წიგნში ჩააწყო  
და იმ წიგნიანად მომაწოდა და გამომისტუმრა.  
ცოტაზე გავიარე, ის უული დავთვალე. მაღაზიაში  
შევედი და მთელი ფულით რაღაც საშინელი კაბა  
ვიყძლე.

მეზობლის მარანში, ქვევრის პირას გავწვებოდი  
ხოლმე და ცარიელ ქვევრში ლექსებს ვკითხულობ-  
დი. იმ დღეს, სახლს რომ მივუახლოვდი, ვიგრძენი,  
რო გაუძლის უბედურება დამატყდა თავს, გავი-  
ქაცი იმ მეზობლის მარანში და ქვევრის პირას გავ-  
წევი, (მუცალქვეშ, გაზეთში შეხვეული ის კაბა  
მედო):

იტირე, დედავ,  
იტირე, მამავ,  
იტირეთ, ჩემი ლამაზი ამხანაგებო...  
აჩც ტირის დედა,  
აჩც ტირის მამა,  
აჩც ტირის მისი ლამაზი ამხანაგები.

ქვევრში წკრიალით ჩადიოდა ცრემლი. ბოლოში  
ამაოდ მელოდა ჩემი ლელვი, მე იმასთან მისასვ-  
ლელი პირი აღარა მქონდა.

რა გატირებს ახლა? რა გაქვს სატირალი?

სამაგიეროდ, კარგად მახსოვე ჩვენი ბრძოლებულა  
ყვავილი. პირუჩქმრა რო გაკიაფდებოდა, მე ყო-  
ველოვის თვალს ვარიდებოი, მარა ჩვენი მექანი...  


ზაფხულობით, რაღაც აჭტატებულის შემატებდე-  
ბოდა და ძირს ჩამოვარდნილი ფოთოლი მძაფრი  
ვნებათა ღელვის გარეშე შეგიძლვებოდა შემოდგო-  
მის სიმყუდროვეში.

შემოდგომობით ნამდვილი სიმშვიდე ჩამოპქონ-  
დათ წვიმებს, ყველანაირი სატკივარში მალამოსავით  
ჩამდინარი.

ზამთრობით, თოვლში აღარ უჩანდა კუკეყიანი  
ყელ-კისერი ჩვენს მობრეცილ ქოხს. თოვლი გვმო-  
სავდა დედაბუდიანად.

ასე მგონია, ძალიან მიხდება მე ჩემი დაღლილი  
გული და ჩუმად ვამაყობ კიდევაც ამით.

აბა, შემომხედე, არ მიხდება? ძვირფასო, ძვირ-  
ცასო...

## ზამთარი

- ვინდა ძალიან სასაცილო ამბავს მოგიყვები?
- მიღი, აბა, — უკვე ეცინება გოგოს.
- ნატაშას სახლში ეცხოვრობდით მაშინ, ყან-  
დაურელი ნატაშა ხო გახსოვს?
- როგორ არ მახსოვეს!
- ხო. დალლილ-დაქანცული მოვედი სკოლი-

დან. მაშინ შენ ბებიაშენთან იყავი აქვთ, მოგადეს დედა!..

— ოო, დაიწყო ეხლა! — აბუზულუნიშვილი ტუპლი

— ხო, კარგი. ნატაშამ — ცოტა, ჩავარდება და ხინჯალი გავაკეთოთო. თავი არა მქონდა, შავოაძ უარი ვერ შევბედე, თანაც ნინოს როგორ უყვარს, თორემ რა მეხინკლება. ისე მენატრება, ისე, ლამის გადმოვფრინდე. მიყვირს ასეთი დიდი სურვილის გამო რატომ ფრთები არ გამომესხა.

გოგოს გაეცინა.

— მოგიყვდეს დედა, — მოეფერა.

— ნუ იცი, ქალო, ეგრე, თუ ყვები, მოყევი...

— ხო, კარგი. ჩავყარეთ ხინჯალი და ნატაშო, დაიძახა მირაქაანთ თინამ. გახსოვს მირაქაანთ აინა.

— მახსოვს, თამრიკოს ბებია.

ნატაშას გულს შემოეყარა. (თინას მუცელქორობის ამბავი ქვეყანამ იცოდა) — იღრიოვა ამ ქალობა გასახუნებელმათ. რა ვქნათ, რა ვქნათო, — ავიშვიშდა. — მე დავიმალები და შენ უთხარ „ბოლოშია“ თონის ფიჩხისთვის-თქო. შიხედვ-შოხედვაც ვერ მოვასწარი და საწოლის ქვეშ სტუცა თავი.

გოგო იცინის. ქალი გულგახსნილი ავრძელებს.

— ნატაშო, ახლა უფრო წმიდაბლა დაიძახა თინამ და პირდაპირ წამოვიდა.

მობრძანდით-მეთქი: გამარჯობაო, მოგვივიდა ზამთარი და ეხლა ეგრე უნდა შავიკამოს გულიო, ქალოშებს იხდის ქშენა-ქშენით. ნუ იხდით, როგორ შეიძლება-მეთქი. მარტო ვეღარ გავძელი, ზამთარში მარტოობაზე ძნელი არაფერით და წინდებიანი

ფეხებით შემოვიდა. დიდი, უზრუნველის ძაღლი მოიხადა და მამაპაპურად გაბრტყელდა, მაგრა ბრძანდებით-მეთქი. რა გვიჭირს, მაგრა მარტივი უფრებაო.

— ვაა, ძალიან კარგადა ყოფილაო, — იცინის გოგო.

— ხო, — თქვა ქალმა.

ნატაშა სადღააო. ნატაშა „ბოლოში“ წავიდა თონის ფიჩისთვის-მეთქი. ძლივს ამოვქაქანდი, გული იგრე დემელალა, ლამის ყარფუზივით გასკდეს და გადმოვარდესო.

— რასავითო?

— ყარფუზივითო.

სიცილით კვდება გოგო.

მე ხინკალს ვაკეთებ და თან წელან ჩაყრილს ვატრიალებ ცეცხლზე. თინამ ხელი წამაშველა, მიზვება რალაც-რალაცებს. მეცნება, მეცნება, არ ვიცი, რა ვქნა. შენ რა ხარო, — მეუბნება, — მე შენზე გამხდარი ვიყავ, შენ გული მაინცა ვაჭ. ჩემმა დედამთილმა რო მნახა, გავიდა, ფიცარივით არი, შვილი არ ეყოლებაო, მერე რო თანდათან გავსუქდი და გავლამაზდი, ჩემი ქმარი იტყოდა ხოლმე, რაზე მირაქანთ ქალ დავუჭერებდიო. იმდენს ვიცინი, თინა ცოტა ეჭვში შედის, რალაცა სკირს ამ ქალს ნამდვილადო, მაგრამ არ იმჩნევს.

ამოვილეთ ხინკალი. ნატაშას არ დაუცადოთო, ნატაშა როდის მოვა და ციები რალა იქნება-მეთქი. ვშამდით. რა მექნა, ვიფიქრე ჭამს და წავა-მეთქი. ნატაშას ცოდვით ვიწვებოდი.

თინა აიღებს ჭიქას, — გაგვიმარჯოს, გვაცილებას /  
ლოსო და გადაპერავს, — თან დააყოლებს, — შეღა-/  
მოა, რა არი ეს დალოცვილი? ძალუჩი, შეუცვლელი //  
ნეთ, ეგეთი მხიარული არც ვუნახისტური ჭიქას წიქე კა-  
კვირვებული გადმომხედავდა ხოლმე. როდის, რო-  
დის მოისხა თაერისი დიდი შალი და წასვლა დააპირა.  
ბრძანდებოდეთ, თინა დეიდა, ალბათ ხინკალი არ  
მოგეწონათ-მეთქი დავუუინე, თან ვიცინი, ვიცინი...  
— ალბათ იფიქო, გავასწრო, ჩამეს არ გადამ-  
კიდოს ამ ქალის სიცილმათ, — თქვა გოგომ.

გულიანად იცინიან.

— მერე, მერე...

— ხო გამობობლდა, — ნატაშა სიცილს თვეითო-  
ნაც ვერ იკავებდა — ფერდი გამიცივდა დაბლა  
გდებით, მაგას ჩაუსკდეს მუცელიო.

— კარგადაც მოსვლიაო, — იცინოდა გოგო.

— ისევ ცოცხალია ნეტავ ის ნინა?

— ცოცხალი იქნება, მა რა მოუკიდოდა.

— საწყალი. ეგ როვორ იკადრეთ.

იცინიან.

— შენ ის თუ გახსოვს, ნინოს რო ვიღაცამ სიმ-  
ლერა ასწავლა: ბრუკიანი გარმონს უკრავს, თვალი  
ატყუებსო, — ახლა გოგომ დაიწყო. მერე ისევ  
ქალმა მოაყოლა:

— ის თუ გახსოვსო, არა, ეგ კი არა, ის იყო  
ოინიო...

ცუდი განგებ არაფერი გაიხსენეს, ერთმანეთი  
შეეცოდათ და იმიტომ, თორემ წარსულში ყველაზე  
მეტად სიმწრის დღეები სძლებენ.



ეიღაცამ ილბათ გაიარა შენს შეტაკ სელში.  
პრამ ჭყაფურაძინი  
ტებულის მოწვევე

სულ ორიოდე ჰიქამ გაუთბო გათოშილი სული  
გივილოს. გაყუჩდა. სიმარტოვის სიცივე აღარ სწე-  
წდა ეგრე რიგად. პირდაპირ, ფანჯრის კუთხეში  
დაკიდებული, ნემსებით სავსე პაწაწინა ბალიში  
გულდაგულ ულიმის. ბედნიერად ცხოვრობს ფანჯ-  
რის რაფაზე წითელი ბალბა.

— ჰამე, შვილო, დალიე! — აძალებს ელგუჯას  
დედა.

გივილოს მაღლიერების გრძნობა ახრჩობს და  
ნატრობს, ნეტავ ჩემს ანაბარა დარჩეს ეს ხალხიო...  
„იყოს ეს ლონიერი, ჰახვახა ქალი დედაჩემი, რა იქ-  
ნება, — წარბშეუხრელი, იმედიანი, იყოს რა იქნე-  
ბა?! ბიჭები არ მასენებენ-მეთქი ვეტყოდი, გამო-  
მიცხობდა ერთ-ორ თონე — პურს, მომიხდიდა  
ქვევრს, დაიფიცებდა — არა, გივილოს მზემო”...

გარეთ გაზაფხულის ჭლექიანი დღე იხრჩობა,  
ყორეში ჩატეხილი ყვითელი შუშა ოცნებას გავს.  
მიწა ყორისკენ მიიწევს და იქ ბინავდება, შეავე  
ვაშლის ხე გამხმარ ტოტს დარდივით იმშვენებს,  
ტოტებშუა ჩიტის ბუდე გაჩრილა — ყველა რისკ-  
ზე დიდი რისკი. ეზოში ფუჩეჩი გდია. მალმალე და  
მთელი ეზო თვალს გადაავლებს მსუბუქად მდება-  
რეს... გივილო ყველაფერს ხედავს: მორჩა, ფეხებს  
ველარ მომჟამს ველარავინ, მორჩა! — სიხარულმა

უცნაურად მოწიწენა, ბედნიერმა ჩაილიძე /  
თქვა, — მორჩა!

შეკრისტენი  
შემოსილება

აპრილის ბოლოს გამოიტანა ბაბობ თუნუქის  
ლუმელი, აივანზე დადგა და ახლა იქ ანთებენ. ლუ-  
მელს ერთ მხარეს შემთვრალი გივილო უზის, მეო-  
რე მხარეს — პირდაპირ იატაკზე, თინია, — პატარა,  
ატმისლოყება გოგო. კიბის თავში მურა წევს თა-  
ვისთვის. იქვე, აივნის სვეტზე იმედივით ჰერია  
ბაბოს შავი შტაპელის წინსაფარი, — ჩამორლვეუ-  
ლი ჭიბით და ლობიოს გულალმა აურული ფოთლე-  
ბით.

თინია პურჩაყრილ რჩესა ჭამს ცხვირის სრუტუ-  
ნით, სულ ჭამს ჩაპეირებებს, გივილოსენ განგებ  
არ იხედება. მალიმალ იწევს ყურს უკან ქერა,  
ფშეკელა თმას და ცხვირს ასრუტუნებს.

გივილო ალერსით შეპყურებს. ერთი სული აქვს  
ხელი დაუსვას იმ ფშეკელა თმაზე, მოეფეროს, მა-  
გრამ ზის და ლანჩულად, გულისამრევად იღიმება.

„თინი, მე შენი ძმა ვარ და მიყვარხარ! გინდა,  
ავიყიდებ და ისე გატარებ, მერე მაყვლობას მაყ-  
ვალზე ვივლი, შეინდობას შეინდზე და რასაც მეტ-  
ყვი იმას გიყიდი — გაიგე, თინი-ბინი, თინი ბინი,—  
იმეორებს გულში. თქმით კი ვერაფერს ახერხებს,—  
სადა აქვს ამის თავი, სად შეუძლია ამდენი...

თინიამ კარგა ხანს აფხავუნა კოვზი ცარიელ  
ჯამში, მერე გაუბედავად შეაცურა ლუმელის ქვეშ

და ხელები დამალა. ტუჩის კუთხეში კოტები უმილი  
ძლიერ შეუმჩნევლად უყროლდა.

უცებ დაუსხლტა თავისთაჭარაზე უფრო კარგი განასაზღვრა.

— შენ თუ გინდა, იყავტ წითელი მუსულმანი  
არ დავინახო! — შენ იყავი!

თინია იჯდა თავის ხელებზე და საღლაც განზე  
იყურებოდა, — ოლონდ ღიმილი ეხლა ბეჭედივით  
აჩნდა ტუჩის კუთხეს.

გივილოს გველივით ეშინოდა ამ ღიმილის.

— არა და შენც დაიკარგე აქედან! — ალრიალდა  
უცებ. — აქ რა გინდა ის თუ კარგი დედაა, რო-  
გორც დაგაგდო ისე მოგიაროს! მერე წამოხტა, იქვე  
მდგომ პატარა სკამს ფეხი ამოჰერა, კელელს მია-  
ნარცხა და თითქოს ეზოს ჭიშკარი არა ჰქონოდეს,  
ლობეს გადაევლო.

ზარმაცად გამორკვეული იდგა მურა კიბესთას  
და იბერტყებოდა. თინია გემრიელად ტიროდა. სია-  
მით ელეოდა ცრემლებით გაბერილი გული.

— გოგო, შენ სუ უნდა სტიროდე? — მეზობ-  
ლის ქალმა „ლიტრიანი“ დადგა აივანზე და ზედ  
არ შეუხედია ისე გაბრუნდა.

— შენი საქმე არ არას! ცივანი — მაიმუნი! —  
იყვირა გოგომ.

— შენ კი არ გევზარდე შენს პატრონს, კარგი  
არ გასაზრდელი იზრდები აჲა! — ეზოს კარები გაი-  
ხურა მეზობლის ქალმა.

თინია დაბლა ჩამოვიდა და აივნის ქვეშ შეძერა.  
იქ მურას ეძინა ხოლმე და ძალლის სუნი იდგა.  
„აივნის ქვეშ“ თინიას ადგილი იყო. მიგდა კელელ-

თან და მოუშვა — ვაიმე, დედი! გდედი ამ  
სიტყვებმა კიდევ უფრო გაამწარა. იქდა ტიროლი.  
თვალწინ დედა ეძგა. ხედავდა კატურის ჭრის ჩამ  
ლი ხელებით, გრძნობდა ყელჭამი და დამკურებელი  
მორითოლავ ძარღვს და ენატრებოდა, ენატრებოდა  
და ებრალებოდა დედა, რომელსაც აღარაფერი  
გააჩნდა იმის გარდა, რომ რაღაც ნაირად განსხვავე-  
ბულად იტარებდა შიფრის ლერზ კაბას და გაღა-  
სარევად კითხულობდა ლექსებს. (ახლა ის ლერზი  
შიფრის კაბა სადღაც, პატარა სოფელში უმწეოდ  
რჩეოდა კარადაში).

მერე თინია ოცნებობდა ობოლაშეილების შუ-  
საბანდიან სახლზე. წითლად შეღებილ იატავზე,  
შსხმოიარე ლიმონზე, რომლის ბატონ-პატრონი  
თვითონ იქნებოდა, და გაოცებულ-გახარებული  
დედა დაინახავდა, როგორ დაეშვა თინია ორსარ-  
თულიანი სახლის კიბიდან წითელი, ლამაზი კაბის  
ფრიალით და დედამ დაუძახა „ნამდვილი“ სახე-  
ლი — თინიკ!

ახლა სალომე ჯავახიშვილი გაახსენდა. ამ დი-  
ლით გულისფანცქალით რომ მიესალმა და იმას  
პასუხი არ აღირსა, რა დავუშვევ ეხლა მე სალომე  
ჯავახიშვილს. ეთქვა, — გავიმარჯოს შეილოო, არ  
ეკადრებოდა? — ნატრობდა „დიდ წყალზე“ მიმა-  
ვალს ფეხი დაუსხლტეს და მოსტყდესო, — ენა-  
ხოთ მერე როგორ ჩამივლის თამაშ-თამაშით და არ  
მეტყვის — გავიმარჯოსო...

როდის-როდის გამოძერა თინია თავის სამყო-  
ფელიდან. გარეთ ყველაფერი სხვანაირი იყო.

სულ მალე დამთავრდა დღე, რომელიც სამუ-  
ლამოდ დაიბუდა მის მტკიცან სულში.

მერეც, უკვე რომ დავაუკაცდა გიგალო, / ამ აშ-  
ბის გახსენებაზე ისეთ სირცეჭრებიც წარადგირსუ-  
ლობას გრძნობდა, თითქოს ჰუმილაციურულობებით-  
მევად გაწვდილი მარჯვენა უპასუხოდ დარჩენოდეს  
ჰერმი.

## დედა, აგვისტოს მიზურული

— ოვალი მაშინ დაგიდგება. დედა, რო მოგი-  
კვდება!..

— რა გინდა, ქალო?

— არაფერი.

— არაფერი და გაჩუმდი.

გამხდარი, თმათეთრი ქალი ტახტზე წევს და  
ბაგეზე უნიათო ღიმილი უკრთის.

გაჩუმდა.

გოგოს გული გაეწურა. გადმოხედა. დედა თავის  
გაშავებულ ხელებს დაჟურებდა.

— მარტო ხელები მქონდა ლაპაზი. ძალიან  
მომწონდა ჩემი ხელები... .

გოგოს გაეცინა. ბავშვობაში გულით ნატრობდა.  
ნერავ დედაჩემს ლამაზი ცხვირი ჰქონდესო... .

— რალა ცხვირზე დაგემგვანე?

— ცხვირზე არ დამემგვანოს-მეთქი ვნატრობდი  
და სწორი ფეხები მინდოდა გქონდა, — დედის  
ხმას სინანული გაერია.

წვიმის სუნი მოიტანა ნიავმა.

ცოტაც და ჩხრიალით ჩამოვა ფოთოლის ქარის  
ოდნავ დაქროლებაზე. ქარი იქნება რამაში მოტივის ღია  
ალერსიანი. მერე წვრილი, ბუსურქი წერესა მეტი მშექენ  
ბლანდება ჰაერში. გაუიღდება ჰაერი, გაიძენდება  
ნისლი კაკლის კენჭეროზე, გამუქდება კრამიტი.

ნაფტალინჭაყრილ შინდისფერ თავშალს ამოი  
ღებს მაშინ „კამოდის“ უჯრიდან გოგო. შარშანდელ  
ცხვირგადაქერცლილ ფეხსაცმელს გამოძებნის და  
გამოვა. ღრუბლიანი დღე ძალიან უხდება საერ-  
თოდ.

გადაიხარა დღე. მშე ნელა, სულ ნელა ჩაიკრი-  
ფა. კატამ ზმორებით გადაიარა სახლის სახურავი.  
გოგო ითმენს ზაფხულის უკანასკნელ დღეებს.

## ოჯახი

მსხვილი წვეთები წამოუშინა, მერე დაეშვა  
წვიმის ვერცხლისფერი ფარდები გალმა-გამოლმა.  
წვიმს. იულინთება მიწა. ხევს ნამთვრალევი კაცივით  
მჰახე ხმა გაუხდა.

სერიდან კაცი დაეშვა. სამად-სამ თხას მოარ-  
ბენინებს ითნის ჩამოხლეჩილი ტოტით ხელში. მო-  
კუნტრუშობენ თხები, აქნევდნენ პატარა, მაღლა  
აპრეხილ კუდებს. კაცი ფეხშიშველია და გუბეებში  
დამდგარ თბილ წყალში მოურევს.

— ეე, ეშმაკების კერატოო, ცაფებისა ვიღა-  
ცამ. მოიხედა.

— ეგ რა მოგსვლია, როგორ ჭარულობებია, —  
იღრიგებოდა სათონეში გალაზე და მოუ-  
ერთი შეულრინა და ისევ გაიქა, — მოუძარე მოუ-  
მატე, — ესმოდა მოროხოხე ხირხალას ხმა და  
თვითონაც გაეცინა.

ეზოში შევიდა. კარი გადაცეტა და აღრიალე-  
ბულ ბიჭს გასძახა:

— რა იყო, ბიჭო, რამოტოლა პირი დაგილიაო...  
აქაქანდა ცოლი: ხევში გადაყრილი კნუტები მოუ-  
ყვანიაო, სამიო, განა ერთიო, ჭერ თვალიც არა  
აქვთ ახელილი და ამათმა კნავილმა უარესად გაში-  
ლია ისედაც გალეული გულიო, მერე ბიჭს მიუ-  
ბრუნდა.

— კნუტები რა, კენჭაძეაანთ მარუსა ვარ, კნუ-  
ტები რათ მინდოდა, შე დღე დაკლებულოო — და  
ჩაუთაქუნა თავში.

კაცმა დინჯაღ გადაუკეტა თხებს ლასტის კარი  
და ქალს მიუბრუნდა.

— შენ ცოტა ლამფას ჩაუწი და ემ ბალლ თავი  
გაანებეო.

— სად მოგისწრო, მამი, — ჰეიოხა ნაწინავე-  
ბიანმა, ბუთხუზა გოგომ.

— გალმა!

ფეხები ცხელი წყლით დაბანა ცოლმა. სველები  
გამოიცვალა და მიწვა. იფიქრა — ისევ გალმა რო  
ვიყოო და ესიამოვნა სისხო, სითბო და წვიმა,  
ეხლა რო ვეღარ უციებდა გვერდებს და ათასნაირ

წვრილმანზე დარღი გადაადებინა. ლაპარაკის სა-  
ლერლელი აეშალა.

— დედაყაცო, რა თავპირი ჩამოუჭირებული  
ქალმა არაფერი უპასუხა. ბებისარისებული

— მოღი აქ, მამაძალლო... — ბეთნუშა გოგო  
გაინაზა, ვითომ არ ეცალა, ვითომ გაკვეთილს სწავ-  
ლობდა.

— რა გინდა, ე. აქ არა ვარ?

— ჩემთან მოღი...

გოგო მივიდა და უხერხულად გაეჭიმა წინ.

— მოვეღი, ამა, რა გინდა?

— დედაშენი გავაგდოთ, რას იტყვი, აი, დაბერ-  
ღა, არაფრად ალარ ვარგა, გავაგდოთ და ლამაზი  
ქალი მოეიყვანოთ, რას იტყვი?..

— მააშ! — გაავძელა გოგომ და თვალები ცრემ-  
ლებით აევსო.

ცოლი ტუჩაპრუწვით იცინის — დაფეობულან  
შენთვინაო...

ის რაღა იქნა, ის, ახლა ბიჭისკენ მოიხედა.  
„იმას“ უბეში აქნავლებული კნუტები ჩაუსვამს და  
საბძლისკენ მიიძურწება.

ლონივრად იქნევს ყბებს ტყემლის ძირში გაწო-  
ლილი ყორანა კამეჩი და უსველდება ნაჯაფარი  
ზურგი. ქარი თავპირს ალეწავს ფერდაზე დაკიდე-  
ბულ ფშატის ხეს, წვიმისაგან ჩაფეფქეილ სუსტ  
ტოტებს საწყალობლად რომ ასავსავებს.

კაცი გრძნობს ჭერს, მშეიდად უცემს გული და  
არაფერზე არ ფიქრობს.



ყველაფერი პირთამდე აუსტრიულექსაში, ბელელიც, ქვევრებიც, გამჭურჭელებას შემუწერებულ, შრიალა წვიმები მოეიდა და — შესობელი ფეხის წმენდით. კიკოლა გადმოდგა და სხვებსაც გადასძახა, ერთ-ორ კაცსა. გაზიმზიმებულ სუფრას მოუსხდნენ, ხელადა გამოსცალეს და გაუსუდათ სიყვარულის გედა. ლოშნიდნენ ერთმანეთს, მჯიღებს იბრაგუნებდნენ გულზე.

— ბიჭებო, — ცრემლებს ძლიეს იყავებს კიკოლა, — ცხოვრება მაინც გაძლებაზეა, ერთმანეთის ყურება გვაძლებინებს, ერთმანეთის სიყვარული, აეს ლეინო გვაძლებინებს და მოდით, ამ პატარა ჭიქითა და დიდი გულითა, ვინც უნდა გაგვაძლებინოს და რამაც უნდა გაგვაძლებინოს, იმას გაუმარჯოს!

სიმღერა ააგუგუნეს და ველარ შეიკავა ცრეპლები კიკოლამ. — ატირდი ეხლა იაკო რუსივითა, — თვითონაც ეტირებოდა გერვასას.

არემარე სავსე იყო მშვიდი, მჟენარი ფერებით და უზრუნველად შრიალებდა წვიმა.

— იმიტომ მეჭავრება შემოდგომა, იმიტომ, — ჯაჭლანებდა კიკოლას ცოლი.

— მოვიტან ქალო, ქერ ხო არა ცივა ისე ძალიანა...

— როდისა, ყვავების ამალლებასა?

დილით ცხენი შეაბა კიკოლამ და შესაძე  
და, უკან ლაშდალრენილი ძაღლი გამოუდგა წისკ  
ქეილთან მენაბდიანთ მიხა შემოუხურა წერული  
— წრეულ თუ არ მოვკვდი, თუ კურუჭელები ფლერუკ  
ჩი, შეშას ზაფხულშივე მოვიტან, პატრონს გავუძ-  
რობო, — იმუქრებოდა კიკოლა.

მიხა აღრე ჩამოხტა და თავის გზას დაადგა.

კიკოლამ ცული აილო, ხელებზე დაიფურითხა და  
გამეტებით შემოუქნია ხეს.

## სერტემბერი

— მავარი ვის ათრობს, რო? — თქეა ბიჭმა.

— ვის ათრობს, ვის არ ათრობს, არ ვიცი. მე  
უკვე მთვრალი ვარ და მივდივარ...

— დარჩი, ქათამი დაეკლათ.

— არ მინდა მე შენი არც ქათამი, არც ვოჭი,  
მივდივარ...

მზიან ვოდორზე შემომჯდარ ყერიმალებაშო-  
ჩრილ ბიჭს ხელი დაუქნია.

— როგო ვიხდება სიმთვრალე, შენი რო ვიყო,  
სუ მთვრალი ვივლიდი.

მუხლებზე თაეჩამოდებულ ლიბწიას ჭურალა  
თვალები სიყვარულით უციმციმებს.

— ხოდა, ვივლი.

ცოტაზე წავიდა. მერე მოიხედა. ლიბწია ისევ  
უყურებდა. მზიამ კოცნა გაუგზავნა.

გზა ტყისკენ უხვევს. დაწილივებული ბატები, რბილად, რბილად სწყლება ჟუნიშონილებული ფოთოლი ხეს და საამო ჩქამს გამოსაზრის მეტილულება მზე, გამუქდება ორე, ჭრის სიციდეულებულება და თავი შენი ოცნების ქალაქში გვონია. გინდა ხელებგაშლილი გაიქცე, გაიქცე და საღლაც მინდვრის ბოლოს ჩაიკარგო ბალახებში, კოცნო და კოცნო ფერნაცვალი ბალახბულახი, მზის თბილი, ლიმილად ქცეული სხივები.

— იგრე შამრჩეს შენი თავი და ჩემი გიორგა, — გულმდუღარედ იფიცება მაღალი ოლა.

— გიორგი რომელია, — ვერ გაიხსენა მზიაშ, რომელიც არი, არი... ეხლა, ალბათ, თავი სად აბია და ფეხები სად, არ ახსოვს. ან საარყე ქვაბს დასტრიალებს, ან ფხუჭებითა აქეს წინდა-ქალამანი სავსე და თივის ზეიშს აღვამს თავს, ანდა სულაც სულმა წასძლია და, ცალკე ლვინითა და ცალკე ამ ჩამტკბარი დღით გაგრუებულს, ქვეყანა თავისი ჰერინია ჩემსავით. თამაღის რაკრაკს ყურს აღარ უვდებს და კბილების კრეჭით ეუბნება:

— ე, შენ გავიმარჯოს, შენი ტყუილი ლაპარაკი გულითვინა, — და სვამს, ჯარიმასაც სვამს.

მერე, ჩემო გიორგავ, მერე, ერთხელაც ტყისკენ მიმავალ გზას დაადგები, მაშინაც ეს დრო იქნება, სეჭტემბრის ბოლო რიცხვები. გზა ხომ შუაზე კვეთს სასაფლაოს, ხოდა, სასაფლაოზე ვავლა მოგიხდება. შემალლებულ ბორცვთან დედის ლანდი აიტუზება და გაგახსენდება, „იგრე შამრჩეს შენი თავი და ჩემი გიორგა“. გაგახსენდება თონეში ჩა-

კიდებული, ამბარზე აფოროხებული, გრძელი საც წამოავლო ხელი, სირცხვილი შენი, სალი რას  
იტყვის ოორებ მე დავჭრი შეშასო. ურარცხული  
ერთხანს თავს გამოსტაცებ უსუაშუალოებული

რე შენი ხუთი თითოეუთ ნათლად წარმოიდგენ, რა  
ყოფაშია ახლა დედაშენი, და სიცოცხლე გაგიჩ-  
წარდება.

რას ვერჩი გიორგას, რას ვაჟვედრი ან დედის  
სიყვარულს ან ამ დლეებს, — გაელიმა მზიას.

დედის თბილი ხელივით ეფერება შემოდგომის  
მზე. გრძნობს, რომ რაღაცნაირად, ლაშათიანად მია-  
ბიჯებს და ინატრა — მიყურებდესო.

ვილაცეებმა ჩაიარეს.

— აპაპაპა, არავის არაფერი აზ უნდა გაუკეთო  
ქვეყანაზე, სულ ერთია, მადლი მატლად გაქით-  
ვაო, — არიგებდა ერთი, მეორეს.

მზიას გაეცინა.

ნეტავი ვის რა გაუკეთაო ამ შამაძალლმა.



როდის დააღწევ თავს: სახლებს, საკუა-  
მურებს, შანქანებულებების უფლებებს, გნ-  
ბებს, თავის მატერიალურობუს წერტილ  
კისერს, ვიღაცის ლიმილს, ვიღაცის ლან-  
ძლვას, იჭვების შთისხელა გორგალს? სად,  
სად იშჩირება შენი ჰეშმარიტი ნიშატი?

— შენ იჯექი ხოლმე გახურებულ ღუმელთან,  
ღუმელზე ვაშლის ნაფცევენები ეყარა, ნაკვერჩხ-  
ლის უთო იდგა და ყურმომტერეული ჩაიდანი, გა-  
რეთ თოვდა, ათოვდა ჩვენს ულამაზეს სახლს, ჩვენს  
ბზებს, თუთებს, იასამნებს. მე ვიჯექი და ვიდი-  
ლობდი შენს დამახსოვრებას, შენი ხელების დამა-  
ხსოვრებას, მაგრამ ძნელი იყო, რადგან შენი არსე-  
ბობით იყო მოცული ჟველაფერი და ვერ დაგი-  
მახსოვრე...

ახლა, როცა შენ უკვე იღარა ხარ და, ბედნიე-  
რო, გათოვს, ხელუხლებელი ფიფქი გეფინება,  
მახსენდება: ძალიან გიყვარდა შენი თავი, ოღონდ  
არ იცოდი, რომ ეს ცუდი იყო და არასოდეს ცდი-  
ლობდი დაგემალა, ძალიან კიდევ სისუფთავე და  
წესრიგი გიყვარდა, საღამოობით გზის პირას, ხეზე  
გადმოდებულ კიბეზე იჯექი ხოლმე ყუნწში მოწყვე-  
ტილი ვარდივით ხელში — სალამსა და მოკითხვაზე  
დახარბებულად ყურმიპყრობილი.

გარეთ თოვს...

ასე მგონია, წევზარ ეხლა და მაღლიერების  
კურემლი გასველებს.

ციცა ფანჯარასთან დგას. უყურებს თოვლის და  
თიქობს თავის წილ თოვლზე, რომელიც შორის,  
შორის დარჩა, — თოვლშივე და ხელშეწყვეტვის

ნისლებსა და გორებს იქით, დედობის შემთხვევა  
დელი ზამთარი მოჩანს, — ეზო სავსეა თოვლითა  
და ხეებით. ეს ხეები სულით ხორცამდე შენ გე-  
კუთვნიან: ჩამოუვლი და დალოპრილ დაშაშრული  
ტანებით ყველაფერს გთავაზობენ: ეზო-კარსა და  
მარანს, თოვლსა და ზამთარს, მიწის თბილ წიაღ... .

ბზები, ბზები ხომ გახსოვს? ბზის მოკლე, ღო-  
ნიერი ფესვების გადარჩენილ სიმშრალეს ისე შეი-  
გულებ, შეხედვას ვერ გაუბედავ დათოვლილ  
ბუჩქს — ასე სიცოცხლე სხვანაირი ხდება და ცილ-  
კრ ამოპირული ნაცრისფერი ცაც სხვანაირი.

შერე ძახილი გადაეცელება ყველაფერს. თოვლი  
დევს ვითომც არაფერი. შენ დაჭრილი შეში და ჩა-  
ფოტი მოგაქვს თოვლით გაბრტყვიალებული პირი-  
სახოთ და მშერა: რა არის ეხლა ეს თოვლი? თოვ-  
ლივით მშვიდად ეშვება შენშივე. აი, ყველაფერი  
რაც შენ გაარჩიე და რას-ც ეკუთვნი.

ახლა ანზორა შემოშებს კარებთან  
იხდის და ხელებს იფშვნეტს ღუმელთან. ციცა  
ფანჯრის რაფაზე ზის, წკირივით ფეხებზე ხელებ-  
შემოხვეული.

— ციცა რა სახელია გო, კატა სარ? — ანზორა  
ბამბაზის მოშავო შარვალ-ხალათი აცვია და  
წკრიალით ჩამოსულ ცინგლს მაჯას აშველებს დრო-  
დადრო.

— ბალლო, თქვენ „ფეჩი“ არ ვიდგათ? რაღა აქ

აიტუშები ხოლმე? თითქოს ანუორად ჩაძობირდნა  
წუხელ და მერე აქ იმიტომ მოვიდა, ამავ არასო-  
დეს დაგავიწყდეს ეს თოვლილ ჭირულ წერტილი სიხა-  
რული უვლის ძარღვებში... პრიპლა ირსერეპ

— გარეთ ზამთრის წმინდა სული ტრიალებს,  
კვირიონები ირევიან და ბალჩის ბოლოში ერთად  
იძენდება ყველა სიზმარი.

ციცა ეხლა თუ შემობრუნდება და გზას დაად-  
გება, იმ თოვლისკენ, მივა — მივა და მიიტანს თა-  
ვის ათასჯერ ჩაფერთხებულ სულს, მივა და ჩაიკე-  
ცება იმ თოვლში. სინანულის ფერი გახდება ყვე-  
ლაფერი. ბინდი შეაცილებს სახლში, რომლის წარ-  
წერებით აჭრელებული დარაბები საარყე ქვაბს  
შეუკეთეს დოდი ხანია.

## აღარავერი აღარ მოხდება

„წვიმს, აღარ გათავდება ეს წვიმები? ეხლა  
წვიმას ხომ არ გადაუწყვეტია, შეგვაგუოს თავის  
წიაღს, აღარ გათავდება ეს წვიმები?“ — მხია  
შალწამოსხმული იყუჩება ფანჯარაში, — ორივე  
შეელის რაღაცას — შალიც და წვიმაც.

გარეთ მონარდილი გუბე წვიმით იქარგება. სამ-  
ზარეულოში ჩაიდანი შიშინებს და ქილაში კარგა  
ხნის დამჭერარი ვარდები აწყვია.

სიმშვიდე ჩამოჰქონდა წვიმას.



ვიღაცამ ზარი ჩამორევა.  
მივიღდა კართან.

მზია წელისწილისი

— ვინ არის?

მრავალ უკანასკნელ  
გამოტანის მიზანისას

— გაალე, მე ვარ! შეშა შენ უთხარი?

— ალაზა ხარი?

— მა ვინ ვიქნები?

მზიამ კარი გაალო, ალაზა მთერალი იყო და  
შეუმჩნევლად ირწეოდა.

— ვახ, ეს ქალი გალიშებული დაძანახვა! კაცო,  
რა სუ შენ გიტყდება უველაფერი, ჭადო ხო არა  
გაქ გაყეთებული? — ჭიბიდან „პრიმა“ ამოილო  
ალაზამ, — სპინჯა გექნება!

მზიამ სამზარეულოდან ასანთი გამოიტანა.

— დროზე, ალაზ, სამსახურში მივდივარ!

— ხო, აი, მოვწევ და ჩავსვამ, — ალაზა სკამის  
კიდეზე ჩამოჭდა, ფეხი ფეხზე გადაიდო და გაა-  
ბოლა.


— შენ მანამდე სტოლი აალაგე, რო შეშა გავ-  
შრა... რა სუ შენ გიტყდება უველაფერი. მე ვიცნობ  
ერთ ქალს, სირანა ჰქვიან, გლდანში ცხოვრობს,  
მიეცი ერთი 25 მანეთი და მაისვენებ...

მზიამ მაგიდა აალაგა. ალაზა ბანცალით მივიღდა  
კარგად ნაცნობ ლოჭიის კართან და ზომა აიღო.

საქმის დროს კაცი ჰეგავდა ალაზა.

— აဘი მანეთი! — გამოაცხადა ბოლოს, პაპი-  
როსი ამოილო და ისევ დაირწია.

მზიამ ფული გაუწიოდა.



— რამე ხო არ მავიწყდება?

— არა!

— წავედით ახლა მე და შეუწინებელი.

კიბის თავში კარგა ხანს იჭრებოდა მარტინის ჭო-  
გორიც იქნა, ჩაზღაუნდა პირველ საფეხურზე.

მზიამ კარი გადაეცა და ჩაცმა დაიწყო. „მე  
მართლა ვძერდები“, — სარკის წინ იჯდა და გაბე-  
დულად შეპყურებდა თავის ორეულს. — ვეღარ გი-  
შველის უკვე ვეღარც წვიმა, ვეღარც თოვლი. წადი,  
არაფერი გაქვს საქმე? — ვეღარც ხეები, ვეღარც  
ღრუბელი... წადი ეხლა და იყითხე სარკეში ლექსე-  
ბი, — „მივალ და შენი ხელები ბურუსში დაი-  
ჩირდილა...“ მერე ორივე ხელით მძიმედ ჩამოეყრდ-  
ნო თავის მორჩილსა და დამყოლ მკერდს — დაი-  
ღალეთ?! — ჩაეკითხა და იგრძნო, როგორ გაითქა-  
ფუნა მის არსებაში უცნაურმა ცხოველმა — „წა-  
მება“. ამ სიტყვის ხმარება შეიძლება, ამ სიტყვას  
პირბადე სჭირდება. „უნდა გაიპოს სიმარტოვის პა-  
ერი“ — გაახსენდა რუსიკოს ნათქვაში, წუხელ შემ-  
თვრალი რომ ლაპარაკობდა:

„უმამოდ შეგეძლო?

უდედოდ?

უნათესაოდ?

უსახლვაროდ?

უსიყვარულოდ?

უმეგობროდ?

უყვილაფროდ?

მარტოობა დადი რამეა, ძალიან დოდი რამე, მარტამ, როცა გრძნობ, რომ ვეღარ ასხივებს, იმდენად ვეღარ ასხივებ, რომ მარტოობაში უკერძეულობეჭვი ლონ მაშინ?“ კედლები სავსე იყო წითელი ფორმულა გიდაზე ხინკალით სავსე სინი იდგა და ორაყი: „ლამ-ლამობით ტირილით ვკვდები ხოლმე, აესე ჩამომ-ლიოდა წუხელ ცრემლი, — მარცხენა ხელის ცერ-სა და საჩვენებელ თითის ისვამდა სახეზე — ვიძახ-დი, ღმერთო, ღმერთო, მაგრამ არ შემოდიოდა ღმერთი ჩემში, პირქვე ვეგდე, ხელები ტანის გასწვ-რივ მეყარა და განძრევისა მეშინოდა. ღმერთო, — ვიძახდი, — ღმერთო! წყვდიადი მედგა სულში, სა-შინელი წყვდიადი და ვეღარაფერს ვიგონებდი ხე-ლის მოსაჭიდს, წამოვიდოდა უზარმაზარი ცხელი ტალლა, მიმანარცხებდა უკუნს და სიჩუმეს, მე კი ვიძახდი — ღმერთო, ღმერთო“, — ყელთან ჯვარე-დინად ხელებდაწყობილი ჰყვებოდა რუსიკ და ცრემლები ჩამოსდიოდა.

„ღმერთო, ღმერთო“, მზიამ გაკეცილი გაზეთი მოხერხებულად დაუმიინა დიდ ბზუილა ბუზს და ფეხისწვერით გადააგდო აივნიდან. „აյი ვგიუდები ბალბაზეო, შენს ბალბებს თრი კვირაა წყალი სწყუ-რიათ. მე რომ შემეძლოს მოვუარო ბალბებს, ან რომ ვიცოდე, რატომ უნდა მოვუარო ბალბებს, ხომ ყველაფერი კარგად იქნებოდა?!“ — წყალი დაუს-ხა ბალბებს და წყლიანი ჭილა იქვე დადგა.

საწერ მაგიდაზე ჭალალდები იყო გაშლილი, მზიამ ზიზლით აარიდა თვალი. — რა ადვილია ასეთ დროს ყველაფერი, ოღონდ წერა არამც და არამც,

არამც და არამც... როგორც სულის მითომე, ისე  
თავდება საოქმელი...

მერე ოთახში დადიოდა მზიდ ჭარფუტნების მოე-  
ლი სახლი რა ცივი მოთმინებებუ და უკარის უფერებელა-  
ფერს მისას; მის კვეიან ფიქრებს, მის ქალუო ფე-  
ხებს, მის ვრილობებით სავსე სუნთქვას, მის გუ-  
ლისამრევ „სიკეთესა“ და დაუმთავრებელი სატანჭ-  
ველით სავსე ცხოვრებას. „როგორ მიიხვერნე ფარდები ერთ ადგილას, არ უნდათ ჩემთან! —  
მზიამ პლამჩი ჩაიცვა და უკანმოუხედავად გავიდა  
სახლიდან.

სამარშრუტოში ხალისით აეიდა. მოვიდა ლამა-  
ზი ბიჭი და სწორედ მზიას უკან დაჭდა. მზია  
გრძნობდა, ბიჭი ცნობისმოყვარედ უთვალიერებ-  
და კეფას, ამიტომ უხერხულად, მაგრამ თავისი  
აწურული მხრების იმედით იჯდა.

სამსახურში გუშინ დატოვებულ განწყობილებას  
მიჰყებოდა. გამოჩნდა ვარდისფრად ჩაეამებული  
შენობა. „ლმერთო, რა მოსაწყენი, რა დამთავრუნვე-  
ლი და შემზარავია ჩვენი შენობა, ჩვენი ვესტიბიუ-  
ლი, ჩვენი ოთახის კარი, ჩემი მაგიდა, ჩემი სკამი,  
ჩემი უქრა და უველაფერი.“ შევიდა თუ არა ოთახ-  
ში, იგრძნო, რომ დღესაც ვერაფერს წაიკითხავდა,  
ვერც დაწერდა და ვერც იფიქრებდა. „ნერავ წერი-  
ლი მაინც მიმაწერინა ვინმესთვის, იმ წერილის წე-  
რაში გამოჩნდეს იქნებ, რა მინდა“.

გუშინ „დაპლომბილი“ კბილი ყრუდ სტკიოდა  
და საქმეს უჩენდა.

ხო, მართლა, ის კაცი საავადმყოფოში წევს. —

აი, კიდევ საქმე: დაჯექი ახლა და ითიშობა, გულია,  
გული? ჰა, გრკივა? — თქვი, თქვი...  
ყველაზე ჩვეულებრივ საუბარში გატანილია წერილი  
მოუღენელი ეჭვი და სიძულვილი გიყვება, როგორ სტკივა თავი: — რეპუბლიკური კავკასიონი,  
არა მტკივა, ავდგები თუ არა, ამტკივდება. ამას  
შენ გუუბნება და იქ შენს გარდა არავინ არის და,  
გინდაც იყოს, ვერავინ იყიდის ამ სიძულვილს, რო-  
მელიც ყველაფერზე უარესია: სიკვდილზეც, სირ-  
ცხვილზეც; ათას რამეზე, ასეთ სიძულვილს არ ვი-  
ცი, რა ჰქვია, ოლონდ ასეთ სიძულვილს ვერსად  
გაეძცევი ვერასოდეს, სიკვდილითაც კი. იმიტომ  
რომ ასეთი სიძულვილი შენს არსებობაზე მართა-  
ლია, ასეთი სიძულვილის მერე უნდა მოიყუნო  
ძალივით და მიეგდო. ასეთი სიძულვილი ხმის აძო-  
ულებლად უნდა მიიღო, მიიღო...

„ნეხვზე უკეთესი ბალახი მოდის, მაგრამ ნეხვზე  
მოსულ ბალახს საქონელი არა სჭამს“!

ღმერთო, ნეტავ რატომ მოდის ნეხვზე უკეთესი  
ბალახი, ბატონი?

შეიას გაახსენდა: ეზოს კართან იღვნენ ერთმა-  
ნეთის პირისპირ. კაცს ხელში ბადურა ეჭირა. ბაძ-  
ბის ლურჯი ბადურა. შიგ გაზეთში გახვეულები  
ეწყო. ღირსებით სავსე იღვა ასე ბადურით ხელში  
და ლაპარაკობდა ლამაზად, დამაჯერებლად. „თუ  
წაიკითხული არა გაქვს, წაიკითხე „მებადური და  
ოქროს თევზი“, გარდა ამისა, წაიკითხე უან-ეაკ  
ტუსოს „ემილი“, იქნება ამ დიდმა განმანათლებელ-

მა მაინც გაგაებინოს, რა უპირატესობა აქეს სოფელს აბლავლებულ ქალაქთან შედარებით.

გოგო თრთოლვით ისმენდა უფლებულენობა, და ბედნიერი იყო. იმდენად ბედნივარი, სისტერუსურული ესმოდა. იდგა და ვაშლის ძირში გაფურცულ შიშას თვალს არ აცილებდა. საოცრად ფხვიერ და სუფთა მიწაში იდგა ვაშლის ხე (თითქოს შიგ მზის სხივი ჩავარდნილიყო). გოგოს ძალიან მოუნდა შეხებოდა იმ მიწას.

კაცი განაგრძობდა ლაპარაკს თავისთავს ზედმიწევნით დაუფლებული; — ასი სიცოცხლე, ასი სიცოცხლე არ ეყოფა კაცს, ისეთი საინტერესოა ცხოვრება. მთავარია, სული არ აწანშალო უგზოუკლოდ, დაიგე ერთადერთი და სწორი გზა...

გოგო გრძნობდა, ველარ გაუძლებდა წამებს, რომლებიც მის გარშემო რბილად ირეოდნენ. გაიქცა და ორივე ხელი აურია მიწაში, მერე შეკრული მუშტით მიიტანა და ფრთხილად, ნამდვილი ღიმილით ჩამოიცალა ტანსაცმელზე.

— სულელი ხარ, — გულწრფელად უთხრა კაცმა.

— მე ჭინჭარიც კი მეცოდება! — გოგო იდგა და კალთას იფერთხავდა, პატარა თავი გვერდზე გადაეხარა და ჭიუტად შესცინოდა კაცს.

— წავედი ეხლა, — კაცმა გულზე არ გაიკარა გოგოს სიტყვები, — ჭინჭარს თავი დაანებე და საქმეს მიხედე...

— არავინ შემოდის ბიბლიოთეკაში, ერთმა

თხამ იცის შემობაკუნება მარტო, თანაც ისე დამ  
ცინავად მიყურებს, სუ გული ტეპარება წოლშე

— ეხლა მე იმ თხას ვერ დაუუწყევს სკექნით ჭულა ॥  
ვერც იმას ვეტყვი, დამცინავი ყურადღირებულის უკან  
მეოქი. დაჯექი, იქითხე, ვახსოვდეს...

— შენ მე არ გიყვარვარ, — შეაწყვიტინა გო-  
გომ.

— ვერ მოიქეცი ისე, რომ მიყვარდე და შემი-  
ყვარდები... კაცმა უცნაურად გაულიმა და წავიდა.

გოგომ ცოტა ხანს უყურა. მერე გამოედევნა.  
დაეწია. ვიდრე კაცი მოიხედავდა, ორივე ხელი  
წელზე შემოხვევა და ზურგზე მიეკრა.

ცრემლები ჩამოსდიოდა და ისევ რბილად იჩეო-  
ლნენ წუთები მის გარშემო.

— სულელი ხარ, სულელი, — ძლივს შემოიხს-  
ნა ხელები კაცმა და ატირებული გოგო მეტადზე  
მიიკრა.

„ნეტავ წერილი. მაინც მიმაწერინა ვინმესოვის“,  
ისევ აეკვიატა მზიას. მერე ფანქრით დაწერა ქა-  
ლალზე „ძალიან მეშინია ქალალდის და ჩემი ცა-  
რიელი თავის. როცა ცარიელ ქალალდს დაჰყურებ,  
როგორც ლოკოკინა ნიჟარაში, ისე იწურება მაშინ  
შენი ცხოვრება სადღაც მოუხელთებულში და უმ-  
წეოდ ადგამ თვალს პირველ, სულ პირველ დღეს,  
როცა ქვეყნიერება დაინახე.

„ერთმა ქალმა, ჩემი ცხოვრების დიდმა ავანჩა-  
ვანმა, ჩვენი კამოდის უგრაზე სანთელი დაანთო.

სანთლის ნამწვავი უქრაში ჩატარდა და ხელმარი  
განიცადა.

მახსოვს, როვორ ბრიალეშვილ ქართული კრიკორ  
ისროდნენ ყველაფერს აივნიშვილ ჟირის სკომის ბე-  
ნინეს და დამაყენეს რეინის საწოლზე, რომელზეც  
ფიცრები ელაგა და ზედ მშვენიერი ხაოიანი ხალი-  
ჩა ეფარა. კარგად მახსოვს, ვიდექი ამ ხალიჩაზე,  
„ტრიკოს“ ყვითელი პალტო მეცვა, სადაფის  
ერთადერთ ღილზე შეერტო (ჩემი შეუბლალავი  
სიამაყე). მაგიდაზე კაკლისმურაბიანი თეფში იდო.  
ეზოში, სატვირთო მანქანის კაბინაზე, პატარა ბიჭი  
იჭდა და კალოშიან ფეხებს იქნევდა... გულჩათხრო-  
ბილი დღე იყო, მკრთალი, მკრთალი, შეციებული.

მე ვიდექი ბებერასავით გალივებული, შევყუ-  
რებდი ყველაფერს და არ ვიცოდი, რომ გაზაფხუ-  
ლის იმ მკრთალ დღეს ადამიანის სულში დაუსრუ-  
ლებლად ეწერა გადამღერება.

ან: მოდიოდნენ ორნი. ბალახი მოჰქონდათ და  
მინდორზე გადმოდიოდნენ. მზე ჩადიოდა და თან  
მიჰყვებოდა ყველაფერი. იძირებოდა მინდორი. სიძ-  
შვიდის ფარდებს პფენდა ჩამავალი მზე — „მზე  
ჩადის, ჩაუვები მეც!“ — გოვოს გული გადმო-  
უტრიალა უცბად ჩამორევილმა სტრიქონმა. —  
„იქ, სადაც მზე ჩადის, სიმშვიდის ბაცი ნოხები  
აფენია და მწიფე ხილით დახუნძლული ხეები დგა-  
ნან...“

მოდიოდნენ ორნი იმ სიმშვიდესა და სილაშაზე-  
ში. ერთადერთი, რაც შეუძლებელი იყო ასეთ  
დროს, გარდვეული ფეხსაცმელი და გამოვარდნი-  
ლი ცერი იყო...



ვოგომ მაშინვე გაიხადა ფეხსაცმელი...

ისე ჩაეკრა მიწას ფეხი, ისე მოუხდეთ ქაჭაბეჭა... ისე უმწეო ფეხი დედამიწას... ბებული მისახა

ისევ გამთლიანდა გარეშო.

ვოგოს შეების და მაღლიერების ცრემლი ჩა-  
ლვარა საღლაც შიგნით, ისე, რომ მის დაკოხილ  
ცხვირ-პირს არაფერი შესტყობია.

ან: მოხეეულაივნიანი დაბალი სახლი ედგათ.  
ჰქონდათ რაღიომიმღები, რომელიც, რატომლაც  
ყოველთვის ერთსადამავეს ლაპარაკობდა. ჰყავ-  
დათ კატა კუდა, ქალიშვილი თეთრი ფეხებით,  
ჰყავდათ მოწითალო მეწველი ძროხა, „კრიკოვნი-  
კის“ ბარდები ედგათ, საამურად რომ იყაწრებოდ-  
ნენ. გასარეცხ სარეცხს ვარეთ, აივანზე, ტახტის  
ქვეშ ინახავდნენ. საღილს მარანში აყეთებდნენ  
(უგემრიელეს საღილებს). უყვარდათ თეფშა ვარ-  
დი (ბუგრით სავსე). კედელზე ანტიკვარული თეფ-  
ში ეკიდათ. შუაგაპობილ ვაშლებიანი თეფში, ჰქონ-  
დათ უზარმაზარი ბუფეტი, უჯრებთან პურის დასა-  
ჭრელი დაფით და რატომლაც ნაფტალინის სუნით  
სავსე. ხევზე ორი ფიცარი იღო ხიდის მაგიერ და  
ძირს გაყრევინებული ვაშლები ყოველთვის შეიძლე-  
ბოდა გეჭამა, მაგრამ მათ ედგათ — არ ვიცი, რო-  
გორ ამოვთქვა, ბაღჩის ბოლოში ედგათ ყვითელი  
შვინდი, სავსე ნაყოფით ძირს და ტოტებზე. და მი-  
სი არსებობა, ღმერთო, ნუ მიწყენ, ახლაც ასე მგო-  
ნია, მარტო მე მეხებოდა. ამ შვინდმა შემოჩეხება  
იცოდა, ყვითლად ბრიალებდა და ღვთის თვალი იმ-  
ზირებოდა იმ სიყვითლიდან.

სახლს ჰყავდა თავისი უფროსი, მაღალი, თხელი,  
წესიერი კაცი. დღეში ორ-სამჯერ ამბობდა რამეს  
და დიდი უურადლებით უსმენტრეს! მერთულს მშეგერ  
კაცი გრძელი, ჩუმი ნაბიჯებობი პლაზმრულს ცენტრში  
მეტისმეტად გამართული. ხშირად მოქონდა ძრო-  
ხის ხორცი (წვნიანები უყვარდა ძალიან). ქალალდ-  
ში შეხვეული ხორცი ხელისგულზე ედო და ყურის  
გასწვრივ ეჭირა ხოლმე. ოჯახის დიასახლისი ამ  
ხორცს ისეთი სანატრელი ყურადლებითა და სინა-  
ზით ართმევდა ხოლმე, როგორც ყველაფერს, რა-  
საც ეს ხელი მოიტანდა.

ზაფხულობით ფეხთეთრა იწვა ხოლმე დიდ  
ოთახში. (ის დიდი ოთახი ზაფხულობით მახსოვს,  
ზამთრობით სად მიღიოდა ის ოთახი არ მახ-  
სოვს). იწვა ხოლმე ის ფეხთეთრა ოთახში და სულ  
ცოტა რამეზე მოდიოდა ხოლმე აღტაცებაში, რო-  
გორც ყველა ბედის ნებიერი, მუჭში იყრიდა ბლის  
კურკებს და თეფზე აწყობდა. მერე არ ვიცი რა-  
ტომ, ბილწი ლიმილით მეითხვდა — დედაშენი მო-  
გენატრა? და მიყურებდა, მიყურებდა მოწყენილო-  
ბისგან გამომძრალი და ასე მგონია, ასეთ დროს  
ვუყვარდი კიდეც.

მერე გათხოვდა ფეხთეთრა. ქორწილში გარ-  
დისფერი კაბა ეცვა და შავი ლავის ფეხსაცმელი.  
საჩვენებელი თითო პირთან პქონდა მიტანილი.

ძალიან მომეწონა ფეხთეთრას ქმარი, — უცბად  
შემიყვარდა. ერთხელ რბილ აღვილზე მიჩქმიტა და  
მითხრა, — ცხვირსახოცი არა გაქვს, ცხვირი მოი-  
წმინდეო! „იმან მითხრა, ცხვირი მოიწმინდეო“, —

გავიძახოდი მთელი დღე. „ეგ უნდა ათქმევინუ ვწე-  
მეს?“ — დამტუქსეს. მე კი მიყვარდა ის კაცი თმ  
ლამობით მესიზმრებოდა. ჩემეენ მოდიოდა დიდი  
გრძელი ფეხებით და მითბებოდა შესრუჭულა უზღვი  
რა მხრები. დავიხახავდი, გამოჰუყუფტერა უწუაც ა  
გორც კვიცი, დაურიდებლად, კისრისტებით, ოდნავ  
გაუსსრებდი და მერე ნელა განვაგრძობდი ვზას.  
„ოპ!“ — დამინახავდა და იტყოდა — „ოპ!“ მე  
ვგიდებოდი ამ „ოპ“-ზე და მივდიოდი ფეხშიშვე-  
ლი, თმაგაჩეჩილი და რუის პირპირ დამტვერილ  
ყვავილებს ვიმახსოვრებდი, რათა დამეურვებინა  
ჩემი სულის შემხუთავი სიხარული.

ჩაეყურებდი დამტვერილ ყვავილებს და ვცდი-  
ლობდი გაგებას, ხელითაც ვეხებოდი და ვცდილობ-  
დი, გამეგო რამე. ასეთი დაკვირვება მე ყოველთვის  
ენით უთქმელი მწუხარეპით მიესებდა სულს. რად-  
გან ყველაფერი, რის გაგებასაც ვცდილობდი, განზე  
იწევდა, ქრებოდა, იყარგებოდა და მე ცარიელი  
სხეული ვრჩებოდი. მძიმე, გაუგებარი სხეული, საი-  
დანაც გაქცევა მინდოდა სირცხვილისა და უბადრუ-  
კობის გამო.

მერე ის კაცი და ფეხთეთრა გაცილდნენ ერთ-  
მანეთს. ის კაცი იდგა მოხეეულ აივანზე და ჩხუ-  
ბობდა, — ასე ცხოვრება მე არ შემიძლიაო. ფეხ-  
თეთრა ტიროდა. მე ვხედავდი ოეფშავარდი მჯერ-  
დით როგორ აწყდებოდა მავთულის ბაღურას —  
თავდავიწყებით ჩართული ფეხთეთრას ცხოვრება-  
ში.

წავიდა ის კაცი. მერე ორჯერ თუ საბურთ დაშე-  
სიზმრა კიდევ. წავიდა, გაქრა...

ან: ღმერთო, ნუთუ ადამიანი ისეთი დიდი ვინ-  
მეა, რომ არ შეუძლია წარსულში მუშაობრივი  
ლად მოუმტკივნებლად წასვლა ჰქუმრაში უშესული  
იმ დღისთვის გეძლევა, როცა უკვე იცი, ვინა ხარ  
და საით მიღიხარ?.. როცა ყველაფერში ჩამხრჩა-  
ლია დასაწყისიც და დასასრულიც. არსებობის მი-  
ზეზიც და არარსებობის მიზეზიც. ვერშეცნობა და-  
გვრჩა. ვერშეცნობის წინაშე ვდგავართ. იქნებ ეს  
არის ერთადერთი და ჭეშმარიტი გზა — ვერშეცნო-  
ბა და არა ეკლესიის მბზინავი ჭიმი?!

შესვენება დამთავრდა, ყველანი მოგროვდნენ;  
თინიკო პყვება, ვიღაც ბიჭი როვოჩ მომვდარი.  
ცოტა უცნაური, ცხოვრებაში ვერდატეული ბიჭი,  
უცნობი, შოოჩი... შოოჩი...

— ტელეფონთან!

მზია კარგა ხანს ელაპარაკებოდა თავის მეგო-  
ბარ ქალს.

ამ ქალთან თავს მაშინ გრძნობს კარგად, როცა  
აზრის მაგვარი გაუფანცქალებს თავში. რომ მერე  
სტუმრად მისულმა ერთი-ორი გულწრფელი ინტო-  
ნაციის შემდეგ ფრთხილად (ისე, რომ არაფერს  
წამოედოს) ამოშაქროს.

ეს მეგობარი ქალი ყოველთვის სუფთად ექცე-  
ვა. მზია გრძნობს, ეს სისუფთავე მეტწილად თავის-  
თვის სჭირდება.

ეს ამბავი დროდადრო აუტანელი ხდება ხოლო  
მისთვის და თვეობით იყარგება.

სულ ცოტა ხნის წინ მასთან საღილობდა. ჭალი /  
დაიხარა და თავზე აკოცა. მზიამ ლუკმე შეწერ ფურცელი  
ყლაპა, სულში მძივებივით რაღაც გამოიყენებია კარგი  
ცარი უმწეობა იგრძნო და ისე დაიკარგა.

მზია ეხლა ქუჩაზე გადადიოდა. პლაშჩი პირველ  
ლილზე ჰქონდა შეკრული. ხელები ჭიბეებში  
ეწყო — „სულ თქვენ უნდა გიყუროთ?“ — მზიამ  
ჭიბეებში ჩაწყობილი ხელებით შემოიხვია პლაშჩი.  
თავიანთ მხრივ აბსოლუტური გულგრილობით  
იდგნენ ხეები, სახლები, ცის მოზრდილი ნაკერი,  
რასაც თვალი გაიტანდა და ბევრად უმნიშვნელო  
რამე: ხან რა და ხახ რა... მერე ავიდა ჭუჭყიანსა  
და ციც ავტობუსში, უკან დადგა ზურგით ავტობუ-  
სისაჟენ და გარეთ დაიწყო ყურება.

გარეთ შემოდგომა იდგა. „შემოდგომობით იწყე-  
ბა ჩემთვის წელიწადი, შემოდგომობით სულს ვი-  
ბრუნებ ხოლმე, ყველა სატყივარს ვართავ დ ვატან  
შემოდგომას. ისე უცნაურად და ისე ლრმად გა-  
შიშელდა ბალი მე კი ვერაფერს ვგრძნობ შესა-  
ფერს. მით უფრო ვერაფერს ვამბობ. ცვივიან ფოთ-  
ლები. უცნაურია ფოთლის სისქე!.. მზიას გაახსენ-  
და: „წამოვუსვამდი ხეთა კენწეროებს ხელს, სხაპუ-  
ნით შევაგროვებდი მუქში და მივდიოდი წამით  
სულმობრუნებული, მერე სულ მალე ქარში ვკარ-

გავდი და აღარც მქონდა იმათი დარდი... — ამა-  
საც მთვრალი რუსიკ ამბობდა.



კარის სახელურზე ცეცხლის კლეინი მწოდებელი პა-  
ტარა წერილი. მზიამ კიბეებიღანვე შენიშვა — „ვი-  
ყავი — წავედი“... ეწერა წერილში. მეტი არაფერი.

სწრაფად შევიდა სახლში. სახლში სიღარიბის  
ნაცნობი სუნი ტრიალებდა. გამოტოვა ეს სიღარიბე  
და ჩექმების განდისას გულშიჩამწვდომი ხმით თქვა:  
„რა კარგია შენი სახლი“ (როცა შევიძლია შენს  
თავს ხმამაღლა უთხრა რაიმე, ეს კარგია, მგონი).  
ასეთ დროს ვალდებული იყო, გაეხსენებინა ყველა,  
ვინც ამ სახლის მოქონიებაში დაეხმარა, მაგრამ  
დაეზარა. უფრო მეტიც, ზიზღი იგრძნო მათდამი.  
მობეზრდა მათი წინ წამოწეული კისრების წარმოდ-  
გენა იმისათვის, რომ რაც შეიძლება ნამდვილი  
უთხრა.

ვინ, ვინ უყვართ სიკეთისათვის?..

მზიამ წერილი წიგნის თაროზე, მინის უკან  
შეაცურა. ახლა იქ ენთო ცეცხლის ალივით ის წე-  
რილი.

სულმოუთქმელად იწერებოდა პასუხი:

....გახსოვს, ორლობეში მელის გასაძვროში  
რომ დაგანახვე? რა იყო ის ორლობე, რა ლექსივით  
იყითხებოდა, ციცინათელების სახლი? ლექის ქალე-  
ბი რომ გადიოდნენ შოროხში? შენ დამიძახე: —

გახედე, გახედე, როგორ გადიან წყალში! ქაოფბე  
კალთააწეულები გადიოდნენ, ისინიც ლამაზები  
იყვნენ. სავსე ღლე იყო, მეტი არაფერი იყო იავი-  
რო. თუმცა მანქანაში ჩაჯდომისას შეწარმოვადა დაუჭრა  
ციცებით გადმომიტერთხე. ამდენი უდიდესი რეაცია  
მეძლო. „გულს რა ვუფარო ფარად, რომ დავითა-  
რო გული ჩემი, საბრალო გული?“ ეს ჩემი სტრი-  
ქონებია გამწარებულმა დავწერე ერთხელ. ისა, ის  
დაგვავიწყდა? — მელიტონ, მელიტონ! — პატარა  
ბიჭი ეძახდა პატარა ბიჭს. თითქოს ზარები რეკდ-  
ნენ, თეთრი ზარები, მქროლავი ზარები. გახსოვს?  
„როცა ძალიან შეგეცოდება შენი თავი ან გული  
ავტკივდება, მიდი და კედელს აეკარი ზურგით. ასე  
სიმხნევე დავიბრუნდება. რან მხარგაშლილი და  
თავაწეული სადამდეც ვინდა, იქამდე მიაცილებ  
ტკივილს. სერიოზულად გეუბნები, მართლა, მართ-  
ლა“. ამას წინ დამესიზმრა, კარგი სიზმარი იყო.  
შენ არაფერს ამბობდი, იჯექი და უთქმელად მეუბ-  
ნებოდი უკელაფერს. მიყურებდი შენებურად, ჩუ-  
მი აღტაცებით, დაჩაგრულივით. მე ბედნიერების  
ტბაში ვიდექი და როცა ვამომელვიძა, სულის ტკი-  
ვილი ვიგრძენი. ეცდილობდი, ისევ სიზმარს დავბ-  
რუნებოდი და სახეზე საბანს ვიფარებდი.

მილალებოდნენ ღამეული ჩვენებანი. მართლა  
ღრუბლებივით მიირწეოდნენ და რატომლაც ჩემს  
ბავშვობაში იყარებოდნენ.

გახსოვს, როგორ გვინდოდა ალავერდში ავსუ-  
ლიყვით?

ეხლა რაღა წამიყვანს ალავერდის გზაზე. ეხლა

რაღა დამაწევენს მინდვრის უმნიშვნელო /უკავილებ-  
ში. დამტრია სოლივით გულში შეტყობინდა და /აუხ-  
დენელი სურვილი და ალავერდის ვალებისაკენ  
საიდანლაც გადმოკრულ ნიავს ფაზისტულოჲა: წრო-  
დადრო ჩუმ კვნესასავით. პირდაპირ ერთ

თუმცა შეს გადარჩენილივით გიყვარს შენი ჩამ-  
ქრალი, ხელუხლებელი ოცნების გასტუმრება.

ვინ იცის, ახლაც უზიხარ შენს გადაქცეულ  
ოცნებას: მყუდრო სამყოფელი სადღაც უცხო მხა-  
რეში, ბუხარი, ბუხრის წინ დათვის ტყავი, შავი  
ლვინო და კოცნა, და გეზარება ცხოვრება. რა, რა  
შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი შეგხვდეს ცხოვ-  
რებაში, ვიდრე ატირებული სულია... და მე არ ვი-  
ცი, რატომ დავადგებით ხოლმე ერთმანეთისაკენ  
მიმავალ ძალიან შორეულ და დამქანცველ გზებს,  
აღარ თავდებიან ეს გზები, აღარ თავდებიან, თვით  
სიკედილამდე...

ნუთუ ვერასდროს დავიჭირ ბაწრის ბოლოს,  
რომ გამოვარლვით ნება-ნება... წამოვალ თოვასა-  
ვით... წაეფინება ჩემი სული სახურავებს, ხეებს,  
ლობის მარგილებს, ტალასს და წუნწუსს, თვალის  
გუგებში შეეპარებათ ლამაზი თოვლი ადამიანებს,  
ჩემზე გადმოივლის ფიჩხავიდებული კარგი ქალი და  
არასოდეს ეცოდინება, რომ თვალი შეასწრეს.  
ძველ სამჭედლოსთან ხარს წამოაქცევენ დასანალად.  
ლონივრად გაგფხავნის ხარის ფეხები. სამჭედლოს  
უკან დათოვლილი სარებიც კი შეემატებიან გარე-  
მოს თოვლის გამო...

ჩემო ძეირფასო, იყავი კარგად. დღეს 19 ნოემ-

ბერია, 1981 წლის. ვერა, ვერასგზით ჰყო დაინტენციურებ ამ დღეს, ამ წუთს. ინავლება, ქრება და რატომლა დავაცურებ კალამს ქალალუზზე. რვსება ქალალდი და იწრიიტება უველაფერი. რუმისტები ჩერები რიცს გწერ სადღაც ნისლიდან, ჰიმტურები შესჭრა გამოწვდილი ვარ და მენატრება შენი ნდობით გაბრწყინებული თვალი.

ბინდი მძიმელ იდგა ფანჯარაში და უსასრულობის რომელილაცა კუნკული დღესასწაულობდა ამ სალამოს...

შეია ტახტის კუთხეში მიიკუნვა, — კარგი, — საკუთარი ხელები შემოიხვია, — კარგი, ოღონდ ბოლოს, ყველაფრის ბოლოს დაიჭერე, რომ არსებობდა ასეთი გაუსაძლისი წაშეი და თითქმის შეუძლებელი სიცოცხლე...

## ცაჯა მთვარე მიცურავდა

კინომოთხოვა

ჯერ არ გადაუვლია შემოღვომას კალთებდაბერტყილი, ნაჯაფარი ქვრივივით ბაღჩა-ბაღებზე, ტყის კენწეროებზე. ჯერ არ მიბჯენია მის ნაღვლიან ზურგს ქეეყნიერების თვალი, ნისლებიდან არ გამოფრენილან ულამაზესი ჩიტები კვირიონები — ჯერ მხოლოდ ეშვება ლევის მთიდან. გამოუთქმელი ჩქა-

მით იქსება ყველაფერი და დაპერილი, მაძიარი იქ-  
რი ადევს გარემოს.

რთველია; ბლუილით დაპერილი ყველანით თავ-  
მობმული თვითმცლელები, ზღუდულის წულაკმნეთს  
ესვრიან ყურძენს. 

ყველანი აქ არიან: თავმჯდომარე, მეველები:  
ბაწრო, გივილო, ქეთო, ბაბულა, ხიჩხალა, კოლა,  
ანა, გოგო-ბიჭები — მთელი სოფელი.

თავმჯდომარემ რიგებში ჩამოიარა. ერთგან  
ყურძნის მტევანი გაშხლართულა გაბნეული მარცვ-  
ლებით, რიგში მიხაյო და მისი ცოლი კრეფენ ყურ-  
ძენს.

თავმჯდომარემ წამოკრიფა მარცვლები. სასოე-  
ბით შეუბერა და მიხაյოს გასძახა:

— მიხაյო, რა გამიხდი, შენ, კაცო?

მიხაյომ აქეთ-იქით გაიხედა.

— შენა, კაცო, შენ გეძახი, ლორის ბარებალ რო  
გევხარ, დახრა-ახრა რათ გეზარება?! ხო არ გინდა  
ი შენი დამარმარებული ვენახი პირწმინდათ გამო-  
გიკრიფო? ნამუსი არ უნდა გქონდეს ამ დროულ  
კაცა?

— კაცო, შენ ნუ იცი ფინთათ გადაეიდება!  
გამოკრიფე და გამოკრიფე, ჩემი და თქვენი რაშ  
გაყო! — გაბრაზდა მიხაელ. დასტაცა ორ-ორ ვედ-  
როს ხელი და ძანგაძუნგით დაიძრა გოდრებისაკენ.

თავმჯდომარემ გზა მისცა. მერე მიძყვა თვითო-  
ნაც და თავმობმულ თვითმცლელზე დაყარა ერთი  
მუჭა მარცვალი.

რიგში მომავალ საბედოს ვედრო მოაქვს. თავ-

მჯდომარემ ზედ არ შეხედა, ისე გამოაწითვა და გა-  
მოიტანა. საბედო უკან მოჰყვება თავსაფრეც სწორ  
რებით.

ხან ვენახის თავში ტრიალებს პირვენი სისტემა  
ხან ვენახის ბოლოში.

ანა ვაზის ძირში ზის თავის შიფონის აეთრ სა-  
ყელოიან კაბაში გამოწყობილი, ყურძნის მტევანი  
უჭირავს და მარცელავს. კოლა ჰქონდეს, ყურძნებს,  
მერე ცოლთან მთული ლამაზი მტევანი მიაქვეს. ანაშ  
გამოართვა და კალთაში ჩაიდო.

თავმჯდომარე დააღვათ თავზე.

— კოლავ, შენი ცოლი შეუძლოთ არი?

ეიდრე კოლა პასუხის მოახერხებდა, ანა წამოდგა,  
ყურძნის კრეფა დაიწყო, თან პასუხი გასცა თავ-  
მჯდომარეს, დიდად ნაამებმა იმით, რომ ლაპარაკის  
მიზეზი მიეცა.

— ჩემი პირველი მეულლის დალუპვის ამბავი  
რომ შევიტყვე, ელდაზე გული გამიხდა ცუდად...  
მას მერე გული მაწუხებს! — თვალები აუცრემლდა  
ანას.

წარბაზიდული თავმჯდომარე იმავე პოზაში  
დგას, კოლას რომ ჰქითხა, შენი ცოლი როგორ  
არისო და კითხების ნიშანს დამსგავსებული უსმენს  
ანას.

— რა ვქნა, ვერაფრით ვერ დავივიწყე ჩემი  
კიანა, იმის დამკარგავი... ან ცოცხალი როგორა  
ვარ...

თავმჯდომარემ აღარ აცალა:

— უნდა გამოგეგლოვა ჭერა, შე კაი ქალო, შე-



ნი პირველი ქმარი და მერე გამჭოლოფა კონსა! ან  
შენ თავს რას ერჩოდი, ან ჩვენ?

თავმჯდომარებ გზა განაგრძელებულ უკუნდია უკან.

— უზრდელი, თანამდებობისათვის შეუფერებელი! — ჩაინურჩულა ანამ და უხალისოდ განაგრძო კრეფა.

ხირხალა და ბაბულა რიგში ჩაშსხდარან. ბაბულას დაუწყვია გაზეთზე კატლეტები, პური, კვერცხები, ატმები და საუზმობენ.

თავმჯდომარებ უბრად ჩაიარა.

ერთგან ყურძენს გოგონები და ბიჭები კრეფებ. ბიჭებს გააქვთ ვედროები, გოგონები კრეფენ და მლერიან.

ნისლით დაიბურა  
ახალსოფულის მოები,

ისე მოგეხვევი ალარ მოგცალდები,  
ნეღა მიმატოვებ, მოდი, გელოდები...

— მელოდები და მოველ! — ცარიელი ვედრო დადგა ბიჭმა.

— განა შენისთანა მურიანს ველოდები რო, — გაიპრანეა გოგო.

ბიჭმა კეფა მოიფხანა და თავდაჯერებით ჩაიცინა.

თავმჯდომარებ აქაც ჩამოიარა.

— აბა, მოუმატეთ, მოუმატეთ კრეფასა, განა არშიყობასა, დავწუროთ ყურძენი და დაგაბინაოთ თქვენცა..

მერე ვენახის ბოლოდან მოისმა მისი ხშა.

— ვისა სძინავს ეხლა თქვენს გარდა, მაშე ეხლა  
ძილის ღრო? თქვენი!.. — დანარჩენში წერილი  
აგრძელებს გაოცებისა და სიბრტყის წერილი ჭურა  
დაკარგული თავმჯდომარე.

ბაწრო და გივილო თვალების ფშვნეტით ჩამო-  
ლიან ორსართულიან საყარაულოდან.

— როდისა გძინავ, ამაი ძილ ეძახი, კაცო?

— არა გძინავთ, არა? მაშე ეს ძილი არ არი, სხვა  
რამეა, არა? არა გძინავთ და... — ყვირილს უმატა  
თავმჯდომარემ, — ამის მერე (საათს დახედა) საათ-  
ში ერთხელ ისე უნდა იყვიროთ, კანტორაში ვიყო,  
კანტორაში გავიგო, სახლში ვიყო, სახლში გავიგო,  
ყვარელში ვიყო. ყვარელში გავიგო!.. გასაგებათა  
ვთქვი? — ყვირის თავმჯდომარე.

— გასაგებათ, კაცო, გასაგებათ! — ბაწროშ  
წყლიან ვედროს წამოავლო ხელი და გივილოს გა-  
დაავლო.

სატვირთო მანქანაზე მხარმოყრდნობილი, თავმ-  
ჯდომარის მძლოლი ბურნეთა დგას. 23—24 წლის  
ჯან-ღონით სავსე, გარუჭული ბიჭი. ყურის ბიბი-  
ლოსთან გაყოფილი, ცალ მხარეს აკოკოლავებული  
თმითა და ცხვირის ჩაყოლებული მზერით. ჩითის  
წითელი, წვრილუჯრებიანი პერანგი ორ-სამ ღილზე  
აქვს შესხილი.

დალლილ-დაქანცული თავმჯდომარე და ბურნე-  
თა სატვირთო მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ.

\* \* \*

მზის ჩასვლისას სატვირთო მანქანებულა ჩამოდგნენ ხალხის წასაყვანად, ბაწროს ფლიშებით უკუელას ამოწმებენ.

ბაბულა გოდორთან მიიყვანა ბაწრომ, წინსაფრის კალთა ჩამოუშალა და ჩააცლევინა მოპარული ყურძენი.

მოჩანს ბალახებში დამალული ყურძნით თავმობმული ორი ვედრო.

დაცარიელდა ზერები. ბაწრომ და გივილომ შემოუარეს ვენახს და საყარაულო კოშკზე ავიღნენ.

სოფლის მოედანი. ელექტრონის ბოჭე გამოკიდებული ხორცი. გზის ორივე მხარეს იხვებით საესე რუები. შენებარე ობიექტი — ერთსართულიანი მოვრძო შენობა. „საყოფაცხოვრებო მომსახურების სალონი“ იქვე რეინის გრძელ ფირფიტაზე პლაკატია გაკეთებული „კარგი შრომა, კარგი ცხოვრების საწინდარი!“

„დიდი გზა“ — სარეცხის თოვით არის გადაკეტილი, რაც იმას ნიშნავს, რომ სოფელში რაღაც ლონისძიება ტარდება და დასწრება აუცილებელია.

თოვის ერთი ბოლო ღობის სარჩეა გამობმული, მეორე კი 10—12 წლის ბიჭის უჭირავს. ბიჭის დიდი, გადმოჩახული ყურები აქვს. ძველი გამონაცვალი ჯემპრე აცვია, წელშე ბრტყელი ქამარი აქვს შემორტყმული და ცალ ხელში ყუნწში მოწყვეტილი ვარდი უჭირავს.

ზევიდან გივიას კბილა გოგო — თინია მოდის.

გივიას წინ ჩერდება და დაბმულ ძალით აღ-  
ზიანებს ბიჭს.

— შენ, ბიჭო, სულ ერთ ადგილზე ჯერ მარტინი და  
ჩვენი ვირივითა და ატყაპუნებდებ ჩიტუქებულებებ  
მოვა ხვალ სკოლაში და დაიწყებს: მასწავლებელო,  
გუშინ კომბოსტოს, მწილსა ვდებდით და მთელი  
დღე კომბოსტოსა ვრეცხავდი, მასწავლებელო,  
იმოდენა ზარალი ვნახეთ, დედა ღორი დავკარგეთ  
და... ნახე თუ არ ვუთხრა ნანი მასწავლებელს მთე-  
ლი დღე რო აქა დგახარ, ნახე!.. — დაემუქრა თინა.

გივიას ვითომ არ ესმის.

ეენახებიდან დაბრუნებულ ხალხს გზა თოვით  
გადაკეტილი დახვდა. მანქანა მოედანზე გაჩერდა.

თავმჯდომარე ყველსა და პურს ჭამს გაჩქარე-  
ბით და თან რაღაცას ელაპარაკება ბურნუთას.

მანქანის კიბეზე ჩამოყრდნობილი ბურნუთა  
მრავალმნიშვნელოვნად ჭუტავს თვალებს.

— რასა ბრეცავ, ბიჭო, მაგ თვალებს, მოდი,  
გადახსენ მანქანის ბორტი, ჰა! — დაიძახა ვილაცამ.

— ყველანი კლუბში წავალი! დღეს ჩვენთვის  
კინოფილმ „მესაზღვრეს“ აჩვენებენ, მარტო მუშაო-  
ბა არ გვეყოფა, დასვენებაც საჭიროა, კულტურუ-  
ლი, გააზრებული დასვენება! — ამბობს თავმჯდო-  
მარე.

— კაცო! კინო და თეატრი მაინც ნახეთ, ნამუ-  
სი აღარა გაქვთ? — იყვირა ყინტორა გლეხმა.

გაჩალდა დავა-კამათი. თავმჯდომარე დაბლა  
დგას. ხალხით გატენილი მანქანიდან ვინ რას ამ-  
ბობს არ გაირჩევა.

— წავალთ, ვეღრებ დავუძინოთ, პის დაქიბანთ  
და მოვალ, კაცო! — ახლა სხვამ გაფრთხიდახა.

— არაა! — თავმჯდომარებელი შეტყუშდა ქუცკმა  
გადაყლაპა. ხელები მოითშვენებულ ჰავაშეჭუკარა!  
ამ წინებზე ხო გდიოთ... მარტო მერმეთა და აფე-  
რისტი სიკო მესხდნენ კლუბში. ჩამობრძანდით  
ეხლა და ნახეთ მხატვრული ფილმი „მესაზღვრეე-  
ბი“, უველავერი მე როგო ვნახო თქვენ მაგიერ...  
ჩამოდით თორე, მეც დაგჭირდებით ხანდახან!

უცბალ მანქანაზე ახალგაზრდა ბიჭის წაატანა  
თუაღმი და დაუძახა:

— ვანო, ბიჭო! წაიყიოხე 25—26-ე გვერდები?  
არ მომატყუო, იცოდე?!

„ვანო ბიჭმა“ თავი ჩაღუნა.

თავმჯდომარებ პროზაულად გადააფურითხა. უ-  
რე შესაბრალისად მიუბრუნდა ხალხს: — შასათ  
„ქრისტინე“ უნდა გავასამართლოთ, ვიდრე მოს-  
წყენი იყო. დავსვი კაი პურმარილზე და ვუკითხე,  
ისეთ ადგილზე გაეჩერდი, ვიფიქრე ახალგაზრდაა,  
ცეცხლს მაიკიდებს-შეთქი და აბა, უყურე შენ! ...  
ისევ გადააფურითხა თავმჯდომარებ.

ამასობაში იფერისტი სიკა მანქანიდან ჩამოპა-  
რულიყო, თავმჯდომარებ ლობეზე გადამხტარსღა  
შეასწრო თვალი და დაუძახა:

— პაი, იფერისტო! დედას ვიტირებ თუ არ გა-  
გაძევო შავი დედალივითა, მაიცა!

მოიხედა და ახლა სხვა მიძურწება, თან თავშ-  
ვდომარეს უელს უწევს, შეუმნევლად გავიპარე-

ბიო. თავმჯდომარებ ხელი ჩაიქნია. რაცი გამარტ/ ბული წავიდა.

ბურნუთამ ბორტი გადმოხსნა ჭრა წერტილურს/ ხალხი. გარუჩული გლეხები — ქალაქის ჭრა წროვები ბა-ხუმრობით, ლანძღვა-გინებით ჩამოაქვთ ვედ-როები, კალათები.

— არ უყურებ, — სულ ერთია არ უყურებ თქვენი ჯიბრითა, თვალებზე ხელს ავიფარებ და ისე ვიჯდები თქვენი თვალების დასათხრელად! — ცალი ფეხი მანქანაზე აქვს, ცალი მიწაზე, წიო-კანთ ქალს.

— ჰაათ, ჰაათ! — ორივე მკლავს ხეირიანად ხმარობს თავმჯდომარე, ცხვარივით მიღენის ხალხს კლუბში.

— ვედრო! ჩემი ფუთიანი ვედრო შემიცვალა კილაცამ. — აკივლდა წიოკაანთ ქალი და გავე-ბული დაერია ვედროებს, ვილაცას გამოპგლიგა ხელიდან.

— ჩემია, ქალო, რა გინდა?! — ვედრო გადმო-აბრუნა და ნიშანი აჩვენა იმ ქალმა.

წიოკაანთ ქალმა ხელიდან პირდაპირ გააგდო ვედრო, იდგა, ხელში ვილაცის ძველი ვედრო ეჭირა და ყვიროდა.

— გურჯაანში გაველ ფუთიანი ვედრითვინა, აგრემც აღარა შესულა რა იმის სახლში, ვინც მე ვედრო შემიცვალა!..

ამ წიოკობაში მანქანიდან დინჯად ჩამოშავალ ხირხალას შენიშნა თავისი ფუთიანი ვედრო და ეცა.

— შენ არ გაიხარე შეიან ქაუყანისა, უ ფუ-  
ტუროვ, შენა!

ხირხალა თავს იმართლებული უ უკუმიშედია,  
კაცო, ვედრო იყო და ავიტები შემოწყობი ჟენისი  
ვედრო რა ჩემ ფეხებად მინდოდა!..

დაღგა ვედრო და თავისი აილო.

— მაიფშრუენით, დიდ პატარიანად მაიფშრუ-  
ენით, თქვე შავწყალ დასხმულებო, თქვენა! —  
ყვირის პირაქაფებული ქალი.

— ჰაი, რატო ჩემი ცოლი არა ხარ, რო თხილის  
სახრე არ მოგაცილო მუდამ დღე! — სინანულით  
გააქნია თავი ხირხალამ.

ჩხუბს შეშტერებული ახალგაზრდა გოგო ხელის  
კვრით გამოაფხიზლა შეახნის ქალმა და წინ  
გაიგდო.

ნაომარმა ქალმა ტუჩები მოიწმინდა, თავსაფარი  
გულდაგულ გამოისკვნა კეფაზე და კუშტად ჩადგა  
დედაკაცებში.

ყაყანით, ვედროებით, ჩანთებით შევიდნენ  
კლუბში.

— სიჭკვიანე! — დაიძახა კინომექანიკოსმა.

გადის მხატვრული ფილმი „მესაზღვრები“.  
ფილმი მესაზღვრეთა ძალლების გმირობაზე, შათ  
გამჭრიახობაზე და ერთგულებაზეა.

უმრავლესობა თავის საქმით არის გართული.  
წიოკაანთ ქალს ცალი ხელი თვალებზე აქვს აფა-  
რებული და წინა რიგს ჩამოყრდნობილი კითხუ-  
ლობს:

— ჴა გო, გათავდნენ, — ალარ გაათავებენ?

თავმჯდომარებ რიგებში ჩამოიარა.

— ზოგიერთი თავის მტერი კინოს არ უყუ-  
რებს! ქართველური

— არ უყურებ, დიახ, არ უყურჭმის ჟიშვის აწყიცებ  
რით! — გასწივლა წიოკაანთ ქალმა.

— არ უყურო და ათ შრომა დღეთ გიანგარი-  
შებ! — არ უყურო!

წიოკაანთ ქალმა თავი წამოყო.

თავმჯდომარეს გაელიმა:

— კარგი ქალი ხარ, წიოკაანთ ქალო, მაგრამ,—  
თავმჯდომარემ ნიკაპი წინ გაიწვდინა, ენის წვერი  
გამოყო, ზედ საჩერენებელი თითი მიიღო და ხელი  
გაიქნია, ენა არ გივარგაო იმის ნიშნად.

ეკრანზე მესაზღვრეები ძალლებს წვრთნიდნენ.

— არავინ დარჩეს, ყველა გააღვიძეთ! — თავშ-  
ჯდომარე რიგებში გულდაგულ დაღიოდა და სხვებ-  
საც აფრთხილებდა.

საღამოს ავტობუსს ჩამოჰყვა მაყვალა. ოციოდე  
წლის განსაღი შესახედაობის გოგო. გულამოვრილი  
კაბა აცვია. მეტადზე ხელაფარებულმა მსუბუქად  
აიტაცა უზარმაზარი ჩემოდანი.

ზორბა ტანის მოხუცი დედაქაცი ლობის ძირში  
გრძელ სამეზობლო სკამზე ჩამომჯდარა და პარკი-  
ლობიოს არჩევს, თან ამელელ-ჩამომელელს ათვა-  
ლიერებს.

— თევო ყვენწაშვილი სად ცხოვრობს ვერ  
მეტყვით? — ჰეითხა მაყვალამ.

— დიდ კაცლებთან. ცოტა უნდა, მურა არხვივ  
და დიდ კაცლებთან! — ხალისიშვილის მოხუც-  
მა ქალმა.

— ვისი ხარ, შვილო? — უჭირულა მწყალუაჭერა მა-  
ყვალა შემობრუნდა.

— გოგიასი, გოგია ყვენწაშვილისა.

— ჰოო! — ვერ გაიხსენა მოხუცმა, მავრამ არ  
შეიმჩნია. — კარგად იყავი, შვილო, კარგად ღმერთ-  
მა ღიდზანს გაცოცხლოს!

მაყვალამ მადლობა მოიხადა და გზას გაუდგა.  
ის მოხუცი ქალი უკვე უყვება სხვებს, რომ თეკო  
ყვენწაშვილთან ჩამოვიდა მაყვალა.

გალავანწე უსაქმო ბიჭების ჭგუფი ზის. ერთ-  
ერთმა პაპიროსი ამოაძერინა, დინჯად რიგ-რიგო-  
ბით ამოიღეს. მერე, იმ ერთმა გადააფურთხა და  
ჩაცუცედა.

— ე, ცოტა, ვიო!

ზევიდან კაცი მოდის, ერთ ნაბიჯს წინ ვადმო-  
დგამს, ორს — უკან, ერთ ნაბიჯს წინ, ორს — უკან.

— ცოტა ვიო კი არა, — აიმართა ჩაცუცეული  
ბიჭი, — ეგე ვინ მოდის! — ზევიდან მაყვალა მოი-  
რხევა ჩემოდნით ხელში, — მოღერებული ყელით  
და ორლობისათვის შეუფერებელი ნაბიჯით.

მაყვალამ ძლივს შეკავებული მღელვარებით  
ჩაიარა მვლებივით აღერღილი ბიჭების წინ.

— გოგო, გამარჯვება არ იციან თქვენში?

— გამარჯობათ! — არ მოუხედია, ისე თქვა  
მაყვალამ.

— აი ეხლა ახალსოფლელი ხაარ აღარ ჩატანაშვილი /  
შეგეშინდეს...

მაყვალასკენ წამოვიდა ერთი მუშავე ჭუჭუკ  
წინ გადაუდგა და ჰქითხა: ბიბლიორეზე

— თქვენი სახელი?

— მაყვალა! — უპასუხა მაყვალამ.

— მე გურამი მქვია, — ხელი გაუწოდა ბიჭმა.

მაყვალამაც გაუწოდა ხელი.

— გურამი კი არა ბაკლაშვა ქვიან, არ მოვა-  
ტყუოს, გოგო... — დაუძახა ერთ-ერთმა.

ბაკლაშვა მიუბრუნდა იმ ბიჭს.

— შენ ხომ არ გინდა ობოლ კნუტივით დაგა-  
წყვიტო მავ ქვაზე?

შერე მაყვალას ჩემოდანი ჩამოართვა, პიჭებს  
გადმოხედა, თვალი ჩაუკრა და მაყვალას გაპყეა.

ბურნუთას დილიდან გვიან ღამემდე მოცლა არა  
აქვს. ხალხი მიჰყავს და მოჰყავს. კაბინა უურნალე-  
ბიდან ამოვრილი ლამაზმანების სურათებით არის  
სავსე.

ღამეა.

ზევიდან მანქანა მოდის და მოიყოლებს ყეფით  
ადევნებულ ძალლებს.

სამნი გადმოვიდნენ გზაზე. მანქანას ხელი დაუ-  
ქნიეს და გააჩერეს.

— ჩამო ცოტა ხანს! — ანიშნა ერთ-ერთმა.

ბურნუთა ჩამოვიდა.

— თელაველი მკერავი როა, იცნობ?

— არა, რა რო?

— იცნობ და თავი უნდა დაანებო!

— შენ შაშინებული ხო არა ხარ, არ კიცნობ  
და რა თავი უნდა დავანებო?! კრისტენული  
ერთმა სახეში სთხლიშა, ჭყრწყმარწყდეურეავ-  
ლა და გუბეში გაიშხლართა.

— ეგე, ეხლა კრიფე კბილები! — ღობეს გა-  
დაახტნენ და გაუჩინარდნენ.

კანტორის ეზოში ისმის თავმჯდომარის ბლავი-  
ლი.

— დავითაშვილი ანიჩქა!

თავმჯდომარის ოთახში საწერ მაგიდაზე გადა-  
ფარებულ გაზეთზე ყვავილების მიწა ყრია. იქვე  
ცარიელი ქოთნები აწყვია. თავმჯდომარე დაკაპიწე-  
ბული ხელებით აკეთებს საქმეს, — ბალბებს შეყვი-  
თლებულ ფოთლებს აცლის და მიწაგამოცლილ  
ქოთნებში რგავს.

ანიჩქამ თავი შემოყო კარში. თავმჯდომარეშ  
შეხედა და ამოისისინა.

— თვალები გაქ ამოსაჩიჩქნი!

ანიჩქა დაფაცურდა.

თავმჯდომარემ დაწყებული საქმე მიუტოვა და  
თვითონ განარებული გაემართა კარისკენ, კარებში  
მაყვალას შეეფეთა.

— თავმჯდომარე სად შეიძლება ვნახო? —  
იკითხა მაყვალამ.

თავმჯდომარემ შეხედა უცხო გოგოს, უყურა,

უყურა, მერე ცოტა გული მოულბა და ჰერთხმა,  
რა იყო, შვილო: მე ვარ თავმჯდომარე, — მხარზე  
ხელი გადახვია და ივნისეენ გაიყოლა.

ივანზე კედლის გასწვრივ ჩალის ჭრულის ჭრული  
წერივებული. მაყვალა და თავმჯდომარე ამას მასტებ  
ნენ.

თავმჯდომარეს ორიეე ხელი მუხლებზე ჩამო-  
უყრდვნია და მხრებაწერლი უსმენს. მისი მზერა  
აივნის სვეტის კუთხეში გაბმულ აბლაბუდას აწყდე-  
ბა, აბლაბუდას იქით უნაგირას. უნაგირაზე ბილიკი  
მიხტის და მიაფრიალებს მზით დამწვარ თავშალს.

მაყვალა გულამოვარდნილი ლაპარაკობს. თავ-  
მჯდომარე გადაიხარა და სულ ახლოს მიუტანა  
ყური.

— მე თელავის ჭრა-კერვის კურსდამთავრებუ-  
ლი ვარ. უნდა მოვაწესრიგოთ ჩაცმა-დახურვის სა-  
კითხი ამ მხრივ ჩამორჩენილ სოფლებში. თქვენი  
დახმარება დამჭირდება...

თავმჯდომარე უცბად ნერვიულად წამოდგა ფეხ-  
ზე, ლოყები დაბერა და ამოიქმინა: — ვაა, კაცო,  
რა საინტერესოა პირდაპირ, როგორ მაიფიქრებენ  
ხოლმე ეგეთ რამეებს, ნწ, ნწ, რა ვიცი, კაცო!.. აი,  
გენაცვალე, რა გითხრა, — ნიკაპი მოისრისა თავმ-  
ჯდომარემ, — კარგი გოგო ჩანხარ, ჩემი შვილის  
ხელა ხარ, მაგრამ, შვილო, არა გვცალიან მაგეების-  
თვის! თქვენა, კაცო, ამ ხალხს ეგრე ნუ უყურებთ,  
მაგათ რაც გინდა ჩაცვით, რაც გინდა გახადეთ,  
შიგნით, კაცო, შიგნით იგრე არიან ჩაკირულები,  
თავი რო მაიკლა ვერსაიდან მიუდგები, მერე კი-

დე... — (ამ დროს ხირხალას ლინილში კუთხოდა  
შესძრა. თავმჯდომარებ საათს განედა და მაყო-  
ფილმა დაქოქა), — აბა, შვილო ქარები ცურაცხლე,  
შენ იცი, შენ კი კარგი გოვო ჩამოგრძელების და  
თავმჯდომარებ ეზოში ჩასვლა დააპირა.

— ესა, ამას რას ეუბნებიც?! — მაყვალამ მიკ-  
ლინების ბარათი გაუწოდა თავმჯდომარეს.

თავმჯდომარებ დამფრთხალმა დახედა ბარათის,  
მერე გამოაჩინა, თვალი გადაავლო. კიდით დაიჭირა,  
ცერები საქამრეებში გაიჩირა, ტუჩები მოიკვნიტა  
და მოებს გახედა. ისევ მიხტის ბილიკი უნაგირაზე.

— კარგით, ქალბატონო, მაგრამ ცოტა ხანს ვერ  
მოგვითმენთ? ყურძენი დავაბინაოთ, კაცო, ან  
აშინდმა არ გვილალატოს ან რამე, ცოტა ხანს ვერ  
მოგვიცდი, ქალბატონო? — მერე კაბინეტში შე-  
ბრუნდა, ის მარათი უჯრაში ჩაეკრა და გარეთ გამ-  
წარებული გამოვიდა, სიტყვებს ძლიერა სცრის.

— დავაბინავებ ყურძენს და მე თვითონ დაგი-  
ბარებ, მანამდე დაისვენო, ყურძენი მიირთვით. —  
ხელი ჩამოაჩინა მაყვალას და ეზოში ჩავიდა. მერე  
შემობრუნდა, — ვის ოჯახში ხარ, შვილო, სადა  
სცხოვრობ?

— თევ ყველწაშვილთან, — მაყვალაც ჩავიდა  
ეზოში.

— დაიცა, რომლისა ხარ შენა? — წავა, მო-  
ბრუნდება, წავა მობრუნდება თავმჯდომარე.

— გოვია ყველწაშვილისა.

— რას ამბობ! ჰომო! — წადი, შვილო, წადი

და როგორც „ვითხარი, — მე თვითონ ლაპიდან,  
როცა მოვიცლით.

თავმჯდომარებ ეზოს კარი გაიხურა

შროვანული  
ტიპიკორისტები

ბირჟაზე „ბირჟის ბიჭები“ დგანან. ბურნუთაშ  
მანქანა გააჩერა. კარები გახსნა და ეგრევე ჯდომე-  
ლამ, მშეიდად იყოთხა:

— რა გინდოდათ, ბიჭო, წუხელ?

— ვის რა გვინდოდა? — იყოთხა ბაკლაშკამ.

— აი შენა, შენა, თავი ცალხაზიან რვეულ რო  
მივიგავს, რა გინდოდა, რომელ მკერავ დავანებო  
თავი? — დამცინავად იყოთხა ბურნუთამ.

ბიჭები გალრეჭილები დგანან.

— აი, თუ რამე მახსოვდეს, არაფერი არ მახ-  
სოეს, ხეეში ვიყავით, ბატყანი დავკალით და კიხა-  
ლამ არ ჩაეიხოცეთ ღვინოში...

დანარჩენები დგანან ყურებამდე გალიმებულები.

— რატო ბატყანი რო დაპკალით მაშინ არ დაში-  
ძხეო, თქვენი! ვის ველაპარაკები, კაცო... ვის  
მკერავია ჩამოსული?

— თეკოსთანა ცხოვრობს, სუ ბაქუნით და-  
დის! — თქვა ერთ-ერთშია.

— კარგით, კაცო! ერთხელ მეც არ მეხსოშება  
და კარგით, კაცო! — დასძრა მანქანა ბურნუთამ.

ბიჭები ისევ ისე დგანან. ბურნუთა თეკოს ეზოს  
მიადგა.

— თეკო! — ეძახის ბურნუთა, ახლა თეკო ბა-  
ბოს.

— მე შენი თეკო ვარ, შე მამაძლილი გამო-  
ვიდა თეკო ბაბო.

— მდგმური სადა გყავ? — ჟალიან სერიოზუ-  
ლად იყითხა ბურნუთამ. 

— რა იყო, ბიჭო? — შეშტენილი მუქალი ბურნუთამ  
საქმეზე წავიდა.

— დამანახა, არაფერი არ მინდა, ერთი ვიხ  
არი?!

— აქეთ ავლილ-ჩავლილი არ დაგინახო, თორე  
მე ვიცი შენ რასაც დაინახავ! — ლიმილი დამალა  
თეკო ბაბომ.

გივია რაღაცას ანგარიშობს თითებზე. თოვი  
მუხლისთავებით უჭირავს და ისე ითვლის ათივე  
თითზე. მერე ფეხსაცმელი არც გაუნძრევია ისე  
ამოყო ფეხი და ფეხის თითებიც მიათვალა.

საიდანლაც ქორივით დააცხრა თინია.

— აფსუს, რა ტყუილა გეძახის ბებიაშენი ოლა  
ორი ტოლას! ოცამდე ვერ დაგითვლია თუ ყველა-  
ფერი არ გაიხადე, — სიცილით კედება თინა.


— მე ვიცი, ბალლო, შენც რაც გადიდგულება,  
მაგრამ ვნაახოთ! — ლამის ტირის შემურთალი გივია.

ხალხოთ სავსე კლუბი.

ბურნუთა შუა რიგში ზის, მოშორებით ბირეიის  
ბიჭები ხორხოცებენ, ერთმანეთს ალარ აცლიან:

— ერთი უყურეთ როგორი ალანძული ზის.  
ნედლ შეშასავით იწვება, უჩუმად...

ძლივს გალიმებულმა ბურნუთამ ბიჭებს გადმო-  
ხედა და ისევ სცენას მიაშტერდა.



— ეხლა რა ჩაძინებული ქონების პირზე  
ყოფილა...

— ეს რა ნაკლები ბიჭია, ჰრელის წევენი მარტინი  
კოს, შინ მიაქ...

— ვნახოთ!... — თავს აკანტურებს ბურნუთა.  
თავმჯდომარე და მაყვალაც სცენაზე ავიდნენ.

— ხალხნო! ჩვენთან საგანგებო მივლინებით ჩა-  
მოვიდა თელავის კიროვის სახელობის ჰრა-კერვის  
სასწავლებლის კურსდამთავრებული მაყვალა უკე-  
ნიაშვილი.

თავმჯდომარემ ტაში დაუკრა. დარბაზშიც შემო-  
ჟრა ერთ-ორმა ხელიხელს.

— ამ პატიოსან აღამიანს დაავალეს ჩვენი  
კოლმეურნე გლეხობის ჩაცმა-დახურვის მოწესრი-  
გება. ამიერკიდან ახალსოფელში ველაზ ივლის  
თვითნებურად, უწესრიგოდ ჩაცმულ-დახურული  
ხალხი! ვინმემ რო ავრე ჩაცმულ-დახურული და-  
გვინახოს, განა დაგვიჯერებენ რო გეგმებს ვაჭარ-  
ბებთ და ამოდენა სარჩო-საბადებელი მოგვყავს.  
უახლოეს ხანებში,—მაგიდას გადმოეყრდნო თავმ-  
ჯდომარე, — ჩვენი მკერავი დაიწყებს თქვენთან  
მუშაობას. თქვენი თავისთვის ვიცი არა ხართ, ამი-  
ტომ შეკერვის ფულს შრომა დლეებიდან დაგიკა-  
ვებთ.

დარბაზში სამარისებური სიჩუმეა.

— მააშ, ჩემი თხოვნა იქნება, ხალხნო, რომა,  
ხელი შეუწყოთ ამ ქალს თავის მძიმე, მაგრამ საპა-  
ტიო მოვალეობის შესრულებაში. ნუ დავიწყებთ  
ახლა ზედმეტ ლაპარაკს! თუ ვინმეს უნდა სიტყვა-

ში გამოსვლა, ამობრძანდეს. ხო გავითომიათ, მმა  
ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო, გაუკოთ ერთმა-  
ნეთს, ერთმანეთის მეტი ვინა მკუქჩები უდის!

— ერთი კაბას ვიცმევდი ჰქონდები ეს ეჭვოხ-  
ტა წიოკაანთ ქალი, — ესეც აღარ დამანებოთ  
ბარებ თავებიც გადაგვერიშეთ, რო აღარაფერი  
ეგერიოთ!..

— დაჯე, ქალო, შენ მანდა, ნუ წამოტყვერები  
ხოლმე სამგლე გოჭივითა! — უყვირა თავმჯდომა-  
რებ.

— გოჭები შინ გეყოლებიან! სუ შენი მოგონი-  
ლია ეს ათასი მამაძალლობა: კინო, წიგნებიო, ეხლა  
მოდები... გამატათ სახლში, დაბუზული საქონელი  
მელოდება, ოქვენი გულიც მამკვდარა! — წიო-  
კაანთ ქალშა კარები გაიჩახუნა.

კრება გამხიარულდა.

— მაშ ეგრე! ერთი კაცი არ დააკლდეს. რო  
დაგიძახებთ! უახლოეს ხანებში უნდა დავამთავ-  
როთ სალონი.

თავმჯდომარებ ტაში შემოჰქრა, ერთი-ორმა  
დარბაზილანაც წააშეელა ხელი.

ლონისძების დამთავრების შემდეგ ბურნუთა  
პირველი გამოვიდა კლუბიდან, შევარდა მანქანაში,  
სურათები ჩამოხსნა და მანქანის ქვეშ შეყარა.

კლუბიდან გამოსულმა გივიამ თვალი შეასწრო  
გადაყრილ სურათებს. შეძვრა მანქანის ქვეშ. სა-  
გულდაგულოდ დაკიცა და უბეში ჩაიშუო.

თავმჯდომარებ მაყვალა ბურნუთა შანქასილი  
მიაცილა.

— ფრთხილად, წესიერად იაჩინ ჩემი ტელი  
მრავალმნიშვნელოვნად დაარიგა ბურნუსა იყენებ  
მანქანის ფარით განათებული გზა.

ბურნუთამ გამბედაობა მოიკრიბა.

— გავიცნოთ ერთმანეთი: ... ხელი გაუწოდა.

— მაყვალა!

— ბურნუთა!

— ნამდვილი სახელი დავითი მქონან, მაგრა?  
ვინ მეძახის. — გათამამდა ბურნუთა.

მაყვალამ გაულიმა.

— როგორ მოგწონს ჩეენი სოფელი? — ჰეითხა  
ისევ ბურნუთამ.

— კარგათ! — უპასუხა მორცხვად მაყვალამ.

— კარგი სოფელია, ნამდვილად, — საქმიანად  
აჩბობს ბურნუთა, — ძალიან ჭიგრიანი ხალხი  
ცხოვრობს.

— უველას თავისი სოფელი უყვარს და აქებს,  
მე ძალიან კარგად მესმის თქვენი... — უპასუხა მა-  
ყვალამ.

ბურნუთამ რადიო ჩართო. აკენესდა იღმოსავ-  
ლური მუსიკა. ბურნუთამ გადართო.

— იყოს, იყოს, მე ძალიან მიყვარს აზერბაიჯა-  
ნული სიმღერები. — წამოიძახა მაყვალამ.

— მამაჩემსაც უყვარს ამითი სიმღერები, —  
გამოაცხადა ბურნუთამ.

— მამათქვენი სად მუშაობს? — ჰეითხა მაყვა-  
ლამ.

— კოლექტივში. ერთი ძმა მყავს კიდე, პატარა,  
გივია, ახლად დამთავრებული სახლი როა ზევით  
ის არის ჩეენი სახლი, შენ თუ წერ წერ წერ წერ წერ  
სცხოვრობ, არა?

ტექსტის მიღების მიზანი

— დიახ. — უპასუხა მაყვალამ.

— ვიცი, კარგი ქალია თეკო ძალო, მაგრამ პა-  
ტარაობას მაგის ძალამა დამგლივა მაგრა, შამა-  
ჩემმა თოფი დაახალა და თეკო ბაბო სულ ჩვენ  
წყევლაში აღამებდა და ათენებდა. ეხლა რა ვიცი,  
ცოტა გული მოუბრუნდა...

— საწყალი ძალლი, როგორ გაიმეტა მამა-  
შენმა?

— საწყალი მე არ ვიყავი რო, მთელი ზამთარი  
უანგარას ვიყავ გაკრული, გარეთ ვერ გამოვდიო-  
დი. უჩემოდ გადაითოვლა.

— როგორ მიყვარს თოველი!

— მოვა! შაჩშან მუხლამდე იდო. ჩვენ სოფელ-  
ში კარგი თოვლი იცის.

— წელიწადის დროებიდან რომელი გიყვართ  
ცფრო მეტად?

— აეს დრო, შემოდგომა...

— მე ზაფხული, ივნისში ვარ დაბადებული და  
ალბათ იმიტომ...

— მე თებერვალში — რაღაცის თქმას აპირებ-  
და ბურნუთა, მაგრამ თეკო ბაბოს მოპერა თვალი.  
თეკო ბაბო მაყვალას ელოდებოდა... ბედნიერებისა-  
ზენ განევებული ბურნუთა კარგა ხანს თვალით  
მიაცილებდა მაყვალას.

სარეცხის თოკი ასლა მშენებარე „საყოფაცხოვი-  
რებო მომსახურების სალონის“ გასწვრივ არის გა-  
ჰიმული. გივიას თოკის ბოლო უჭირუაჭრებული  
გვერდით თავმჯდომარე უდგას ბლოკირებული მუშაქენს  
თოკს აქეთ მხოლოდ ის გადმოვა, ვინც თავის  
გეგმას შეასრულებს.

წიოკაანთ ქალი ორ-ორი ვეტროთი ეზიდება  
წყალს და ცემენტისა და ქვიშის გროვაზე უსხაშს  
კაცებს, თან წიოკობს:

— აპა, ქაა! — დაასხა წყალი წიოკაანთ ქალ-  
მა, — ამის გულისთვის როგორ ალაპარაკებო ხალხს?  
ავაშენოთ დროზე რო გაიხსნას ე ოხერი გზა და  
ვიაროთ თავისუფლად!..

მიხაკომ ტანსაცმელი ჩამოიფერთხა, ქუდი მოი-  
ხადა, ხელით საგულდაგულოდ გადაივარცხნა თმა  
და წამოვიდა თავმჯდომარისაკენ. გივიამ თოკი გა-  
დაჰიმა.

— რა გინდათ, კაცო! სამი დღე არ უნდა მემუ-  
შეა? ოთხი დღე ვიმუშავე, რაღა გინდა ჩემსგანა?

— მოიცა, ვნახო... — თავმჯდომარემ ბლოკ-  
ნოტს თითო ააყოლა.

— არის! გაატარე!

მიხაკომ ყოჩალად გაიარა.

ყველა დიდი მონდომებით მუშაობს.

ბურნუას ეზოში სარემონტოდ გაჩერებული  
მანქანა დგას. თვითონ მყუდროზე მიშვდარა, მაზუ-

თიანი ხელები განზე უჭირავს და თეატრომი მიუ-  
ლულავს.

კარმა გაიჭირიალა. ბურნუთაში წინწეფუ დაუწედა  
კარისკენ, მიხაյლ შემოვიდა ჭრი დილია უწევსა-  
ზამთრო შემოიტანა, ბურნუთას გამომცდელად შე-  
ხედა და პირუჩუმრად გაიარა. საზამთრო დაბინავა,  
მერე მაგიდას მიუჭდა, ხელები ზედ დაწყო და  
გასძახა:

— ადე, პური ვჭამოთ!

ბურნუთა არც განძრეულა.

— დედაშენი რო მიყვარდა, — ხმამალლა, დინ-  
ჯად დაიწყო მიხაյომ, — უნახაობას ვერ ვუძლებ-  
დი, შვიდ ქალში აწვენდნენ. იმ შვიდ ქალში მარტო  
იმას ეკეთა საყურე, შავიპარებოდი ღამე, ყურებ  
გავყვებოდი, საყურეებიან ვიპოვიდი, ერთ-ორ  
მტევან ყურძენს მივართმევდი, დავკოცნიდი და  
გამოვბრუნდებოდი, — გამომცდელად გახედა მიხა-  
კომ ბურნუთას.

ბურნუთა ისევ ისე ზის.

— ეგრე იყოო! — თეფში მიიწოდა მიხაელმ და  
მაღიანად შეუდგა ჭამას.

ეზოში თავმჯდომარე შემოვიდა. ბურნუთაშ  
თავმჯდომარე რომ დაინახა ელდახაცემი წამოვარ-  
და და ლობეს გადაევლო.

— სადა გდია შენი ბიჭი? — იყითხა თავმჯდო-  
მარემ.

— ვირ არი გუნებაზე, — აფუსფუსდა მიხა-  
კო, — გამოკრეფილ ვენახ დეემგვანა, კაცო. მე  
მგონი ქალის ამბავი უნდა იყოს, რა ვიცი, ვისა

ჰგავს ეგეთი უფხო. — სკამი შესთავაზა მიხაკოძე /  
თავმჯდომარეს.

თავმჯდომარეს გული მოულბა. უქუჩამიშნული  
უფხო რათ არი, მაგრამ ეხლა სიყვარულის მქონე მაჭა

— რას ამბობ, კაცო, სიყვარულის დრო სუ არი,  
რას პქეიან დრო და ამინდი. — დიდი ტაბაყი და  
დანა გამოარბენინა მიხაკომ და ცოლს გასძახა:

— ჩადი, ქალო, ერთი საზამთრო ამარჩიე და  
ამაიტა. — თვითონ თავმჯდომარეს მიუბრუნდა.

— ეს ამოდენა საზამთრო, ეს ამოდენა სიმინ-  
დი, ხახვი, კარტოფილი, შვინდი კერკ ახმობს კიდე  
დედაკაცი, რა ვიცი, რა უყო ამოდენა რამესა...  
გავყიდოო, როგორ გავყიდო? წამსულელია, მომსვ-  
ლელია...

— მაიტა, კაცო, მე წავიღებ, — გაიცინა თავმ-  
ჯდომარემ.

— წაიღეთ, კაცო, მა ვინ უნდა წაიღოს, —  
მორცხვად გაიღიმა მიხაკომ.

მიხაკომ წინ დაიგორა საზამთრო. უკაუნა აქე-  
ლან, იქიდან, მერე — მკვახეა, წადი სხვა ამარ-  
ჩიეო, — გადააწოდა ცოლს.

ცოლი ჩაბრუნდა, დააგორა საზამთრო. კარი  
შეიხურა და თვითონ ცარიელ კასრზე ჩამოჯდა.

ქალმა კარგა ხანს უყარაულა საზამთროს, მერე  
ამოიტანა. მიხაკომ ჩამოართვა.

— წელსა კაცო სუ თეთრი ფერია საზამთრო,  
რაშია საქმე... — ყურთან მიიტანა საზამთრო ჯა  
ორიეე ხელი მოუჭირა.

— რწყვეის ბრალი იქნება, — უსსნა მაკედონ-  
გარემ.

— შეიძლება, — თქვა მიხაკურუ და ცული,

— ქალო! რა ღმერთი გიწყუჩა და გარეუზე, ე  
რა მკვახეს ეზიდები? — დაუყვირა ცოლს.

ქალი ჩაბრუნდა. კარი შეიკეტა და კასრზე ჩა-  
მოჭდა. მიხაკო სტუმარს „ართობს“.

— გიორგი, რომელი რძალი გირჩევნია ეხლა,  
ღიღი თუ პატარა?

— არ ვიცი, ვაცო, რომელიც ენა დააყენებს, —  
უპასუხა თავმჯდომარებ.

— სწორია, სწორი, — დაეთანხმა მიხაკო, —  
თან მამალივით ივრმელებს კისერს ცოლის მოლო-  
დინში.

— სად დაიკარგე, ქალო! — გისძხეა მიხაკოშ.  
ქალმა ამოათრია ისევ ის საზამთრო დაწყვეტილი  
მკლავებით. ისევ დააგორა მიხაკომ, სინჯა, უკაკუნა,  
ყურზე მიიღო და იქცხა:

— რა არი, შე შობელძალლო! — მა იმოდენა  
საზამთროში ერთი ხეირიანი საზამთრო ვერ უნდა  
ამაარჩიო!

წამოხტა მიხაკო.

— რა ვქნა, ვარჩიე, ვარჩიე და... — საწყლად  
გამოიხედა ქალმა.

მიხაკომ დასტაცა ხელი საზამთროს და ახლა თვი-  
თონ ჩაიტანა. ცოტა ხანში ამობრუნდა.

— დედაყაც რამე დაავალე და თან გაჰყეო, ---  
დანჯად დააგორა საზამთრო. დანა დაუსვა და თავი-  
სით გადასკდა.

— ჭამე, ჭამე, კიდევ გვაქ! — თავაზისნის ძიხავო.

— ღმერთმა მოგცეთ, მე მეტი აფარ შეწყდა, მეტი საათში კანტორასთან იდგეს, იცოდეს მარტინი მარტინი ლა მიხაკო და ეზოში ჩავიდა.

ბურნუთა გამოვიდა, მანქანის ნაწილი მაზუთიას ვედროში ჩაახეთქა და აივანზე ავიდა.

გივია სკოლაში წასასვლელად ემზადება, პურის მოზრდილი ყუა შუაზე გაჭრა, კარაქი წაუსვა, საშაქრედან მუჭით ამოილო შაქრის ფხვნილი. (მას ყველაფერს ხაზგასმული სერიოზულობით აკეთებს) და ზედ მოაყარა.

ბურნუთას ფეხები მავიდის ქვეშ, მთელ სიგრძეზე გაუშოტია და სკამზე გადაწოლილი სიგარეტს ეწევა.

— გიყვარს? — მოულოდნელად ჰეითხა გივია, თან რეეულიდან შუა ფურცელი გამოგლიჭა და კარაქიანი პური გაახვია.

— ვინა, ბიჭო, ისა?! — მაშ მტყუანს.

მშეიდად გააბოლა ბურნუთამ.

გივიამ დინჯად ჩატენა კარაქიანი პური წიგნებით გატენილ ჩანთაში და უპასუხა:

— ეგრე! — შენ მე რა უნდა გამამაპარო, ბიჭო, მე მერამდენე წელიწადია მიყვარს, გულის ტკივილები დამჩემდა.

ბურნუთა ახარხარდა.

გივიამ ჩანთა აილო და კარისკენ წავიდა, მერე

მოტრიალდა და თავის ჩანთიანი კუტურის ჩა-  
ცუცქდა. სევდიანი, მოჭურტული ფეალუბრთ შესცე-  
რის გახალისებულ ბურნუთას. ურარიცნული

— იცინე, კაცო, იცინე დჟიშტური კუტურულის,  
ხო გამოსთავდი ნახევარი პურივით, ჯერ საღა  
ხარ! — ადგა გივია და წავიდა.

ბურნუთა კარგა ხანს გალიმებული იყდა. შერე  
ადგა, გაიზმორა, თითქოს დარღი ჩამოიბერტყაო:

— რა კარგია ცხოვრება, ამის დედა ვატირე! —  
შერე ისევ ჩაუმუქდა თვალები და ზლაზუნით ჩავი-  
და ეზოში, მანქანაში ჩაჯდა და წავიდა.

სალონში მაყვალა კაბას აზომებს ბაბულას. ბა-  
ბულა გახარებულია და ენამზეობს.

— იქნება მელირსოს გათხოვება ამ კაბაში!

— გელირსება, გელირსება, ბაბულ, ან აქაძდე  
ვინ გაგაჩერა ეგეთი ატამივით ქალი? — უკვირს  
მაყვალას.

— ეჭ ვანა ეგეთი ვიყავი, ვენა!.. — ამოიოხრა  
ბაბულამ. ტუჩის კუთხეები გამოიწმინდა დაკაპი-  
რებული ხელით და დაიწყო: ეხლა როგო იყო სეი-  
მანაი რო გავყე; ისე შავი იყო, დაბალი, მავრამ  
თვალების შემოცეცება იცოდა ისეთი, ტანისაძო-  
სიანად ვიწვებოდი. ხო შავი და დაბალი იყო, თვა-  
ლებით მომიდარიელა. ერთიც ვნახოთ, ველისციხე-  
ლები მოვიდნენ „ლილეინკით“. მოიყვანეს ერთი  
ლონდრე. ხელი როგორც ჩამოშართვა იმ წუთას  
გავიფიქრე არა-მეტქი. მოსატანი კი მეეტანათ:

ლავის ფეხსაცმელები თავის თეთრი უნდას კვებითი  
ოქროს საათი თავის ოქროს სამაჭურით, „კასტეკა“  
„ჩელიკელი“, ორი ბეჭედი. ერთი გჯურის უფრუნავი  
ფიქრე, ამეებს როგო შეველით სვლენელურყოფებუ  
გულისთვინა-მეთქი, მავრამ მეორე დღეს გელემე-  
ურა და ყველაფერი დამავიწყდა. ის ლამე იმათ ვე-  
ნახის ბოლოზე თივის ზეინზე გავატარეთ. ერთი  
კვირა იქა ვცხოვრობდით. მაშინ ყველაზე ბეღნიე-  
რი კიყავ, მაყვალ, გენაცვალე. — ცრემლი აუკიაფ-  
და ბაბულას, — თივის ზეინის დანახვას ეხლაც  
ვერ ვიტან! ხოოდა (გამოისვა ისევ ხელი ტუჩებზე),  
მამაჩემმა, იმ ჩემი ცოდვით საესემ, არ დამაყენა  
და მიმგვარა იმ ველისციხელს. კოტე ერქვა, მა-  
ყვალ, მაყვალ, მაყვალ, დავშრი წყაროს წყალივითა  
იმ არ გასახარებლის ხელში. ყველაფერი ზომა-წო-  
ნით იყო იმათ სახლში. ქონი მეტი მომივიდოდა  
ქვაბში, თვითონ დაიკერდა დედაკაცივით კოუზ  
ხელში და ამააქლებდა, მეზობელს რამეს ვათხო-  
ვებდი და ჩალურჯდებოდა სიბრაზით. იჯდა მოელი  
დღე, ვამიღან ვამიმდე და იპურჭყებოდა. მით უფ-  
რო ვერ დავივიწყე სვიმანა. ფიქრში სუ ვლალა-  
ტობდი...

დააკაკუნეს. კარებში ბაწრო იდგა. ზურგზე  
ლურჯი სატინის უზარმაზარი გორგალი ეკიდა —  
თავმჯდომარემ გაშომატანაო...

ძეძვით შემოლობილ პატარა ეზოში, დაბალ ერთ  
ოთახიან სახლში კოლა და ანა ცხოვრობენ. ამ

სახლს წნელით შემოწინული შოაჯირი უდგაბს  
სულს, კიანას დაუვიწყარი ხსოვნა და კოლასნა—  
ბიჭს აცდენილი ნაბიჯი ერთსიტყვიანი სიმღერით—  
მთვარეე!

ანას თეთრ საყელოიანი შიფონის კაბა აცვია,  
ზედ „გულის ბროშეა“ აბნევია — უზარმაზარი ჭია-  
მია, სარეცხს რეცხავს ხის გობში და უცრემლოდ  
ზუზუნებს:

— მოგიყითხავ დიდი სიყვარულით, დიდი პა-  
ტივისცემით, დიდი ხელისჩამორთმევით, ჩემო  
კიააან, ჩემო ლატანივით კოხტა ქმაროო, რამდენი  
არ გიმკურნალე, ძვირფასო კიან, მაინც პუსტოი  
გამოხვალ, ხალხნოოო! წიწაკა ხარ, ტყირპა წიწაკა,  
მწარევ, რად გამამწარეე, ხალხნოო, — სარეცხის  
წყალი გადალვარა, — ვააპმეო, — ერთი გადააყო-  
ლა და მდუმარედ დაიწყო რეცხვა.

ეზოს კარი გაჭრიალდა, აგე, კოლა. ლასტის კა-  
რი შემოაღო და შემოვიდა ეზოში, ხელში ნახევარ-  
ლიტრიანი წამლის ბოთლი უჭირავს რეცეპტით.  
იხრჩობა ხველებით. ანა ოცნებიდან გამოერკვა და  
კოლასკენ შემოტრიალდა.

— იცი, კიანამ როგორ იცოდა? გაფცევნიდა  
კიტრს, შუაზე გაჭრიდა, ნახევარს მე დამიდებდა  
თეფშზე, ნახევარ თვითონ აიღებდა... ბროწეული  
გვედგა, კომშიც...

— კარვი, — შეაწყვეტინა კოლამ, — კარვი,  
ერთი კიტრსაც გაგიფცევნი, ბროწეულსაც დაგირ-  
გავ, კომშსაც და ვნახოთ რალას მოიმიშეზებ... —  
ლვინის ჭიქაში ჩამოასხა წამალი და დალია. მერე

პირსახოცით გაიკრა თავი და სანახევროდ ამოწნულ  
გოდორს მიუჩდა.

— სინათლე გქონდათ? სინათლის ლირსი რო  
გაგხადე და ლამფის ხრისტოს აღარ უყურებ? —  
მოიხედა უცებ კოლამ ნიშნის მოგებით.

ანა განრისხებული მოტრიალდა.

— მიკვირს სინათლე არ წამომაყველა-მეთქი  
სა აი! რა შავჭირად მინდა შენი სინათლე. ლოტი  
ხარ, ლვინის ბურნა, კულტურისა არაფერი გაგეგე-  
ბა, იდეურ-პოლიტიკური დონე დაბალი, ქალს რო-  
გორ უნდა მოექცე არ იცი, წვერს არ იპარსავ, ფე-  
ხებს არ იბან. — თითებზე ითვლის ანა — სულიე-  
რი მეგობარი არ მინდა მე?

— ეგ როგო, ქალო, მაშ მე არაფერი არა ვყო-  
ფილვარ, ვიქას არ ავწევ კიანას შესანდობარი არ  
დავლიო, ამ წინებზე წანდლი ხო დავარიგე მეზობ-  
ლებში, ჩემი მეუღლის მეუღლეს მიაგებოთ-მეთქი?  
ცოტი მთვარეს შევეხმიანები ხოლმე და ამ ეზოში  
აღარ ჩამაახედე!

— რა გამიხდა, შენს სულს ვენაცვალე, ერთი  
შავი კაბა, რო ისევ შენს ქვრივად დავჭდე, ისევ  
შენად დავიგულო თავი, ხალხოო! — უცბად მიატო-  
ვა საქმე ანამ. ხელები გადაიბანა, ჩაიცვა. საკაპ-  
შეახვია და ეზოს კარი გაიხურა.

სალონის კარებზე დააკაკუნეს. თავმჯდომარებ  
გივილო და ბაწრო შემოიყვანა.

— შენი ვირიმე! — შეეხვეწა თავმჯდომარე

მაყვალას, — ესენი მეველები არის, პლუტო  
რიგში ამათ შეუკერე, თორემ მერე ტანსაცმლის  
კერვას მოიმიზეზებენ, დაიწყებუნა წერც-უწერალა  
და ვენარი უპატრონოდ დაძრჩებული ირისებ  
კარი გაიღო და ანა შემოვიდა.

— ჩემი პირველი ქმრის ბედზე ერთი შავი კა-  
ბის შეკერვა მინდა, გენაცვალე...

— კარგი, ქალო! — გაბრაზდა თავმჯდომარე, —  
დააყენე ის კაცი საფლავში და ჩენც მოგვასვენე.  
ჩვენ მხოლოდ გათვალისწინებულ ტანსაცმელსა  
ვკერავთ, კოლმეტრნეების სამუშაო ტანსაცმელს!

ანამ ისევ შეახვია თავისი საკაბე და წარბაზი-  
დული გავიდა.

„უხეში, უზრდელი, რა უნდა მაგას თავმჯდომა-  
რედ! აფსუს კიან“!..

გიეიას თოქის ბოლო უჭირავს.

კლუბის კარებთან აფიშაა გამოკრული „მოდე-  
ბის ჩვენება“.

ხალხით საუსე კლუბი. თავმჯდომარე სცენაზე  
აღიდა.

— ჩემო მშობელო ხალხო! — თავმჯდომარეშ  
ხელი მოიჩრდილა, — გილოცავთ ამ ლირსშესანიშ-  
ნავ მოვლენას! ახალსოფელში „საყოფაცხოვრებო  
სალონის“ გახსნას! აბა თქვენ იცით, როგორი შრო-  
მითი შემართებით გადაუხდით სამაგიეროს ჩვენს  
მთავრობას და ხალხს!

ეხლა ჩვენი საყვარელი მერავი გვიჩვენება,  
90

როგორი ტანსაცმელი უნდა ატაროს ვლეხში, რომ  
ყოველი სამუშაო დღე დღესასწაულად გადაიქცას...

თავმჯდომარემ ტაში შემოჰკრა, მუჯურდებულია  
მოვიდა და წინა რიგში დაჭდა. პირები ერთეული

სცენაზე მედოლე და მეგარმონე სხედას, ორივე  
კულისებისკენ იყურება. იქ, ეტყობა, ვიღაცამ ანიშ-  
ნა დაიწყეთო. ორივემ მკვეთრად შემოაბრუნა დარ-  
ბაზისკენ თავი და დასცხეს.

სცენაზე მალუცა და კურდლელა შემოვიდნეს.

დარბაზის კუთხეში მალუცას და კურდლელას  
ქმა გაქაჩული უჭირავთ ქმაკაცებს.

— ჩამოდით დაბლა, თორემ გაგხეოქამთ ცი-  
მით! — ძლივს იკერენ ბიჭები ქმას.

დებმა არაფერი შეიმჩნიეს.

— ჩამოდით, გეუბნებით! — ქვეყანა შეიხედია  
ბიჭმა.


— მამაჩემმა ძაან კოხტად იცის ყველაფერი!  
თავმჯდომარემ უთხრა და გამომიშვა, — სცენიდას  
უპასუხეს დებმა.

ბიჭი სიმწრით იქვე ჩაგდა და თავი ხელებში  
ჩარცო.

ბურნუთა თვალმოუცილებლად უყურებს მაყვა-  
ლას.

— ფერ-ხორცით არა უშავ-რა! — ბურნუთას  
ასმენინებენ ბიჭები.

— ემაგი გულისთვინ როგორა სცემთ თანასოფ-  
ლელს, მაშ თქვენ ხალხი ხართ? — ხმამალლა აცხა-  
დებს ბაკლაშკა და თან ბურნუთას უყურებს.

ბურნუთა სცენას - შეჰყუტუბს.   
მუქში ჩახველა.

ერთმა მეორეს რაღაც გრძელებულია იმან  
დანარჩენებს და ახარხარდნჭრებულია არ აკილებენ თვალს.

შემოდის სატინის ლურჯ ხალათში და ჰალუ-  
რლხში გამოწყობილი აფერისტი სიკა. იცვლება  
მუსიკა.

აფერისტი გადაჭარბებული სერიოზულობით  
ეკიდება მოვალეობის შესრულებას. იხსნის და იკ-  
რავს ლილებს. ხან ერთ ხელს ასწევს, ხან მეორეს,  
ალარ აპირებს სცენიდან გასვლას.

ვილაცამ ეელარ მოითმინა და დარბაზიდან დაუ-  
ძახა.

— ჩამო, ჩემეეთრიკ დაბლა!  
— ზედ ნუ შამაიცვითე, აფერისტო, განა მარტო  
შენია!

დარბაზი გამოცოცხლდა. აფერისტი ერთხანს  
კიდევ დაბორიალობს სცენაზე.

— ხაში პარიი! — ყეირის ვილაც დარბაზიდან.  
სცენაზე პაკიპუკა შემოდის.

მედოლე გულამომჯდარი მღერის.

წელში ნამეტნავად გადაზნექილი მართლა პაკი-  
პუკით დადის.

— მაგრე იარე სამუშაოდ, მაგრე და ცინკი მავ-  
თულ გააბამ ვენახში, აი!

პაკიპუკამ ფეხი ფეხს მიარტყა, ხელი მოიჩრდი-  
ლა, წინ გადაიხედა და გამოაცხადა:

— არც ახლა მოვეწონები ჩემს ლიზიკოს? —  
დარბაზი ახარხარდა.

სცენაზე ბაბულა გამოჩნდა ქოლგათ.   
წიოკაანთ ქალმა იშივლა:

— სტილი ქოლგა!.. დაიწვიით!.. ურარანტესება

ბაბულა დაიკვანწება სცენაზე, ჰიქითლება წაშესტებ  
ნებელი თითი აქვს გაკვესებული პირში და მორცხ-  
ვად იცინის.

მოულოდნელად სცენისკენ ანა გაემართა თავი-  
სი მოზომილი ნაბიჯებით. მაყვალას ხელი ჩამოართ-  
ვა, მერე შუბლზე აყოცა. ხელში არშიებიანი ცხეირ-  
სახოცი უჭირავს და დროდადრო შშრალ თვალებს  
იშვენდს.

დარბაზში სიჩუმეა.

— ხო იცი, შეილო, მარტო სამუშაო ტანსაცდ-  
ლით, ვერ მოვიხდით წუთისოფლის ვალს, ვის გა-  
თხოვება უნდა, ვის ნათლობა, ვის ქმარი პყავ  
მკვდარი, — ატირდა ანა.

კოლა ცდილობს ხელი შეაშველოს ჩამოსვლი-  
სას. მაგრამ ანამ ცივად მოიცილა და პირდაპირ კა-  
რისკენ გაემართა.

თავმჯდომარე სიბრაზისგან გალურჯებული ზის.

დარბაზიდან ანას დატალლულ თმას და სინატი-  
ფეს უერაფერი შეჰქადრეს.

დასასრულ მაყვალამ მდაბლად დახარა თავი და  
გამოაცხადა:

— გმადლობთ ყურადღებისთვის!

ხალხი ისევ სცენისკენ იყურება.

თავმჯდომარე სცენაზე ავიდა, მაყვალას ხელი  
ჩამოართვა — რა არი, კაცო, ადამიანი, ძლივს შევ-

რეკეთ კლუბში, ახლა აღარ მიღდან, რა არი, წიახ-  
ლის დანახვა როგო უხარია ადამიანს...

სიხარულით გულამოვარდნიფრენტულობენიშ-  
ნის მოვებით უთხრა: ბეჭდური უკეც

— აი, ხომ ხედავთ?! ხვალიდან მე მკონი გაათ-  
კიცებული ხალისით შეუდგებიან ყურძხის კრეფას!..

თავმჯდომარე ბოლთასა სცემს და რატოშლაც  
ჰერს არ აცილებს ცულლუტურ ლიმილს.

სალამოა. ბურნუთა საქმეზე ყრილობს ჯავრს.  
ციბრუტივით ტრიალებს ეზოში, ლობეს ამაგრებს,  
ქვეშს ერთი ადგილიდან მეორეზე ყრის, ადის სხვენ-  
ში, ჩამოაქვს ნამგალი და ლობის ძირებს თიბავს.

— კარგი, კაცო. რა მოვივიდა, დადექ! — დალა-  
მება არ გეყურება, — უკან დასდევს უკა შეშფო-  
თებული მიხაკო.

— დამანებე თავი, დამანებე! — იღრიალდა  
ბურნუთა და ვენახის თავში გაეარდა.

ამ დროს თავმჯდომარემ შემოალო ეზოს კარი.

— ბიჭი სად არი?

მიხაკომ ველარ შეიკავა ბოლმა და კედელს და-  
ჯახა თავით. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ.

— რა იყო, კაცო, რასა სჩადიხარ?! — გაგიუდა  
თავმჯდომარე.

— როგორც ჩემი შვილი იტანჯება, მეც ივრე  
უნდა დავიტანჯო! — ისევ გაიქაჩია მიხაკო.

— თფური! — თქვენ ხო ხალხი არა ხართ! —  
ეზოს კარი გაიკეტა თავმჯდომარემ.

კოლას და ანას აივნის ჭერი გამაჟერებული  
ცეკვა. შიშველ კოჭებს ანა ნივრისა და ზახვის გალეთ  
ზის გასაყიდებლად ხმარობს. სხვენშეურაჭაშესტური  
კიბეც შიშველ კოჭზე მიყუდებულზებული შესავარებელი

ანა შუა კიბეზე დგას და გალებს პკიდებს, იქვე  
მოლრუტუნე ნასუქი ლორი დაეგავგურა კიბეს  
და თვალის დახამხამებაში ანა კოჭზე დაკიდებული  
დარჩა, იქნევს ფეხებს და განწირული ყვირის:

— კოლაავ!

— რა იყო? — ზანტად გამოეხმაურა ბალჩის  
ბოლოდან კოლა.

— მიშველე, კოლაავ!

— რა იყო, დედაკაცო, მოვდივარ! — ისევ რქ  
არის კოლა.

— კიბე მომიყედე, კაცო, ვვარდები! — დაი-  
კექა ანამ.

— მოვდივარ! — არ დაძრულა კოლა.

ანა კოჭზე ქანაობს, ბალჩის ბოლოდან ზანტად  
მომავალი კოლა დაინახა.

— ნელა, ნელა, რა გენქარება! — გადშოა-  
ფუროთხა ანამ.

— ჯოი! მანდ რას აეთებ, დედაკაცო? — თავი  
არ აუღია კოლას.

— დროზე, შე მზებნელო! — იწივლა ანამ.

კოლამ კმაყოფილმა ჩაიცინა. — რას მამცემ რო  
კიბე მოგიყუდო? — დინგად იკითხა და თამბაქოს  
შეხვევა დაიწყო.

— ნაცარცეცხლს მოგცემ, ნაცარცეცხლს, —

იყივლა ანამ და ხელი მოინაცხალა. ეს კალ  
მკლავზე ჰქიდია.

— მააადლობთ! — მდაბლალი ჭარებულ ფლეგავი-  
ლამ ანას და ზანტად გაჟყვა ბარეტის ფრის ერცე

— მობრუნდი, კაცო!

კოლამ თევზივით გაუქნია ხელი.

— მობრუნდი, კოლავ, მურაბა მიდგა საშურა-  
ბე ტაშტითა! — ხელი მოინაცხალა ანამ.

კოლა გაცეცხლებული მობრუნდა.

— კაცო! დავავლებ ხელ მაგ შენ მურაბის  
ტაშტსა, ლამფასა და კერესინკასა და საიდანაც მო-  
გიტანია იქამდე გაუწვდენ, ჯო! ბარემ ქვევრშიც  
მურაბა ჩამისხი! მააშორე ყველაფერი. მააშორე. —  
ყვირის კოლა და ანას მზითევს სათითაოდ ისერის.  
ლამპასაც, კერასინკასაც და მურაბის ტაშტსაც,  
ფერდაზე რომ კისრისტეხით ბისდევენ ერთშახეთს.

გაოცებისაგან და შიშისაგან ანა ისევ ცალი ხე-  
ლით ჩამოეკიდა.

— კარგი, კაცო, ჰო, როგორც შენ გინდა! —  
ისევ ორი ხელით ჩამოეკიდა. შეთამამებულმა კო-  
ლამ ისევ გადახუხა წამალი. ემწარი და დაიჭყანა.

— მაშ შენ ძალიან გიყვარს ჩემი თავი? — გა-  
ლიმებულმა ჰქითხა კოლამ და დინჯალ გაახვია თამ-  
ბაქო.

— ეტყობა მწარე წამალია! — იყივლა ანამ. ხე-  
ლების მონაცელებით სვეტამდე მიცოცდა და სვეტს  
ჩამოჰყვა. უმალ რეცეპტიან ბოთლს ეცა, შეაჭანეყა-  
რა, საცობი მოაძრო, დასუნა და ელდა ნაცემმა  
იყვირა:

— არაყი! ღმერთო! — მერე რეცეპტი გადასახლ  
ბუთლს და გავებული მივარდა კოლას, — აჟა, ათ  
ჩაფიანს მიაყარ, დღეში უთვალავწერ ქართველი ქადაგის  
თქო, აჟა, — ანა იქვე ჩაჯდა და ატაზე მარის ეკე

— ვახ, კაცო! — წინ და უკან დარბის კოლა.  
ეცოდება ცოლი და უმშეობისაგან აღარ იცის რა  
ქნას. მიტრიალდა და ისევ ბაღჩის გზას დაადგა.

გულდათუთქულმა ანამ ტირილი შეწყვიტა და  
გასძახა:

— ცოდო არ არის კიანა, რო შენ იმისი ნაცო-  
ლარი მკლავზე გიწევს.

სალამოობით კოლა დიდ უპირატესობას გრძნობს  
ხოლმე. დიდი ამბით აანთო სინათლე.

ანამ თავის გრძელფეხა ლამპა შემოიტანა და  
აანთო, ახლა სინათლეც ანთია და ლამპაც.

კედელზე ხელოვნური ყვავილებით დაშვერე-  
ბული კიანასა და ანას სურათი ჰქიდია. ანა მტვერს  
ილებს სურათიდან და ისევ ზუზუნებს:

— თვალი დაგიდგეს, თვალი... არავის არ მოე-  
რიდებოდა ვინც არ უნდა ყოფილიყო, ჩემი ბუქე-  
რიო, მეძახდა, ხალხნოო!

კოლას მწვანილი, ყველი და პური უდგას წინ.

— დილით მწვანილი, სალამოთი მწვანილი, აი-  
ღე და ბარემ ბოსტანში დამაბი, — თითხე გადაი-  
ხვია აყოტებული ოხრახუში.

თავის ლამფის შუქს უმარჯვებს ანა ნემსსა და  
ძაფს და შიფონის კაბას იკემსავს:

— უკულტურო ხარ, ლამე გაძლომა არ შეიძ-  
ლება...

მერე ანამ თავისი ლამპა ჩააქცეს და დაწვე. 

კოლამ ივახშეა მწვანილითა და გურია და თავისი სინათლე ჩააქრო.

## ტრივიუმი ბიბლიორიტეპ

ფეხშიშველი, თმაგაჩეჩილი თინია მიღის ორლობეში. ცალ ხელში ხორავით სავსე ჩანთა უჭირავს, ცალში — ყველი და პური. გემრიელად ილუკმება. ყველი გაუთავდა. პურს აკოცა და ყორეზე დადო.

გზის ორივე მხარეს ვენახებია, ლობეებს გასწვრივ რუები ჩაუდით. შუადღის სიმყუდროვე გამეფებულა. ჰრიკინების გაუთავებელი ჩარბუზანა კიდევ უფრო ამკერთრებს სიჩუმეს.

თინიამ აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა. თავი რომ სულ მარტო დაიგულა, ჩანთა დადგა, დოინჯი შემოიყარა და წყევლა-კრულვას მოჰყვა: — შენი ძუძუები დაიწვას, დარო, შე ქურდბაცაცავ, შენა. ცეცხლად და არმად შეგერგოს ჩვენი სიმინდით გასუქებული დედალი! შე გულდაფუფქულო, შენა. მაგრამ, რა (გაიკვირვა თინიამ) ნათქვამია, ხე ძირზე ამოდისო, — დედაშენი ანიჩა იყოო (წინ გადახრილი თინია თითებზე ითვლის) ქვეერის პირზე მოკვდა, შენი დედამთილი იყო და მეწისქვილესა პყვარობდა, ავრემც ამოსწყდებით და ამოიბუგებით...

უცებ ლობის ლაწანი გაისმა. თინიამ მიიხედა, ლობეზე გივია მოძვრებოდა „ეხლა როგორ გინდა, ეხლა როგორ გინდას“ ძახილით. თინიამ ჩანთას ხელი დასტაცა და მოჰკურცხლა. მირბის და მისდევს

გივია. თინია ახტება ყველაფერს — სუებს, გუ-  
ბეებს და მწევარიერი გამშოლი ხან საით გაიელ-  
ებს, ხან საით.

ურარენული

უცებ შიშველი ცერი წამოპქტექშეს ქმწმება, ეს  
ხელი იტაცა და ცალ ფეხზე ხტუნვას მოჰყვა. მერე  
ისევ გავარდა, საცაა მისწვდება თმებში გივია. თი-  
ნიამ იწივლა:

ვანო პაპაა!

გივიამ ნაბიჯი შეანელა, ვითომ მე რაა, მე ჩემთ-  
ვის მივდივარო და დაარხეინებული სახით და სტვე-  
ნით განაგრძო გზა.

ვანო პაპა ლობიოს ვლეხს ვაზის რიგებში, აფე-  
რისტი ეხმარება. მხარი მხარს მიჰყვებიან ისა და  
ვანო პაპა.

თინია ჩუმაღ შეიპარა ვენახში. ჩანთა თაღართახ  
ჩამოპქიდა, ყორეზე აიპარა და დინჭად მიმავალ  
გივიას ლექსი დადევნა:

აკაცია, აკაცია  
მამაშენი რა კაცია,  
მამანემი დურგალია,  
მამაშენი მურდალია.

აფერისტმა და ვანო პაპამ კარებს გახედეს...  
თინია ყორიდან ჩამოხტა და ჩანთასთან მივიდა.

პატარა, ყორეშემოვლებული ვენახია, ყორის  
გასწვრივ წითელი ტურუტუტო სოკოები იცის.  
ვენახის შუაგულში ვირმსხალა აპრიალებს ფოთ-  
ლებს, უმადლო მსხალი.

აფერისტი მსხლის ძირში ზის და ლვინოს დოქს  
უდარიელებს. თინია ლაპარაკით მოდის:

— პაპი, უთხარ, ე, ელიზბაზანთ გვერდს, მაგას უპატრონო ხო არა ვგონივარ, მაგის შიშით ვეღარ უნდა ავიარ-ჩამოვიარო მურაჭილი წელი.

— პაპას ქალო, მოხვედი! ტერენის მისი კუჭმოვიდა ვენახიდან.

— ჯოხ! — გაიმეორა თინიამ, რაყი არავინ გამოესარჩილა.

— რა უნდა უთხრა, ძაან კარგი ყმაწეილია. მიგათხოვებ შემოდგომაზე და ეგ არი...

— რას ამბობ, ე, თვრამეტ წლამდე ხელ არ აწერინებენ! — შეხტა თინია.

პაპამ და აფერისტმა ერთმანეთს შეხედეს და ახარხარდნენ.

პაპამ საჭმელი ამოალავა.

— ე, მამაძალლები ე, უყურე შენ...

აფერისტი ზის და ბუზებს იგერიებს. ბუზები რატომლაც ძალიან ეტანებიან, შუბლზე ასხდებიან. აფერისტი შუბლში იცემს ხელებს, განგმირულ ბუზებს ზიზლით ისვრის წკიპურტებით.

ვანო პაპა კიტრებს აუყვა, ხალათის კალთაში ივროვებს. ხარბი, გაფაციცებული მზერით ეძებს, შეჩერ მოიტანა და წამოჩინქილმა წამოსცალა კალთა.

ჭიკოს გაქეჭყილი ტოლჩა ჩამოხსნა. თალარიდან წყალი ამოილო და ხელებზე გადაივლო.

— აფერისტო, არ გინდა ხელების დაბანა? — აფერისტს მიუბრუნდა.

— ხელებზე რა მაქ რო? — შარვალზე გაისვა გამოისვა ხელები აფერისტმა.

მსხლის ძირში თინიამ წითელი სოკოები იპოვა.

— პაპი, რანაირი სოკოებია, ე?

— შენთვინ დავკრიფე, შაგიწვავ, შაგაჭმევ და  
ლამე არ დააეიცებ ხოლმე ლოგინ! ურარენული

— როდისლა ვაჟიებ, როდისჭრებულიშვილები ა  
მუშტები აუტყაპუნა თინიაშ. პაპა იცინის, თინია  
ზურგს უკან უზის და ეკვრის.

— გაიწი, გოვო, გაიწი, გეგეზუმრე, — ველარი  
იცილებს ვანო პაპა.

სალამო ხანია და ლახტის თამაშია გახურებული  
ნასაყდრალთან. „დიდი ვზა“ ვანო პაპას ვირის ტაჭ-  
კამ გადმოსჭრა. ქოფოზე პაპა და შვილიშვილი გა-  
მოჭიმულან. ვივია გაშმაგდა გოვოს დანახვაზე.  
სულ ლაწალუწი აუტეხა იქაურობას.

თინია გივიასაკენ აპარებს თვალებს. პაპასკე  
არ იყურება, ისე ეკითხება:

— პაპი, ე, სხვა სახელი ველარია ნახეთ, რაღა  
თინია დამარქვით?

— რათა, შე მამაძალლო, რა, თინია ცუდი სა-  
ხელია?

— რა ვი, ე, სარკეში რო ვიყურები რაღაცხაი-  
რი ვჩანვარ. სულ იმასა ვფიქრობ, ალბათ თინია  
რო ვარ იმისთვის-მეთქი, რათა, პაპი?

აბა, პაპაშ რა იცოდა, რათა...

უკან ტაჭკაზე ხასხასა ბალაზი ყრია. ტაჭკას  
გამობმული ბოჩოლა მოსდევს რაცრაცით.

ბურნუთა სახლში შევარდა. გივიას ჩანთა და-  
ზირქვავა. ჩანთიდან წიგნები გადმოცვივდა, პურის

ნამცეცები, და თინიას „ხუთოსანთა“ დარღვეულან ჩა-  
მოგლეჭილი სურათი, ბურნუთაშ ფანქარი აძლილო,  
რვეულიდან ფურცელი ამოხია.

— წერილი არ მისწერო, არტაზე მარტინი გავი-  
ფუჭდება საქმე. — გივია სათარისერი ზეს დაუკუ-  
დულსა ქსოვს.

ბურნუთაშ შეშის ნაჭერი ესროლა.

გივიამ თავი მოხერხებულად დალუნა და საქმე  
განაგრძო.

— აქააა, ხო ვთქვი!

ბურნუთაშ წერა დაიწყო:

1. თამაზას ჯემპრის გამორთმევა.
2. აბანოში წასვლა.
3. დილით ადრე სალონში მისვლა და გარეთ გა-  
მოყვანა. სიყვარულის ახსნა.
4. რაც მთავარია, წვინტლები არ ჩამოეუშვა,  
მაგრამ უნდა ვიდგე.

კმაყოფილმა ბურნუთაშ სათუთად ჩაიდო უბე-  
ში ქალალდი, მანქანაში ჩაჭდა და გავარდა.

გამოწყობილი ბურნუთა სალონში შევიდა.

მაყვალა საკერავს უზის. ბურნუთას თვალთ  
დაუბნელდა.

— თავმჯდომარე არ შემოსულა? ძლიერ მო-  
ხერხა კითხვა.

— არა! — გაყეირვებით ახედა მაყვალამ.

— ვა, კაცო! როვორ დაიკარგება ხოლმე. —  
საქმიანად გამობრუნდა ბურნუთა.

მანქანაში ჩავდა, სიმწრით დაპერა-მუშაკ/საჭირო  
და გავარდა.

სალონში ახლა თინია შევიღა. ცარიცარიშვილი

— პირველი გაკვეთილი გვიცლებულ მისტერიულ ც  
მაყვალას, ჩანთიდან ორი ნაკერი „ყიყლიყო“ ამოი-  
ღო და მაყვალას შესთავაზა.

— რა უნდოდა იმ ვაჟბატონს?

— ეინ ვაჟბატონს, თინი?

— ეითომ არ იცის? ვისა და ელიზბარაანთ  
ბურნუთას!

— იმის ძმას კიდე მე ვუყვარვარ. რას გადა-  
გვეკიდნენ გო არა?! ეს უჯიშოები... — ილუკმება  
თინია.

მაყვალა იცინის.

დილაა.

მანქანასთან შეგროვილ ხალხის სიას კითხუ-  
ლობს თავმჯდომარე.

— აფერისტი!

— აქა ვარ!

— წმინდაშვილი მიხაյლ!

მიხაელმ თვალი თვალში გაუყარა თავშეცოშა-  
რეს.

— კოჭლამაზაშვილი ბაბულია!

— როდის იყო არ ვიყავ?

— ქაჭრელაშვილი!

— ვარ, აქა ვარ!

— მესამეთა! — თავმჯდომარემ ჩაინიშნა.

— შეანგირაძე მარო! ბაზარში! — მართარში  
მიცუხცუხებდა ამ დილას!

თავმჯდომარებ ბოლმა გულში ჩაიწვია და სის  
კითხვა განაგრძო.

ხალხით სავსე მანქანა ვენტილაციური წყლის მისა

გზის პირზე ბარდებში ვიღაც ჩაიმაღლა.

თავმჯდომარე კაბინიდან არ გადმოსულა ისე  
გაუყარა თვალი თვალში წიოკაანთ ქალს.

წიოკაანთ ქალი ბაზარში გასაყიდი კვერცხით  
სავსე ეედროს მაღავდა.

— რას მიყურებ, ვერ მიცანი? — უხერხუ-  
ლობის დასაფარავად გაბრაზდა წიოკაანთ ქალი.

თავმჯდომარებ ხელი ჩაიქნია.

გახურებული ყურძნის კრეფაა.


ვაზის ძარში მიმჯდარი პაკიპუკა ლექსია წერს.

დრო და დრო ფანქრის ტარსა ღრღნის, მერე,  
უცბად, სულმოუთქმელად დააცხრება ქალალდს...

თავმჯდომარე შორიახლო ზის, პაკიპუკას მუზის  
მფარველად სუნთქვაშეკრული, პაკიპუკასკენ გახედ-  
ვასაც ვერა ბედავს.

მერე ვენახებში ბორტგადმოხსნილ მანქანაზე  
დგას პაკიპუკა და თავმჯდომარის დავალებით და-  
წერილ ლექსის კითხულობს პათეტიკით:

პარკოს ნაცოლარი ხარ,  
ბადიაურს დადიხარ.



კარგი წელი  
ცის დღეზე

ვაჭრობ, სპეციალობრობ  
აბა, ეს რას არგიხარი?  
განა გუმატიება,  
შეანგირებდე მარო,  
დროს ატარებ მთენარებაში,  
უსაქმერი ხარო!..

— ბარგი შავრული გაქ, პაკიპუკ! თუ დროზე  
არ გაასწარ, მერე შეიძლება გვიან იყოს — შშვი-  
დად დაარიგა მიხაკომ.

— მტყუან ჭირი, რო შე არავისაც არ მეშინიახ!  
კედლის გაზეთშიც უნდა გამოკვიმო იმ ლექსიანად,  
განა როგორცა ქუხს. ისე წვიმს, რო... — არ შეშინ-  
და პაკიპუკა.

— ვნაახოთ, კაცო, ვნაახოთ! — თავი დაიქნია  
მიხაჯომ.

სალამოს წიოკანთ ქალი მოდის წიოკით ქვევი-  
ლან. ცალი ხელით დოინჭი შემოუყრია, ცალს ბაი-  
რალივით მოიქნევს და კივის:

— რათ უნდა გვებრაზდე ქა, რა მაქ საწეუბარი  
(უწივის იმ ფაშფაშა ქალს, პარკი ლობიოს რო არ-  
ჩევდა და ეხლაც არჩევს) აგრემც მაგას მოუკვდეს  
ჩემი სახისა.

— დაშვეიდლი, მარო, ცოდო ხარ, ნუ იშლი  
ნერვებს! — დინჯად ზის ფაშფაშა დედაკაცი.

— არც ნერვებს ვიშლი და არც არაფერი, განა  
მოპარული გავყიდე.

ხმამ კანტორამდე უწია. პაკიპუკა კედლის გა-

ზეთზე მუშაობს, შიშის დასაფარებული სატყეო შემოსძიხა.

წიოკაანთ ქალმა სალონის წილში მიუწვდომელი განვი და აკივლდა:

— მაგას მოხედეს ცხელი ტყვია, რა უნდა ჩემვან. მოვიპარე, ქალო, რამე? ვანა მოპარული იყო, შე მონავ შენა, მოპარული იყო და გავყიდე?

მოელ სოფელში ისმის წიოკაანთ ქალის ხმა — მორბიან ბალლები, ერთმანეთს გასძიხიან წიოკაახთ ქალი ჩხუბობსო...

გროვდება ხალხი.

— რათა კახო; რათა, მოპარული გავყიდე? ავრემც, წიოელ კუბოს დაიღვამს მაგის დედა მაგაზე, — ნაბიჯს არ ანელებს ქანცგაცლილი წიოკაანთ ქალი.

— ვის რას უშლი, რათა შურთ ჩემი უკეთესი. აზირ, შენ შენ ნაბოზარ დებს მოუაროო, ერთი როველისციხის ბოზია და მეორე ზაქათალისა, შე მონავ შენა?

ახლა პაკიპუჯას იჭერენ...

ბაწროსა და გივილოს ხელზე გადაკიდებული გაწკეპილი შარვალ-კოსტუმი მოაქვთ სალონიდან.

ბაწროს პალსტუხი ჩაუვარდა, იყოსო, რა ჩემფეხებად მინდა! — წასვლა დააპირა ბაწრომ.

— ბიჭო, გალსტუხია, არე, იქნებ სად გამოგადგეს. წყალსა გოხოვს თუ პურს? ვაა, რა უჯიშოვინმეა, კაცო? — გაჯავრდა გივილო.

ბაწირომ აიღო ჰალსტუხი.

საყარაულოზე დაპკიდეს ტანსაცმელი.

— რა ვქნათ ეხლა, რაში გამზუხუყველობა  
კატებივით შეჰყურებენ ახლა ტანსუყვარცხლის კუნძულებ  
დიანებული გივილო და ბაწირო.

— მოდი ცოლები ვითხოვოთ! — თქვა გივილოს  
და თვითონვე გაუკვირდა.

— ვინც აჩა! მოდი! — სიხარულით დაეთანხმა  
ბაწირო.

ბაწირო თავმჯდომარეს ფეხებში ედება, საითაც  
წავა, იქიმ აეტუშება, თავმჯდომარე თითქოს ვერ  
ამჩნევს, მერე ერთბაშად უყვირა.

— კაცო, რა დროს ცოლია ამ გავანია მუშაო-  
პაში?

— შენ რო გყავ, იმამ რო ყავ, (ცერა თითით  
აჩვენებს ბაწირო), მე რა ფეტვი მირევია? და თა-  
ნაც ხარჯი, ხარჯია, ორივე ვირთამთ!

— ცოლი რა ჩემ ფეხებად ვინდა? — ხმაში  
სირბილე დაეტყო თავმჯდომარეს.

— მაიტა მაშ შენი ცოლი! — იყვირა ბაწიროშ.

— წადი ეხლა იმ ვენახს უყარაულე და რთველ  
რო მორჩებით ცოლსაც მოგცემ და ცოლისდასაც  
ბაწიროსთვის, — დაარიგა თავმჯდომარემ.

ამ დროს ღვინის საათიდან (სარჩე მიმაგრებულ  
ძირგახვრეტილ დოქიდან, რომელსაც ქვეშ თასი  
აქვს შედგმული) უკანასკნელი წვეთი ჩამოვარდა,

ბაწირომ თასი გამოცალა და იყვნებოდა მაკაფიოშა-  
რებ საათს დახედა.



### ტრიპონული

საყარაულოზე გივილო ზის. ღვინოს წოუმავს  
და უზარმაზარ ნაგაზსაც უსხამს ჭამში. მერე ჩონ-  
გურს იღებს და მღერის:

„სიკვდილი და სილარიბე ორივე ერთად მოდი-  
ოდა.

ორივ ერთად მოდიოდა.

(აქ ხმას დაუწევს) შევხედე და შემეშინდა სიკვ-  
დილს...

ამ დროს ვენახში სახედარი გამოჩნდა. გივილოშ  
სარების ნატეხი აიღო და დაუმიზნა. სახედარმა თავი  
ხან აქეთ გადააგდო, ხან იქით და გაბრუნდა. ბაწირომ  
საქმიანად დადო სარების ნატეხი, განავრძო — შევ-  
ხედე და შემეშინდა, სიკვდილს სილარიბე სჯობდა!..

ვივილომ ბაწირო შენიშნა, ჩონგური გადადო და  
ლოყაზე თაეჩამოდებულმა დაუწყო ლოდინი.

— კაცო, რას შემოგიდევია ხელი აკაკი წერეთე-  
ლივითა?! არ უნდა შემოუარო ვენას გარშემო  
ხანდახან? — და გაბრაზებულმა ბალახებში ჩადგა  
ღვინის დოქი.

— ამო, შენ შენი წილი დალივ და აბა ნახე თეი-  
თონ როგორ შემოგიაროს... — ჩამოსძახა გივი-  
ლომ.

საყარაულოზე ახლა ბაწირო, გივილო და ძალ-  
ლები სხედან.

— ეგ ჩა მოგსვლია, კაცო. — ჰერთხა ბაწინიშ  
ლოუაჩამოლადრულ გივილოს.  
— ძალლმა მიქნა, ამ შობელძალლმა, ხო იცი,  
ჩა სიმთვრალე იცის...  
— ნუღა ასმევ, კაცო, ნუღა! — პტერის მაჭიათებელი  
ბაწინიშ.

— განა ძე არ მიხდა, კაცო, მაგრამ ვეღარ გა-  
დამიჩვევია. ჩვენ გვიყურებენ ესენიცა...

ამ დროს შავმა ნაგაზმა დაიღრინა და გივილოს  
ჩამოქაჩა თათით.

— ჯარიშა! — აუხსნა ბაწინიშ.

— პაპაპაპა, რამოდენა ხალხი იყო, კაცო, ბოლ-  
გა შალიკოს ქელებში, ეგრე იცის ხალხმა, ბევრი  
ხალხი ან ძაან კარგი კაცის ქელებში მიღის, ან  
ცუდისა. ზოგი ეხლა გადახედე, შალიკო, შე საწყა-  
ლო, ვენახებსა, ზოგი ეხლა დაინახე ცის კიდური,  
რა გეგონა, თან ჩამოგაყოლებდნენ უველაფერს?  
დღეს არა, ხვალე მატიტელა ბალახით დაიფარება  
შენი სამარე! — ბაწინიშ პურზე ლვინო დაასხა.

— ამითა, ბაწინი, — ჭიქა შეათამაშა გივი-  
ლოშ, — აე გზაზე რო ურემი მიღის და თვალ  
მიაჭრიალებს, იმ ჭრიალს გაუმარჯოს! — ჭიქა გა-  
მოსცალა, თავზე დაიმხო და ამოიგმინა.

— მაშ არ უნდა მოკვდეს კაცი ვაზის ძირში!  
— წარმოთქმულ სადლეგრძელოს გაუმარჯოს! —  
ახლა ბაწინიშ მოიპირქვავა ჭიქა.

— რაო, რა პქენ ჩვენი საქმისა? — იყითხა გი-  
ვილოშ.

— არ გვიშვებს, კაცო, თავმჯდომარებელი დროს  
ცოლია ამ გაგანია მუშაობაშიო..

— მაგის დედა კი ვატირები მაგისი აზე მაგას  
მოსდომებოდა ცოლი, სუ რთველს და შეუძლებას  
დაუწეუბდა ყურებას! — გამწვდიდა გრეჩენ.

ერთხანს მდუმარედ ისხდნენ.

— მოდი, კაცო, შენ წადი და ორივე შენ გასინ-  
ჯე. ჩემი და შენი რამ გაყო. — წინადაღება მისცა  
გივილომ ბაწროს. — სამსახურზე კიდე ნე იდარ-  
დებ, ორივეს მაგიერ მე ვიყვირებ.

— მაიცა, კაცო, ქალის გულისთვის სამსახური  
დავკარგო? — ხმაში სიმტკიცე დაეტყო ბაწროს.

— უე, ბაწრო, შენ არ იცი, რა ტკბილია თბილი  
კერა, თბილი ლოვინი!..

— მაიცა კაცო, რა სიობო და სიმხურვალე  
აგიტყდა ამ პაპანაქებაში, — და ოფლი მოიწმინდა  
გივილომ.

— მე სხვა სიობოზე გელაპარაკები, ბაწრო. მე  
გულის სიობოზე გელაპარაკები. — თვალები მოუ-  
წყლიანდა გივილოს. მერე ნეტარებით წარმოსთვეა:

— ეხლა ამსვა, დამსვა და მალუცანთ ეზოში  
დამსვა!

— არა ძმაო, არა, ვინც მალუცას შაირთავს,  
ხელს არ დაიწვავს. — ასიამოვნა ბაწრომ.

— კურდლელა, კურდლელა ნაკლები ქალია?  
შენ ნაკლები ხო არა გვონია?!

თეთრი თხებით სავსე მანქანაზე მოაღაწეოდა /  
ბაწრო და გივილო სხედან. გივილოს გულზე სიკო-  
ლოზის ომში დაცემული პაპის მედოფერეფუზე კა

— თხა და ეგრე ლამაზი გინახულებული შედეგ  
ბედნიერი ბაწრო თხას ჩაუცუცედა და ფერება  
დაუწყო.

— ადე, — კაცო, ბეწვი გადაგივიდა. — ჩამო-  
ცერთხა გივილომ.

თხა თვალებგაშტერებული უყურებდა ბაწროს.

ბაწრომ ვეღარ გაუძლო დაეინებულ მზერას და  
გამოტყდა: რას მიყურებ, ცოლიანი ვარ?!.

სალონთან აფიშაა გაკრული:

„ნახეთ მხატვრული ფილმი

მთვარიან ღამეს (სიყვარულზე, ქართულად, ნი-  
სიად)

დასაწყისი 7 საათზე.“

მალუცა და კურდლელა კინოში წასასვლელად  
ემზადებიან. სამზადისს შიშისა და ელდის ფერი  
დაპერავს.

მალუცამ გადმოიღო თავის ლაჟის ფეხსაცმე-  
ლები და განსაკუთრებული ლელვითა და ვნებით  
იცვამს. ფეხსაცმელი პატარაა და ძალიან უჭირს  
ჩაცმა.

— კურდლელ, ერთი სუფრის კოვზი მამაწოდე!..

— ჩქარა, მალუც, ჩქარა! — კოვზი მოურბენინა  
უკვე გამოპრანჭულმა კურდლელმა.

დები თითქმის ჩურჩულებენ. მაღალი ცდილობს  
კოვზით ჩაიცვას ფეხსაცმელი, კოვზი შეგ ჩატრუდა.  
ახლა ფეხის წვერს ურტყამს იჯაჭვის რთულებისა  
ჩაიცვა და კოხტა კოჭლობით ჰყაუზაშა ერთეული

დები ხელკავით მოდიან კინოში. მოულოდნელად  
თვითმცლელი გაჩერდა, დები შიშით დაპატარავდნენ. მათი დოლრიალა ძმა გადმოვიდა მანქანიდან.

— საიო? — მეხივით გავაჩრდა ხმა.

— კინოში, გენაცვალოს ჩვენი თავი. ერთხელ  
ჩვენ გავივლით რა! — დაილრიგა მაღალი.

— მერე მე რა ვუთხრა თქვენს ქმრებს? —  
დოინგი შემოიყარა დოლრიალამ. — ალარ გაცდით  
ლმერთი, ჩაგაბაროო პარტონს ნამუსიანად და მერე  
გრძდა კინოში იარეთ და გინდა რუსთაველის პროს-  
პექტიზე ისეირნეთ. აბა მარშ! გამომივიდნენ აქ ზოგ-  
ზოგები...

მაღალი და კურდლელა გულჩაფუფქულები გა-  
ბრუნდნენ სახლში.

ჩაპე თავის ეზოში თეორ ცხენს შავად ლებავს,  
თან ბუზლუნებს:

— მე რო მინდა მაშინ გაქრა შევი ცხენი, შე  
რო მინდა მაშინ გაქრა! ყველამ თავისი საქმისა  
იცის. იღებება და ვღებავ. რო არ იღებებოდეს, ხო  
არ შევღებავდი?!

ბაწრო და გივილო შემოვიდნენ ეზოში.

ჩაპე გზაში დაატარებს კხენს გასაშრობად.

— ე ცხენ რა მოსელია? — იკითხა გივილოშ.

— პატი ვაყლაპებ, — აუხსნა ჩაპეტ.

გამოწყობილი მალუცა და კურდლეჭა შოაბარის/ გაქრივრივ, ერთმანეთის პირისპირ სხეულზე ფრინველი/ ბისაკენ გამოხედვას ვერა ბედავენ უფრე შეიტრიუქა/ თვალმიშტერებული ღელვას ძლივს ძალავენ.

— ისე, კაი დაწეპილი ულვაშები კი აქ, — ჩაილაპარაკა მალუცაზე თვალებმიშტერებულძა ხირხალაშ.

— იშიტომაა ეგეთი ეშხიანი! ეგ მე, — არჩევანი გააკეთა ბაწირომ.

— ეგ მალუცა. — მოკლედ მოვრა ხირხალაშ.

ცოტა ხანში ციბრუტივით დატრიალდნენ საპატიარებლოები. საქმე მიეშველათ და თავდალწეულები კიკლუცობასაც ახერხებენ.

კურდლელას რუშებიანი პერანგი მოუჩანს.

— შაბათი კვირაზე გრძელია, — ჩასჩურჩულა ბაწირომ.

კურდლელამ სალტე აიჭიმა და ისეთი სიყვარულით შეხედა ბაწიროს, რომ ბაწირომ ფეხზე დგომა ვეღარ შეძლო და ჩამოჯდა.

ჩაპე ისევ ცხენს აშრობს.

თამაღა ენამზეობს:

— ორ წყვილ კოკორს გაუმარჯოს! ჩვენი თავი უციცხლოთ ღმერთმა, აქმაროთ ღმერთმა რაც სიმარტვეში სიმწარე უნახავთ. ტკბილად შეაპეროთ! — ჭიქა გამოცალა და გამობერილ მუცელზე კმაყოფილმა დაიხედა.

გივილომ მალუცას უჩურჩულა:

— დედაშენი უფრო გიყვარს თუ მამაშენი?

— ორივენიცა, — გინაზა მალუცი,  
— მაინც, მაინც, — არ მოეშეა ხიდი  
— ორივენიცა, — უფრო ფუქურუჭუჭუ მალუ-  
ცამ.

— იგრე ხართ, როგორც ყველი და პური, —  
გული გადაუსხნა ბაწრომ გივილოს.  
გივილომ სიმღერა შემოსძახა:

რა ვუყოთ, რომ შევი ვაჩ,  
დამწევარი ვაჩ, მზისაგან,  
მეც ხომ იდაბიანი ვაჩ  
გაჩენილი ლვთისაგან.

მალუცას ორი მსხეილი კურცხალი გადმოუგორ-  
და თვალიდან.

კურდღელა ქათმის ფეხსა სწიწენის.

გივილოს სიმღერამ ბაწროს ვენახი გაახსენა და  
თავი ჩაჰეთა. მერე გივილოს შეეხმიანა — გივილო,  
მოდი ჩვენი ვენახისა ვიმღეროთ! — აღრიალდნენ  
ბაწრო და გივილო.

მეველეების ხმა საიდანლაც შორიდან, მაგრამ  
მაინც მოიტანა ქარმა. თავმჯდომარემ საათს დახედა.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების შემ-  
დეგ გივილო ისევ პატარძალს ელაციცება:

— მეულლეზე ახლობელი ვინ იქნება, — სულ-  
ში იძერენს მალუცას გივილო, — რაც მეულლებს  
ერთმანეთისთვის ფრჩილში შესტკივათ, სხვებს  
გულშიაც არა...

ბეღნიერი მალუცა პიქაზე ხელს უფარებს,  
უფრთხილდება ქმარს, — იმყოფინე, გივილო, გვ-

ნაცვალე! — გივილო ფრთხილად, ფრთხილად აღე-  
ბინებს ხელს.

ლარიანი კრამიტი ჩამოატარეს, — ქრისტიანული  
დან ლვინოსა სვამენ, მეორე ბოლო მისმშემატებ  
მოადგილე დოქით ლვინოს ასხამს.

თამაღამ მორიგი სადლეგრძელო წარმოსთქვა:

— ეს ცხოვრება ეგრეა, ვივლით და გადავიც-  
ლით! კარგის მეტი რა შეგვრჩება ვისაც ჩვენი კრ-  
თად პურის ჭამა გაუხარდება, დაგვინახავს და  
იტყვის: ყოჩალ, ბიჭებო, თქვენი ჭირიმეთო! იმათ  
გაუმარჯოს.

თამაღის მოადგილემ სიმღერა წარმოიწყო  
პრავალ-ეამიერ-ეამიერო... სიმღერა ააგუგუნეს.

ბაწრო და გივილო თავიანთ ვენახისას „მღე-  
რიან“.

სიმღერისათვის მოპატიუებულ მომღერალს სიშ-  
ლერა არ მიუტოვებია, ისე გადმოსძახა სიძეებს. —  
მეორე, მეორე... მაგრამ გამგონი ვინ არის? ბაწრო  
და გივილო ლრიალებენ. სოლო გაჩუმდა. გივილო  
და ბაწრო ისევ ლრიალებენ.

— მაიტა, კაცო, ძვალი გადაუგდეთ, იქნებ გა-  
ჩუმდნენ! — მოიფიქრა ვილაცამ.

როდის და როდის გაჩუმდნენ გივილო და ბაწ-  
რო და ისევ პატარძლებს მიუბრუნდნენ.

ბაწრო კრამიტით სვამს ლვინოს. ისევ წარმოიწ-  
ყო სიმღერა სიმღერისათვის მოპატიუებულმა სტუ-  
მარმა.

კრამიტს უკანასკნელი წვეთი მოსწყდა და ისევ  
ალრიალდნენ.

თამადის მოადგილემ აღრიალუაშპლ ბიჭის თავზე გადააფშვნა ქრამიტი. გივილოს ვითაცამ სილაშემოაწნა, ბაწრო მივიდა და განარტყამზე აკოცა. გივილომაც აკოცა და ასე ერთხმის შემატებულებმა გადახედეს ბრძოლის ჭრის მარის სასახლე.

თამადა მომღერალს იჭერს. პატარძლები ქმრებს ვეერდში ამოუდგნენ.

ეზოში უზარმაზარი თეითმცლელი შემოგრიალდა. პატარძლების ძმა მანქანიდან ჩამოხტა. უსიტყვოდ მივიდა გივილოსთან, დასტაცა ხელი და ძარაშდე ისროლა.

— ემანდ სუ. არ დააქანოს! — თვითონ დაიწყო აფხორება ბაწრომ, მაგრამ ძმამ ისიც დაუზარებლად გასტყორცნა.

უზარმაზარ თეითმცლელს არემარე თან შიაქეს, ძმამ საყარაულოსთან პირიდაპირ რუში ჩამოცალა ბაწრო და გივილო.

— შენ გული არ გაიტეხო, ბაწრო, — გონს მოვიდა გივილო, — ჭიკაანში ნაზუქივით გოვოები მეგულება. საქმეს შუა გზაზე ხომ არ მივატოვებთ. უნდა დავბინავდეთ დაზამორებამდე.

რუს ორივე მხარეს ჩამოცვენილი ფოთოლი აფენია.

— ცოლი აღარ მიხსენო, გივილო, თორემ... — გაცეცხლდა ბაწრო. — ცოლზე ლაპარაკობ კიდე, კინაღამ საყლაპავი ამოგაცალეს? — ორივე ხელები

თავზე აქ შემოწყობილი ბაწროს და შეკრუჭი  
ზის.

— უშრომლად რა მოდის რო, უკერძოული რცხული  
ვის მოუწყვეტია!... ბების მოუწყვეტია!

ბაწრომ ვეღარ მოითმინა ვივილოს უტიფრობა  
და გულიანად შეაგინა.

„დიდ გზაზე“ მალუცა და კურდღელა მოდიას.  
მალუცას ხელში საკერავი მანქანა უკირავს, კურდ-  
ღელას ბადურაში ჩადგმული ნავთქურა და დაქარ-  
გული ყურთბალიში.

საყარაულოზე კი ბაწრო და ვივილო ერთმა-  
ნეთს ამშეიდებენ.

— ე რა მწარე ყოფილა სიყვარული, ხალხნო,  
ჯიგარი მეწვის! — თავწაკრული ბაწრო ოხრავს.

— დალიე, ბაწრო, ღვინო, ნახე როგო მოგე-  
შვას! — თვითონაც სვამის ვივილო.

საღამოს, როცა გარემო ლილისფერი გახდა და  
კუთხეში მიმჯდარი ვივილო თხილის სიმსხო ცრუმ-  
ლების შეკავებას აღარცა ცდილობდა და ნაჩვევი  
სახედარი კვლავ ვენახის რიგებში დასეირნობს  
ყურდაცხვეტილი, ორლობის თავში ორი სილუეტი  
გამოიკვეთა და იქაურობა საესე ხონჩას დაემგვანა.

იმ ღამეს ოთხნი ყვიროდნენ.

მალუცას მურაბის ტაშტისოდენა მოვარე გაო-  
ცებული შედგა საყარაულოს თავზე.

როცა ყველა გაიკრიფება სახლიდან, ბურნუთა  
გამოვა ეზოში, გამხდარი, ჩამობერტყილი და აჰყვე-

ბა გაზიმზიმებულ, საგანგებოდ მრავლილი ერთხნის რიგებს. ღობეს წყირს წაამტვრევს, მერე კვის ხროლას დაუწყებს შშეიდად მდგარ ჭავაშვილი მიუძუ: მწალინოდ გამომარგვლავს მტევანული შემუშავებულობებს ფაგის ძირში და ფიქრს გაჰყება. ფიქრი ყოველთვის მაყვალათი იწყება. მხოლოდ ფიქრში უბედავს ბურნუთა თვალებში შეხედვას მაყვალას. უმზერს ქალის კრიალა, ციმციმა თვალებს და ბურნუთა სადლაც მიფრინავს.

— მაგის დედაც ვატირე, მოუიტაცებ! — წამოხტა უცბად ბურნუთა და დაეშვა თავქვე. ლაწალუწი აუტეხა ყველაფერს და სოფლის შარაშე ვავარდა.

ხირხალა ვაუხდელად, გულალმა წევს ტახტზე. ხელები თავქვეშ ამოუწყვია, თვალი კერძისთვის გაუშტერებია, ფიქრობს. ეხლა საცაა თოვლ ჩამოპყრის... შეშაა სუ კარ წინ დაგიწყობ, წვრილად დაკუწულს, წყალს დღეში ორჯერ ამოვიზიდავ საკოცებით. მერე დავულათ ჩვენი დიდი ღორი, ჩავდოთ, დავამარილოთ და ჩამოქაფიფქავს კიდეცაა... მოვხარშოთ ჩირის კამოტი, ვწრუპოთ და ვუყუროთ ზამთარს. შენ არ გიყვარს თოვლი? რას ამბობ, რო გადაიბურება გალმა სერები, რო გადათეთრდება ყველაფერი...

ხირხალა უცბად გამოერთო ფიქრებიდან, ფეხზე წამოვარდა და ტელეფონს ეცა. ნომერი აქითვა. ცოტა ხანს უცადა ზარს, მერე იყითხა:

— რომელ უჭირავ „ტრუპკა“? მათხედი ქალა /  
3—20-ია? — შენა ხარ, ქეთო? ხმა ამოიღე, ქალა  
შენა ხარ, ხო ვიცი, სიჩუმეზე გიცანცასწორებული  
ცან, ქეთო! შენსავით ვერავინ გაჩუმებული წესშეც  
ცი! შენი სიჩუმით მოპირთავდა აქაურობა. სიჩუმე-  
ზე გიცან-მეთქი, ქალო...

ქეთო განაზებული, მორიდებული, ნიავივით  
დგას ყურმილთან.

— თქვი, ხირხალ, რა გინდა?

— ქეთო, ხვალე შებინდებისას გადმოვალ,  
ვცადოთ, იქნება გამოვიდეს რამე!

ქეთოს მიუხედავად დიდი სურვილისა ძალიან  
უჭირს „ჰოს“ თქმა, ხმას ვერ იღებს.

ხირხალა ღრიალებს, — ხმა ამოიღე, ქალო, ნუ  
გამაგიფე.

— გადმოდი, ღობე როა ჩატეხილი სახლს უკახ  
იქიდან გადმოდი, ნურავის კი ნუ დაენახვები, ნუ  
დამმარხავ ცოცხლად! — შვების მომგვრელ ცრემლს  
იწმენდს ქეთო.

— შენ დახათრიჯანდი, ქეთო, შე ვიცი და ჩემმა  
გუმანმა! — ბეღნიერი ხირხალა ყურმილს დაეკონა.

ქეთოს ოთახი. მაგიდაზე ხილით სავსე მინის  
დიდი ვაზა დგას. კამოდზე მინის ქვეშ კამფეტის  
ქალალდებია გამოფენილი.

ქეთო ხინკლის ცომს ზელავს, თან ცალი თვალი  
გამორლვეული ღობისაკენ უჭირავს.

— ქეთო! — დაიძახა ვიღაცამ. ქეთომ იცხო  
ბიაბულას ხმა.

— იდროვა ამ ქალობაგასახუნებელია გამ-  
წარდა ქეთო.

ბაბულა უკვე კარებს მოადგეტ რჩდის ციფრულიანი  
შალი აქვს წამოხურული და ჭრის დაზიანებული ცეცხლის  
კალოშებს.

ქეთო გამოეგება:

— მოდი, რა შორიდან იძახი, მოდი, ქალო, მო-  
დი, ნუ იხდი!

ბაბულა წინდებიანი ფეხით შევიდა. ხინკლის  
დანახვაზე გაოცდა:

— ნეტა არ გეზარებოდა მარტოკას ხინკლის  
კეთება? — თან გულზე ხელი უდევს: — იგრე და-  
ვიღოთ, იგრე, ლამის გული ყარფუზივით გასკდეს  
და გადმოვარდეს...

— რა მოვარბენინებდა, ნელა ვერ იარე?

— დავიღოთ, ქეთო, მარტოობით დავიღოთ,  
ზიხარ ოთხკედელშუა და ათას ფიქრსა და დარდს  
ეჭმევინები. ამოდენა გამიხდება ხოლმე თავი (ხე-  
ლებით უჩვენებს).

— ეე, ჩემო ბაბულ, შენ იმას მაინც იტყვი,  
გათხოვილი ვყოფილვარ როდისმეო, თვალი ჩემსა-  
ვით გაუშლელად მჰენარ ყვავილს დაუდგეს, თო-  
რემ შენ ავიც გინახავს და კარგიც.

ქეთო მოუსვენრად იყურება გარეთ, ერთი-ორ-  
ჯერ ბაბულამ თვალი გააყოლა ქეთოს მზერას. მაკა-  
რამ ვერაფერი შენიშნა სავარაუდო.

— შეენც მართალი ხარ, რატო პატრონი არ  
მოუკალ, მეოთხედაც არ გავთხოვდი, იქნება ბედსა  
გწეოდი...

ქეთო გაფითრდა. ჩამტვრეულ ლოდებზე ნორხა /  
ლამ გადმოალაჭა.

ბაბულამ გაფითრებულ ქეთოს შეჭრულ უკუჯავი  
თონაც გაიხედა. ბებიარი ისევე

ხირხალა აივნის კიბეს მოსდგომოდა, იღლიაში  
ხოვერა გოგრა ამოეჩარა

ქეთო არ დაიბნა:

— ამას აქ რაღა უნდა ამ უდროთ დროს? ვინ-  
მემ რო დაინახოს, ხო უნდა დამდონ შარაზე, საცა  
ვინმეს ფეხი აუცდება, ჩემ ეზოში უნდა გაადინოს  
ბრაგვანი! რაღა ვქნა ეხლა? მოდი უთხარ, ქეთო  
თონის ფიჩხისთვის წავიდა „ბოლოში“-თქო“. მარ-  
ტოს რო გნახავს გაბრუნდება და წავა.

ქეთომ საწოლის ქვეშ სტუცა თავი.

ხირხალამ გვერდულად, მხრით შეხსნა კარი და  
შევიდა. ოთახში ბაბულა რო დაინახა გაოცდა.

— ვააა, როგორა ხარ, ბაბულ, როგორ? — ქე-  
თო სადღაა?

ბაბულა ხინქალს იღებს.

— თონის ფიჩხზე წავიდა. დააგვიანდება ჯერ...  
ორთქლადენილ ხინქლებს უსხედან და ქეთოს  
ელოდებიან

— გოგრა მოვუტანე კაცო, ამის ყორეზე გაი-  
ზარდა და ეგრე უნამუსოდ ხო არ შევჭამდი...

— მა რაა, კარგი ვიქნია, ცოდოა, მარტოხელა  
ქალია...

ხირხალას გოგრა ისევ იღლიაში აქვს ამოჩრილი  
და ყინჩადა ზის თავის დარდებში ჩაფლული.

ორთქლი ასდის ხინკალს, ხან ურთი ჩემი გადასცემას,  
ხან მეორე.

ქეთო საწოლის ქვეშ წევს დარჩემზე ზუსტებილი  
იყურება. პიპლი მომართებე

— მომბეჭდიდა, ხირხალ, მარტოობა და გადმო-  
კელ. მარტოობაზე ძნელი არაფერი ყოფილა...

ხირხალამ ღვინო ჩამოასხა და გადაპერა.

— ძნელია მაშ, კაცო! რათ დადიხარ მერე ეგრე  
ცალჩქა ირემივითა, შენ გულის კარები გამოკეტი-  
ლი არ გექნება, მე ხო ვიცი...

— გულის კარები კი ღია მაქვს, მაგრამ სადა  
ნახავ ეხლა სანდო კაცს. გახსოვს, ხირხალ, (ცბიე-  
რად განედა ბაბულამ) — როგორი გოგო ვიყავ?  
მაშ ამის ღირსი ვიყავი, რო ეგრე მინდვრის თავვი-  
უით დავრჩენილიყავ ბოლოს?.. მაშ ერთი წესიერი  
ადამიანი აღარ მეჯუთვნოდა? — თავშლის ბოლო-  
თი მოიწმინდა ცრემლი.

— როგორ არ მახსოვს, შენ რო ამაიელიდი,  
ფოთლები შრიალს ამოგაყოლებდნენ ხოლმე, რა  
წელი გქონდა, როგორ მიიღებოდი...

გვერდი იცვალა ქეთომ საწოლის ქვეშ, კედლის-  
კენ გადაბრუნდა.

ბაბულა: — ცოცხალია ნეტა ის ქალი?

ხირხალა: — რა გასაკვირია, რო ცოცხალი  
იყოს. მოდი, დავიწყოთ, ციკი ხინკალი რალათ მინ-  
და, ყვავი ღირსი არ იყო და ალდგომას ვერც შეეს-  
წროო...

ქეთომ ისევ იცვალა გვერდი. აქეთ გადმობრუნ-  
და, თვალებიდან ნაპერწკლები სცვივა.

ხირხალა და ბაბულა ქეიფობენ, ჭრებს ცეკვაზე  
ნებენ ერთმანეთს.

— ამით, ბაბულ, ქეთოს გაუმარჯოჭარუტელიც  
ვინ იცის ეხლა სად იღადრავს ხუდოულის როშეც კ  
ფიჩხისათვის. ქეთოს გაუმარჯოს თავის მოლლილი  
გულითა და სიღრმით! — ხირხალამ ჭიქა გამო-  
სცალა.

— გაუმარჯოს ქეთოს წმინდა კერას! — სვაძს.—  
მალამოა რა არი ეს დალოცვილი. ახლა ბაბულაჭ  
მოიწმინდა ტუჩები.

ხირხალამ სიმღერა შემოსძახა:

შენ ჩემი შე ხარ აშომავალი,  
მე გელი მტკიცა, მომე წამალი,  
მინდა ქვეყანას გავაგებინო, ლამაზო,  
რომ შენი ეშენო მე ვარ დამწევარი...

ქეთომ თვალები ჭყიტა.

ხირხალა ბაბულას უფრიო ახლოს შიუჩდა.

— ხო იცი, ხირხალ, პირეელ კლასიდან მიყვარ-  
დი, გახსოვს, კოյა რო გამიტეხე? რა შეუბრალებე-  
ლი იყავ!

ქეთომ პირი იბრუნა.

— ვერ გავიბედე, ხირხალ! — ატირდა ბაბულა.

ხირხალამ ლვინო დაისხა.

— გაუმხელელ სიყვარულს გაუმარჯოს, ბაბულ!

— გაუმარჯოს!

— მიყვარხარ, ბაბულ! — პირი მოიწმინდა ხირ-  
ხალამ — ნუ გეშინია, თუ აქ არ მოგვიხერხდა  
ცხოვრება, რუსეთში წაგიყვან!

ქეთო ახლა აქეთ გვერდზე გადამობოდნენ/და  
უკვე გამოგლოვილი გულგრილად /შეჰყუფებს /მიგ-  
ნურთ. პრივატული

ხირხალამ ბაბულა ხელში აიტკონის აჭარაშის უმ  
საწოლისკენ წაიყვანა, რომლის ქვეშაც გაუბედურე-  
ბული, ყველაფერს შეგუებული ქეთო წევს.

— არ დამღვრო, ხირხალ! ნუ დამიბნელებ შხეს,  
ვიდრე ხელს არ მოვაწერთ, ვერ დავნებდები!

ხირხალამ შეისმინა ქალის ვედრება, იქვე იმ სა-  
წოლზე ჩამოსვა ბაბულა, ჯიბიდან ხავერდის კოლო-  
ფი ამოიღო და ბაბულას მარჯვენა ხელზე ბეჭედი  
გაუკეთა. ბაბულას ცრემლები ჩამოსცვივდა.

— ნუ გეშინიან, რუსეთში წაგიყვან, თუ აქ  
არ გვეცხოვრება.

— სადაც მეტყვე, შენთან ერთად ჰერმის ტოტ-  
ზე ეიცხოვრებ, ხირხალ! — ნაზად მიეხუტა გულზე.  
ხირხალამ მზრუნველად გადახვია ხელი და წავიდ-  
ნენ.

შშიერი, გაავებული ქეთო გამობობლდა. სატრ-  
ფოს დაყარგულად თვლის და ისლა დარჩენია, ხინ-  
კალი მაინც ჭამოს, მაგრამ ხინკალიც აღარ იყო.

— ცეცხლი ჭამა თქვენმა პირმა და მოუნელებე-  
ლი! ერთი გახეთქილი ხინკალიც კი არ დაუტოვე-  
ბიათ. მაში იმის ღირსი აღარ ეიყავი, რომ ათიოდე  
ხინკალი მაინც შეენახათ, ეგ არის თქვენი ადამია-  
ნობა?

ლამაზ სევდასავით ეხვევა სოფელს ბინდი. ქე-  
თოს ხელში უზარმაზარი კარაქიანი პური უჭირავს.  
ჭამს და ტირის:

— დამთავრდა, ყველაფერი დამთავრდა.

მერე ლოგინი გაშალა. ცხელი პეტრი შეახვევა  
თავშალში, საბნის ქვეშ ამოდო, სინაფეუზეზეულო  
გაიხადა და დაწევდა.

ბებული იმისა

„ბირჟის ბიჭები“ და ბურნუთა გეგმას ადგენენ  
დინჯად და რაღაცნაირი აღტყინებით. ოცნებიდას  
მთლად გამორკვეული ბურნუთა, შეშინებული, სი-  
გარეტს აბოლებს.

— დიდ კაյლებთან ორლობეში იდგება შანქა-  
ნა! — ლამის ყეირის ბაქლაშქა.

— ცოტა ხმადაბლა, რა გაყივლებს?! — თავში  
ჩაფარა მესამემ.


— ამას რაღა მოუკიდა, რა გაყანკალებს, ბიჭო,  
ნუ ხარ შენ აი, რა ვიცი, უნდილი გოგრა! — შეუ-  
ტია ბაქლაშქამ ბურნუთას.

მერე თავები ერთმანეთს მიაღეს და აჩურჩულდ-  
ნენ.

ბნელი ორლობე. მაყვალა სახლში ბრუნდება.  
მძიმე სახლიდან ცოტა მოშორებით მსუბუქი მანქა-  
ნა უიგული დგას. მანქანის უკანა კარი ლიაა. მანქა-  
ნაში უკან გადასვენებული, თავშეხვეული, სიცხიახი  
ბურნუთა ზის.

მაყვალას გამოჩენაზე ლობის გასწვრივ მიმალუ-  
ლი სამი ლანდი ამოძრავდა.

გაუსწორდა თუ არა მაყვალა მანქანის  გაუშე  
გადმოვიდნენ და ჩადგნენ.

მაყვალა შედგა.  
— რა ამბავია, ხალხნო! —  გრიგორი შეუტკე-  
ლობს მაყვალა.

— ამას უყურე ერთი! — გაანწილდა უცბაზ  
ბაკლაშვა. — კაცი ნაწუწნ კამფეტ დაემგვანა, ეს  
როვო ქედანიერ ლულუნებს, რა ამბავია და ჩაგექ  
მანქანაში!

— ჩუმად, პო, ნუ მოსკდებით ხოლმე ჩაფაან  
ყორესავით, ჩაჯდება მა რას იზამს?! — დააშვეიდა  
აფერისტმა.

— ხელი არსად არ წავლოთ! — მანქანიდან  
იყვირა ბურნუთამ.

— მა რა ვქნათ შე შობელძალლო, კავიანათ  
მოვიწოდოთ?! — სულ გადაირია ბაკლაშვა.

— მაყვალ გენა, ეხლა წივილ-კივილი არ იყოს!  
კვირტივით ბიჭია, შშრომელი, ოჯახის მუჭუჭი. საქ-  
მე რო არა ჰქონდეს, ყორეს დაანგრევს და ააშენებს!

— ოხ, აფერისტო, თუ კვირად კიდე მე არ გა-  
მეგზავნე, ლაუუჩები უნდა აგახიო, — კვდება სიცა-  
ლით ვანოს ბიჭი, აფერისტის მოხერხებაზე.

— კაცო, ავია თუ კარგია, რა ვქნათ ეხლა. ხო  
არ მოვკლავთ, კვდება კაცი. — ნერვები აეშალა  
ისევ ბაკლაშვას.

— გამატარეთ! — წასასვლელად მოემზადა ჭა-  
ყვალა.

სამივე ერთად წამოვიდა მაყვალასაუენ დიხვი,  
მტერცე ნაბიჭით.

— ახლოს არ მომეკაროთ, ახლოს მომეკაროთ! — თვალებიდან ნაპერწელები გადაშესასა მაყვალამ.

ქვევიდან ხელის ლამპით თეკოუ ჩატლა-შრაფუ-ეკე მაყვალა მიხვდა, არავინ ეხუმრებოდა, უკინ გადახტა და ღობიდან მარგილი ისე ამოაძრო, მოული ღობე აიყოლია.

ბიჭები გაოცებისაგან შედგნენ.

მაყვალამ მარგილი დაატრიალა და ლაწა-ლუწი აუტეხა ყველაფერს.

ბურნუთამ ყურებზე ხელი აიფარა.

— მაყვალა ხაჩ, ქალო, თუ მაია წყნეთელი, დააგდე ეს მარგილი, — კოჭზე ხელი იტაცა ვანოს ბიჭმა.

ამასობაში თეკო ბაბოც მობაჯბაჯდა, ქვას დაუწყო ძებნა. ტალახიანი ქვა აიღო, მაგრამ ვერ გაიმეტა ბიჭებისთვის ტალახიანი ქვა და რეცხვა დაუწყო. დაკრიალებულ ქვებს ისროდა და ყვიროდა:

— გაანებეთ გოგოს თავი, გაანებეთ, ანაბარი მგელმაც იცისო. — აფერისტი იცნო თეკო ბაბომ.

— აფერისტო! მიწავ, შე მიწავ, შე ამოსაგდებო!

— კარგი, ქალო, წადი, კარგი, ე, ვინა ყოფილა! — ხელებს მალლა სწევს ბაკლაშკა.

მაყვალა აღარ ჩერდება, მარგილი გადააგდო და ეხლა ხელით დაერია ბიჭებს. მანქანის უკანა მინიდან ბურნუთა იყურება და თვალებს არ უჯერებს.

ხელცარიელი ბიჭები სულს ძლივს იბრუნებენ.

კოჭლობით მიდის ბაკლაშკა მანქანისაკენ. ვანოს ბიჭმა მანქანაში შეიხედა და დაძმარებულ ბურნუ-

თას უთხრა, — არა, მშაო, ეგ ქალი ხახულიშვილი მო-  
საშეები არ არის და რა გიყო!..

## ტერიტორია ტერიტორია

ერთხელაც არის ქვევიდან მთვრალი კოლა მო-  
ბანცალებს. თავის ერთსიტყვიანი სიმღერით —  
მთვარეეე! შეხედავს ყვითელ, სავსე მთვარეს და  
თავდავიწყებით მღერის — მთვარეე ნავალი ვარ  
გზაზე...

სახლს რომ მიუახლოვდა, ხასიათი წაუხდა.

— რათ მინდოდა ქალი, შე ოხერო ჩემო თავო!  
მიდი ეხლა და ეხვეწი და ემუდარე: დამანებე, ქა-  
ლო, ე ღმერთისაგან ბოძებული სიცოცხლე, სხვა რა  
მაშავია ამის მეტი? — მინდა ვიძლერო, მინდა ვი-  
ცევო, მიდა აი, ვაროს კაյალის ხეს ჩაეხვიო,  
მა, მაშ როგო გინდა? მა რითვინა ვარ? აი მთვარე,  
აი, რამოტელა მთვარე, მთვარეეე! — მღერის კოლა.

ეზოში შევიდა. ანა კარებდაკეტილში დახვდა.  
ჯერ რბილად დაიწყო კოლამ.

— დედაკაცო, რა კარები ჩაგიკეტია, მოვიტა-  
ცებენ? — და უიმედოდ დააკაკუნა.

ჩამიჩუმი არ ისმის.

— ანიკო, გამილე კარები, რა!..

ისევ სიჩუმე.

— ქალო, არ გესმის შენა? გააღე, გააღე, გენა!  
მერე ეზოში გაიარ-გამოიარა.

— ქალი გამომიცვალეს ნამდვილად იმ ღამეს,  
მა სად ის, მწყერივით რო ინაპებოდა და სად ეს. —  
ბედი კაცო, — ქალი გამოდგომაზეა!

— ქალო! — ხმაში ბრაზი დაეტუდ კოლა.

— სიკვდილის მათრახი! „კერესინჯის“ გრისტ  
გაგხადე, მურაბის ტაშტისა, უმწიკვეულ შეკრატებუ-  
სანი ჩაგბარდი იმიტომ, რო ყოველფრი და გამოწაროვა  
მოხვიდე და სიცოცხლე გამიშრაროვა! — აკიცლდა  
ძილგატეხილი ანა.

კოლა უკან-უკან წავიდა, კარგა მანძილიდან გა-  
მოქანდა და ისე დაეტაკა კარს. კარი ლია ყოფილა  
და გამოქანებული კოლა პირდაპირ ანას საწოლზე  
გადავიდა ყირას.

ანა წივილ-კივილით წამოვარდა, აილო ფუნქე-  
ბიანი სულრა, დაჭეჭყილი მურაბის ტაშტი, ჩააწყო  
თავისი ავლადიდება, შავი კაბა ჩაიცვა და გასამგ-  
ზავრებლად გამზადებული კოლას აღსარებას ის-  
მენს.

— ნუ წახვალ, ანა! რა ფასი ექნება უშენოდ  
ჩემს სიცოცხლეს?!?

ანამ აღარაფრის მოსმენა აღარ ისურვა.

— იცოდე შენც გაგიჭირდება უჩემოდ, ანი-  
კო! — დაუძახა კოლამ გზად მიმავალ ანას.

— დაიწეას და დაიდაგოს ჩემი ქალობაა, დაი-  
წვაას, აფსუს! გახვახიანთ ნათლულო ანოო, აფსუს  
ვის ლუმად გაიზადე თავიი! — ბედისწერის ლამა-  
ზი ბედაური თავდავიწყებით მიაქროლებდა ანას.

კოლა ძლივს შევიდა სახლში და რას ხედავს, —  
ანას სურათი დარჩენია.

კიდელზე კი ანას სურათი ჰქიდია. კოლამ სი-  
ყვარულით მოაცილა მტვერი.

— მოვა, მა საღ წავა! — რევეპტიანი ბოთლი

ჩაინუტა კოლაშ. აივნის დირეზე ჩამოჭდა. თუთური  
თუთა ერთადერთ ფოთოლს პპარპალებდა მითვარე  
გაუბედავად ჩამოცურდა კოლას ეზოში. კოლაშ  
დარღიანად შეჰქმდა.

სირცხვილნაჭამი ბურნუთა საწოლზე პირჩაღშა  
გდია. შუა კარებში, დირეზე ჩამომჯდარი გივია  
დიდი კაცივით დაფიქრებული ზის. დრო და დრო  
სიბრალულით გახედავს ბურნუთას. ბოლოს გაუბე-  
დავად უთხრა:

— ადე, ბურნუთ, ხალხი ელოდება მანქანას.  
სირცხვილია, ბიჭო! — და ცრემლი აუკიაფდა  
თვალებში.

ბურნუთას ხმა არ ამოულია, ეგრევე ჩაპირქვა-  
ვებულმა ჩაიყო ჯიბეში ხელი და გაუწოდა გასაღები.  
გივია ადგა და გამოართვა.

გივიას მიჰყავს მანქანა. კანტორის ეზოში ხალხი  
შეყრილა, გივიამ მანქანა გააჩერა.

— თვითონ სად არი? — სახე დაუგრძელდა  
თავმჯდომარეს.

— ავად არი! — ნაღვლიანად ამბობს გივია.

— აჲ, ძალიან? — დასცინა თავმჯდომარემ. მე-  
რე წარბი შეიკრა და ჰქითხა, — რა სტკივა?

— ნიშანდობლივ არაფერი! — სერიოზულად  
პასუხობს გივია.

— ვაა, გადამრევს ეს ხალხი, რა ყველანი ეხლა  
დასცოფდით, რა ნაცილი გამოგივარდათ ეგეთი?

თავმჯდომარემ ხალხთან მოფუსტუსე მაყვალ. ს-  
დაუძახა:

- ყველაფერი შზად არი?
- დიახ! — გივია ჟაინახა მაყვალამ და მისკენ  
 წამოვიდა.
- სად არი?
- სადაც არი! კაცი წყობილებიდან გამოიყვანე  
 და ეხლა ჰქითხულობ? — ვერ დამალა წყენა გი-  
 ვიამ.

აივნის დირეზე ჩამომჯდარ ბურნუთას თეთრი  
 ფაფახი ახურავს, წინდები, ქალამნები და მოკლე  
 ხანგალსა ლესავს.

ხრიალით სცვივა ფოთოლი ხეს და რბილად  
 ეფინება გაჭერებულ დედამიწას.

ეზოში მაყვალა შემოვარდა. უცნაურად გაძო-  
 წყობილ ბურნუთას დანახვაზე გაოცებული შედგა.

- სად მიხვალ, ბურნუთ?
- ცხვარში! — ძალიან სერიოზულად უპასუხა  
 ბურნუთამ და მოგონილი გულგრილობით ჩამოი-  
 კიდა ხანგალი.
- ცხვარში რა დაგრჩენია? — ლამის ატირდა  
 მაყვალა.

— აქ რაღა დამრჩენია? — წაიბუზლუნა ალე-  
 ვებულმა ბურნუთამ.

- რა და, ენა არა გაქვს?!
- ბურნუთამ ქუდი მოისროლა და გავარდა.

სამუშაოდ წასასვლელი ხალხი უჩვეულოდ მო-  
 რთული, უკანასკნელ მოდაზე შეკერილ საშუალ

ტანსაცმელში — ლურჯ ხალათებში გამოიყობოდა  
დგანან.

ფოტორეპორტიორი რაკუტჩის წერძნულად ქარ-  
თული.

— მოდი, მარო, ჩადექ, სურათის გადაღება რენ  
არ გინდა? — დაუძახა განზე გამდგარ წიოკახთ  
ქალს თავმჯდომარებ.

— რათ მინდა სურათი. აი, — რუში ჩაიხედა  
მარომ, — წყალში ჩავიხედავ და დავინახავ ჩემ  
თავს.

— რო მოჰკვდები, ველარ ჩაიხედავ, სურათი  
სამახსოვროა, მოდი ჩადექ! — დაარიგა თავშეჯდო-  
მარებ.

ამ დროს, ბურნუთა მოვარდა ჩექმების თხლაშა-  
თხლუშით. კინწისკვრით გაღმოაგდო გიურა მანქანი-  
დან და აქოშინებული თვითონ დაჭდა. თავმჯდომა-  
რებ მრავალმნიშვნელოვნად შეხედა.

დაძაბული სახეებით, თვალგაშტერებით იყურე-  
ბიან ობიექტივისკენ. შუაში მორცხვად გალიმებუ-  
ლი მაყვალა დგას.

რედაქციის თანამშრომლები დაეშვიდობხეს  
თავმჯდომარეს და წავიდნენ.

არავინ განძრეულა. ყველა ისევ ობიექტივისკენ  
იყურება.

— მაგრე არ დარჩეთ, კაცო! — შეეშინდა თავ-  
მჯდომარეს, — აღით მანქანაზე, საქმე გვილო-  
დება!..

— არ გამოვიცვალოთ? ეგრე გამორკილება

როგორ ვიმუშაოთ, კაცო, — დაიძინა ხორხათამ.  
მხერებში გაიშალა და ზედ შემოასკდა ხალათი.

— ჩა უნდა გამოიცვალოთ, კაცებაზე ჭურულებე  
გადალებისათვის დავღვარეთ ამოფენაზე მწყეფების  
ოფლი მე და ამ ქალმა! — მაყვალაძე უთითებს  
თავმჯდომარე.

— მა რისთვის, კაცო? — იყვირა ვიღაცამ.

— რისთვის და ადი ეხლა მანქანაზე და რო-  
გორც გინდათ იგრე გაიათებეთ შრომის უნარია-  
ნობა და ხალისი. ვის ვეუბნები მე? ვიდრე ათამდე  
დავითვლი მანქანაზე იყავით!

მანქანაზე აღიან.

— ცხრა, ათი, — თველის თავმჯდომარე.

მანქანა ხალხით გაიცხო.

ერთნაირ ტანსაცმელში გამოწყობილნი კიდევ  
უფრო სხვადასხვანაირები ჩანან. ერთმანეთს ცნო-  
ბისმოყვარეობით ათეალიერებენ, ხუმრობენ.

— მე, ჩემი ქმრის დამკარგავს, ეგეთი მხიარუ-  
ლი ფერი შემეფერება? ეს არი საქმე? — ცრემლ-  
მორეული ანა ცდილობს შავი კაბა გამოიჩინოს.

— ერთნაირი ტანსაცმელი იმიტომ ჩაგაცეს,  
რო პირად გრძნობებს გაუშეკლავდეთ, — დაარიგა  
ანა პაკიპუამ.

— პირადი გრძნობების გარეშე ერთი დღეც  
ნუ მაცოცხლოს ღმერთმა, ე ხალათი დამიჭერს?! —  
არ დაიჯერა ბაბულამ.

ბურნუთამ საგულდაგულოდ გადაკეტა მანქანის  
ბორტი და გავარდა.

სოფელში დგას ახალი „საყოფაცხოვისო მომ-  
სახურების სალონი“. შესასვლელში მსხვილი აკოე-  
ბით მოხატული პლაკატია გაკურდულური ფლეჭა  
შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსულონული კურსეფი  
იქიდან კოკები ახატია, ორივე კოკას პირიდან წყა-  
ლი გადმოსჩენეთს.

სალონის წინ უზარმაზარი სტენდია: „სოფელი  
წინაა და სოფელი ახლა“. სტენდის ერთ მხარეს  
გლეხები თავიანთ სამუშაო ტანსაცმელში არიან  
გამოწყობილნი, მეორე მხარეს — მაყვალას შეკე-  
რილ ლურჯ ხალათებში და ჰალსტუხებში.

სალონში მაყვალა ზის და ლოყაზე ხელშემო-  
დებული ბურნუთას ელოდება.

ბურნუთამ მანქანა სალონის წინ დაამუხრუჭა,  
ხელში ყურძნის ჩხა უჭირავს.

„ბირეაზე“ ბიჭები ყორის უკან ჩაცეცეულან,  
გივიაც იმათთან არის. ბურნუთა გაბედულად შე-  
ვიდა სალონში. ბიჭები ამოიმართნენ და ახორხოც-  
დნენ. გივიას ხელს არომევენ, ულოცავენ.

განარებულმა გივიამ მაგა გაისვა წვინტლიახ  
ცხვირზე და გზას დაადგა. თინიაანთ ბაღჩის ბოლოს  
თინიას ხმა შემოესმა. თინია ცალი ფეხით დაპკი-  
დებია კომშის ტოტს, ქანაობს და გაჭივის:

ლალე, ლალე — ქეთო ძალოს ვენაცვალე,

ლალე, ლალე — ნანი მასწავლებელს ვენა-  
ცვალე,

ლალე, ლალე — ზიზილა ძალოს ვენაცვალე!

ლალე, ლალე — ჩემს დეიდაშვილიშვილს ვე-  
ნაცვალე!

— თინი, ნეტა მე ვიყო ზიზილი ჟალო! თინია ხიდან ჩამოხტა, ტყუილად აძლეუქუნდა და პაპას დაუწყო ძახილი: ურარანული  
— გაიგე, რა მითხრა ელიზტშიჭკე ქრისტიშვილის მე უპატრონო ხო არა ვგონივარ!.. — ტირის თინია.  
ორლობეში ვიცია გარბის.

ვეიანი შემოდგომაა. ფერმერთალი მიღამო, ნა-  
სიმინდგრები — საქონლითა და ფრინველით სავ-  
სე, გამოკრეფილი ზვრები, ბაღჩა-ბაღები. ლვარად  
მოედინება ღვინო და დალლილი ჯმუხი კაცები თი-  
თქოს ამ დღისთვის გაჩენილანო, აღარ ათავებებ  
ქეიფსა და ლრიანცელს.

სახლებში ტრიალებენ კაცები. ზარმაცად მიედ-  
მოედებიან ლობე-ყორეს. თვალგული ერთმანეთი-  
საკენ გაურბით. ერთი სული აქვთ ვინმემ შემოალოს  
ჭიშკარი. დატუსტუსებენ დედაყაცები. წენგოთი  
დათხუპნული ბალები კაკლაობენ.

— პაი, აფერისტო! — გასძახებს ერთი.

— ჰოო, ჰოო! — გამოეხმაურება დაჭრილი შე-  
შისაკენ დახრილი აფერისტი და ილლიის ქვეშიდან  
ეშმაკურად ჩაუცინებს.



წევიძიანი დილა	3
სამინი	4
ლარნენა	11
სალაშტო	14
ევა	16
გზა ჩემი სახლიდან შენამდე	19
ზამთარი	24
ძმა	28
დედა, ავეისტოს მიწურული	32
ოჯახი	33
ზამთარი მოიპარება	36
სექტემბერი	37
ციცქას თოვლი	40
ალარაფერი ალარ მოხდება	42
ცაჲე მოვარე მიცურავდა	59

## Лейла Ильинична Берошвили РАССКАЗЫ

(на грузинском языке) Издательство «Мерани»  
пр. Руставели 42, Тбилиси, 1982.

რედაქტორი მ. ჭავარიძე, მხატვარი თ. მირზაშვილი,  
მხატვრული რედაქტორი ჭ. ფაჩულია, ტექ. რედაქტორი  
დ. რაჭმაძე, კორექტორები: ნ. ლოლაძე, გ. ჩიკაშვილი  
გამომუშები ლ. ლებანიძე.

ჩამონაცვლა შარმოცვას 13.07.82 წ. ხელმოწერილია საპეტ-  
დალ 15.11.82 წ. უვ 00554. ფორმატი 70×901/32- საბეჭ-  
დი № 2. ვარნიტორი ჩვეულებრივი. ბეჭდვა მაღალი. პირო-  
ბითი ნაბეჭდი ფირფილი 4,97. სალრიცხო-საგამომცემო  
ფურცელი 4,04. ტირაჟი 5000 ეგზ. შეკვ. № 478. ფასი 30 კაპ.

გამომცემლობა „შერანი“, საქართველოს № 42,  
თბილისი, 1982.  
საქართველოს სსრ გამსახუმის თბილისის № 4 ცენტრი  
380060, მედევალაქის 11 კორპ.

Тбилисская типография № 4. Госкомиздата  
Грузинской ССР. Тбилиси 380060. Медгородок II корп.

239/12

04103659211  
80220001033

